დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 15 - 21 მაისი

N 23 1487

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ფუი, თქვენი!



„არახამია საააკაშვილის პირდაპირი თანამზრახველი და პირწავარდნილი კრიმინალია!“

„არახამია თავისნაირი კრიმინალების – სააკაშვილისა და გვარამიას მსგავსად განსასჯელის სკამზე აღმოჩნდება!“



4





6-7



12-13

27

ბერძენიშვილმა და თევზაძემ ქართველები კანიბალებად გამოაცხადეს, ხოლო ილიაუნის ლექტორმა ტაბატაძემ – სამ ასოდ!

## მანდ – 3 – ეგდოსო!

სტრასბურგმა სააკაშვილის ვარშავაში სამკურნალოდ გადაყვანის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა!

## ვასილ გოგალაძე:

ეს გავაკეთე ჩემი რწმენით, ზელენსკის ფაშისტური ხროვისადმი პროტესტის ნიშნად. მიმაჩნია, რომ საქართველოს მტერი არის ლიბერასტულ-ფაშისტური სექტა!

8





ჩემს ერს სირცხვილი მოვწმინდე, როცა ფაშისტი ზელენსკის დროშა ჩამოვაგდე!

## თბილისის ოპერის თეატრის დაწვიდან 50 წელი გავიდა!

ვახტანგ ჭაბუკიანის პროტესტსა და უკმაყოფილებას შევარდნაძემ მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოები დაუპირისპირა!



ქართველი ქოციალისტები ევროპელ სოციალისტებს გაეყარნენ! 2

ადოლფ ჰიტლერისა და ედუარდ შევარდნაძის აღმასვლა 40 წლის ინტერვალით დაიწყო: რაიხსტაგისა და ოპერის თეატრის დაწვით!



19-21

1973 წელი: თბილისში ოპერისა და ბალეტის თეატრი იწვის!



მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის კომუნისტებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული მუშაკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, მთე-

ლების უსაზღვროდ ერთგული ადამიანის სიცოცხლის აზრს. რა პოსტზეც უნდა ყოფილიყო მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი, როგორიც უნდა ყოფილიყო მისი საქმიანობის მასშტაბი, მუდამ და განუხრელად ვლინდებოდა მისი ბუნების საუკეთესო მხარეები — უშრეტი პატიოსნება, მაღალი პრინციპულობა, მინდობილი საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, განსაკუთრებული გულისხმიერება ადამიანებისადმი.

თეატრის დაწვამდე რამდენიმე თვით ადრე, 1973 წლის 16 იანვარს, შევარდნაძესთან უთანხმოების ნიადაგზე, საკუთარ სახლში თავი მოიკლა ცეკას მდივანმა მიხეილ გოგიჩაიშვილმა — კედელში დანა მოათავსა და ზედ დაეგო!

## არც პატიაშვილმა ილო ყურად ჭაბუკიანის თხოვნა!

**კონკრეტული ქმედებები, კონკრეტული პოლიტიკური და საკანონმდებლო გადაწყვეტილებებია საჭირო, რათა ქართველმა ხალხმა ირწმუნოს, რომ ქოციალისტები არამხოლოდ კონკრეტულ ნეოლიბერალურ სექტას გაეყარნენ, არამედ მთლიანად ნეოლიბერალურ იდეოლოგიას გაემიჯნენ!**



# ქართველი ქოციალისტები ევროპელ სოციალისტებს გაეყარნენ!

***გასულ კვირას „ქართულმა ოცნებამ“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ტოვებს ევროპელი სოციალისტების პარტიას, რომლის დამკვირვებელი წევრიც 2015 წელს გახდა.***

მკითხველისათვის, რომელიც, შესაძლოა, ნიუანსებში ღრმად ჩახედული არ იყოს, განვმარტავთ, რომ დასავლეთში ასეთი პრაქტიკა არსებობს: სხვადასხვა ქვეყნის პარტიები, რომლებსაც ერთნაირი იდეოლოგია გააჩნიათ და პოლიტიკური შეხედულებებით ერთმანეთს ენათესავებიან, თავს ერთ დიდ, ევროპული მასშტაბის გაერთიანებაში იყრიან. ასეთია, მაგალითად, ქართველებისათვის კარგად ცნობილი და ავადსახსენებელი **ევროპის სახალხო პარტია,** რომლის წევრიც **ნაციონალური მოძრაობა** გახლავთ, ხოლო **ევროპელი სოციალისტების პარტია,** რომელშიც **„ქართული ოცნება“** იყო გაწევრიანებული, ევროპარლამენტში სიდიდით მეორეა ევროპის სახალხო პარტიის შემდეგ. კერძოდ, **ევროპის სახალხო პარტიას** ევროპარლამენტში 268 დეპუტატი ჰყავს, ხოლო **ევროპელი სოციალისტების პარტიას** — 202.

**ევროპელი სოციალისტების პარტიასა** და მის წევრ **„ქართულ ოცნებას“** შორის შავმა კატამ ჯერ კიდევ მაშინ გაირბინა, როცა **ევროპელმა სოციალისტებმა ქართველი ქოციალისტების** საწინააღმდეგო რამდენიმე რეზოლუციას მოაწერეს ხელი. მაგალითად, **ევროპელი სოციალისტების პარტიის** არაერთი წევრი შეუერთდა ევროპარლამენტის რეზოლუციას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ქართული ოცნების“ სულისჩამდგმელი **ბიძინა ივანიშვილი** რუსი ოლიგარქია, ხოლო თაღლითური ქოლცენტრების მეშვეობით ევროპელ პენსიონერთა გამძარცველი **დავით კეზერაშვილი** — პოლიტიკური ნიშნით დევნილი მედიამფლობელი და დემოკრატიის მებაირახტრე.

მოკლედ, თუ **ევროპის სახალხო პარტია** თავის წევრსა და პარტნიორს — **ნაციონალურ მოძრაობას** ყველგან და ყოველთვის კბილებით იცავს, მფარველობს და რევანშისტული რევოლუციური გეგმების აღსრულებაშიც კი ეხმარება, **ევროპის სოციალისტების პარტია** თავის წევრსა და პარტნიორს — **„ქართულ ოცნებას“** არათუ მხარს არ უჭერდა და ზურგს არ უმაგრებდა, პირიქით, ყველა კრიტიკულ სიტუაციაში კვანტს უდებდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, **ევროპელი სოციალისტებისა და ქართველ ქოციალისტების ერთობა მაჭანკლის მიერ გარიგებით გაიმასქნებულ უსიყვარულო ოჯახს უფრო ჰგავდა, ვიდრე იდეურ და პოლიტიკურ თანამოაზრეთა სიამტკბილობას.**

ამიტომაც მოხდა ის, რაც გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო —

## ევროპელი სოციალისტებისა და ქართველი ქოციალისტების ნაძალადევი პოლიტიკური ქორწინება გაყრით დასრულდა!

აღსანიშნავია, რომ **ქართველმა ქოციალისტებმა** დასწრებაზე ითამაშეს და **ევროპელ სოციალისტებს** მანამდე გაეყარნენ, სანამ **ევროპელი სოციალისტები ქართველ ქოციალისტებს** თავად მოიკვეთდნენ პოლიტიკური ოჯახიდან!

კერძოდ, **ევროპელი სოციალისტები ქართველ ქოციალისტებთან** გაყრას მიმდინარე წლის ივნისში რომ გეგმავდნენ, ამის თაობაზე მათ პარტიის ვიცე-პრეზიდენტის **კატი პირის** პირით მას შემდეგ განაცხადეს, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** უნგრეთში გამართულ კონსერვატიული მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. სწორედ აღნიშნულ ღონისძიებაზე საქართველოს მთავრობის მეთაურის მიერ წარმოთქმული სიტყვა აღმოჩნდა უკანასკნელი აგური, რომელიც **ევროპელი სოციალისტებისა** და **ქართველი ქოციალისტების** ძმობის კედელს გამოეცალა.

საქმე ის არის, რომ ღარიბაშვილის მიერ ბუდაპეშტიდან მთელი ევროპის გასაგონად გაზმიანებული გზავნილები — **ლგბტ პროპაგანდა მიუღებელიაო, ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობა არისო, დედ-მამის ცნების გაუქმება და მშობლების დანომვრა არ შეიძლებაო, სქესის შეცვლის გენდერული თეორიები ღმერთსა და სარწმუნოებას ეწინააღმდეგებაო — ევროპელი სოციალისტებისთვისაც** ისევე მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც ულტრალიბერალებისათვის. კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლის შემდეგ **ევროპელი სოციალისტების პარტიის ვიცე-პრეზიდენტმა კატი პირიმ** განაცხადა: *„პრემიერ ღარიბაშვილის მოქმედება მიუღებელია და მას ჩვენი პოლიტიკური ოჯახის ღირებულებების მიღმა აყენებს. ევროპელი სოციალისტების პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხელმძღვანელობის მომავალ სხდომაზე პარტიაში „ქართული ოცნების“ სტატუსის შეფასება მოხდება“.*

ჰოდა, სანამ სოციალისტები ქოციალისტების „სტატუსის შეფასებას მოახდენდნენ“, ანუ **„ქართულ ოცნებას“** ევროპელი სოციალისტების პარტიიდან გარიცხავდნენ, ქოციალისტებმა თავად მიიღეს სოციალისტებთან გაყრის გადაწყვეტილება.

კეთილი და პატიოსანი!

მაგრამ ისმის კითხვა — **„ქართული ოცნება“ თავიდანვე რატომ გაწევრიანდა ევროპელი სოციალისტების პარტიაში, რომელიც, როგორც ახლა გამოჩნდა, ჩვეულებრივ ნეოლიბერალთა სექტა ყოფილა? რა უნდოდათ ქართველ ქოციალისტებს იმ ევროპელ სოციალისტებთან, რომელთათვისაც ტრადიციული, კონსერვატიული, ოჯახთან, ღმერთთან და რწმენასთან დაკავშირებული ღირებულებები მიუღებელი და შეუთავსებელია?**

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ 2015 წლისათვის, როცა ქოციალისტები ევროპელი სოციალისტების პარტიაში გაერთიანდნენ, არც „ქართული ოცნება“ იდგა შორს იმ ნეოლიბერალური ნარატივებისაგან, რომელთა წინააღმდეგაც ახლა ილაშქრებს. ის კი არა, მმართველი პარტიის ზოგიერთი ლიდერი, რომელიც დღეს სულ სხვანაირად ჭიკჭიკებს, რამდენიმე წლის წინათ ლიბერალურ ნოტებზე მღეროდა — ეროვნული ცნობიერებისა და ფასეულობების დასაცავად კონსტიტუციური მექანიზმების შემუშავება სახიფათო რამ არისო!

თუ ქოციალისტებმა პოლიტიკური ნირი იცვალეს და ნეოლიბერალური რელსებიდან ეროვნულ პლატფორმაზე გადმოვიდნენ, ეს ცუდი სულაც არ არის, მაგრამ ამგვარი სახარბიელო ტრანსფორმაცია კონკრეტულ ქმედებებშიც ხომ უნდა გამოიხატოს? მაგალითად, უნგრეთში გამართულ კონსერვატიულ კონფერენციაზე პრემიერ ღარიბაშვილის ძლიერი გამოსვლისა და

## ევროპელ სოციალისტებთან გაყრის შემდეგ სრულიად დროული და ლოგიკური იქნება, ქოციალისტებმა ე.წ. ანტი-დისკრიმინაციული კანონიდან ორი ლიბერასტული ნაღმი – ტერმინები „გენდერული იდენტობა“ და „სექსუალური ორიენტაცია“ ამოიღონ!

სწორედ ამგვარი კონკრეტული ქმედებები, კონკრეტული პოლიტიკური და საკანონმდებლო გადაწყვეტილებებია საჭირო, რათა ქართველმა ხალხმა ირწმუნოს, რომ **ქოციალისტები** არამხოლოდ კონკრეტულ ნეოლიბერალურ სექტას — **ევროპელ სოციალისტებს** გაეყარნენ, არამედ მთლიანად ნეოლიბერალურ იდეოლოგიას გაემიჯნენ!

**საქმემან თქვენმან გამოგაჩინოთ, სოციალისტებთან გაყრილო ქოციალისტებო!**

***ჯაბა ხუბუა***



ევროპელი სოციალისტების პარტია

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ის სისხლისღვრა, რაც დღეს უკრაინაშია, ჩვენთან უკვე იყო 2008 წელს, როგორ არის, **ქართველი კაცის სისხლი არ არის სისხლი და უკრაინელის სისხლი სისხლია?** ჩვენ თავმოყვარე, უძველესი ერი ვართ, ვიღაც რომ ამბობს, რუსეთის დაკრულზე ცეკვას და მსგავს გამონათქვამებს, **ეს არის ერის შეურაცხყოფა.**

ვეკითხები ევროპელ, დასავლელ მეგობრებს, **თქვენ რომ მეუბნებით, შეწყვიტე ვაჭრობა, ეკონომიკა, ფრენები არ განაახლო,** თავად რატომ არ აკეთებთ ამას?! რატომ არ აჩერებთ ვაჭრობას?!

„პირველი არხი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



რუსეთს **მოლდოვასთანაც უვიზო რეჟიმი აქვს,** გაბედოს ოპოზიციამ და თქვას! როგორც **საკუთარ ქვეყანას ესხმიან თავს,** მოლდოვაზე იმავეს ვერ იტყვიან, რადგან იციან, აქ მავნებლობა გასდით, იქ არ გაუვათ.

„პირველი არხი“

**ილია დარჩიაშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



არ შეიძლება, ყველა საკითხი დავუკავშიროთ საქართველოს მიერ **12 პუნქტის შესრულებას** — საქართველო პირნათლად და მიზანდასახულად, თანმიმდევრულად ახორციელებს **ევროინტეგრაციის** პოლიტიკას.

„რეზონანსი“

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**სტრასბურგის სასამართლომ უარი უთხრა მიხეილ სააკაშვილს ვარშავაში გადაყვანაზე** და სახელმწიფოს არ დაავალა ქვეყნის შიგნით მისი სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა.

„პირველი არხი“

# ᲛᲐᲜᲓ ᲔᲒᲓᲝᲡ!

***2023 წლის 12 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე — „ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ“ — გადაწყვეტილება გამოაცხადა და არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნა თბილისიდან ვარშავაში სამკურნალოდ გადაყვანის შესახებ.***



უფრო მეტიც, **სტრასბურგის სასამართლომ სააკაშვილის ადვოკატებისა და მათი მოპასუხე მხარის — საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი კლინიკა „ვივამედიდან“ სხვა ქართულ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანასაც არ საჭიროებს.**

ასე და ამრიგად, უკვე **ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ,** რომ ნაცბელად სააკაშვილის ლამის წელიწადნახევრიანი კვდომის ქრონიკა მხოლოდ **პოლიტიკური აფერისტობაა,** რომელიც ჯანმრთელობის ხელოვნურად დამძიმების გზით სასჯელისაგან თავის დაძვრენას ემსახურება.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთი, თანაც ძალიან ავტორიტეტიანი და ეჭვშეუვალი დასტურია, რომ **სააკაშვილის დედა ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ, სააკაშვილის ადვოკატები — ᲨᲐᲚᲕᲐ ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘᲫᲔ და ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲑᲐᲮᲘᲐᲜᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ორგანიზაცია „ემპათია“ და მის მიერ შექმნილი ექიმთა კონსილიუმი, ნაციონალური მოძრაობა, ყოფილი სახალხო დამცველი ᲜᲘᲜᲝ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐ და ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები** ერთი დიდი პოლიტიკური სპექტაკლის პერსონაჟები არიან, რომლებიც ყოველდღე ცდილობენ საზოგადოების მოტყუებას — სააკაშვილს საქართველოში ვერ მკურნალობენ და თუ სასწრაფოდ საზღვარგარეთულ კლინიკაში არ გადავიყვანეთ, მოკვდებაო!

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ამტკიცებს, რომ **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘᲫᲘᲡ, ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲑᲐᲮᲘᲐᲜᲘᲡ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ, ᲜᲘᲜᲝ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐᲡᲐ** და ნაცსექტის მსგავსად, ცრუპენტელა და პროვოკატორია ყველა ის უცხოელი პოლიტიკოსი თუ დიპლომატი, ევროპარლამენტარი თუ კონგრესმენები, რომელიც სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვების საკითხს საქართველოს ევროპული მომავლის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელად წარმოაჩენს!

არადა, **მას შემდეგ, რაც ქართული სასამართლოს ყველა ინსტანციაში ხელი მოეცარათ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲛᲤᲡᲝᲜᲔᲑᲘ სწორედ სტრასბურგის სასამართლოთი იმუქრებოდნენ** — სამართალს ევროპაში ვიპოვით და მესამე პრეზიდენტის უცხოეთში სამკურნალოდ წაყვანას მივაღწევთო! ალბათ, ეგონათ, რომ გიული ალასანიას მიერ მილიონ დოლარად დაქირავებული ლობისტური კომპანია ყოვლისშემძლე იქნებოდა და სტრასბურგის სასამართლოშიც ისე გაშანსავდა საქმეს, როგორც, მაგალითად, ნორვეგიის კონსერვატიულ პარტიაში, რომელმაც **მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილი** ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა! შესაძლოა, იმის იმედიც ჰქონდათ, რომ ევროპელ მოსამართლეებში **ᲤᲝᲢᲘᲑᲐ-ᲙᲠᲐᲛᲝᲜ-ᲙᲣᲑᲘᲚᲘᲣᲡᲗᲐ** სული ჩასახლდებოდა და ისინი საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის უცხოურ კლინიკაში გადაყვანას დაავალებდნენ! თუმცა, ევროპულმა სასამართლომ პოლიტიკურად ანგაჟირებული კი არა, სამართლებრივად ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და **პირში ჩალა გამოავლო ყველას, ვინც უკანასკნელი თვეების განმავლობაში იმით არის დაკავებული, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის საკითხი გამოიყენოს ინსტრუმენტად საქართველოს შიგნით პოლიტიკური დესტაბილიზაციის მისაღწევად, ხოლო საქართველოს გარეთ — ქართული სახელმწიფოს დისკრედიტაციისა და დემონიზაციისათვის!**

მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლომ სააკაშვილის ვარშავაში სამკურნალოდ გადაყვანის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ანუ, მოკლედ და ხალხურად რომ ვთქვათ, ნაცბელადს შემოუთვალა — **მანდ ეგდეო,** ნაციონალური მოძრაობიდან სულ ცოტა ხნის წინათ წასულმა **ᲮᲐᲢᲘᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲘᲫᲔᲛ** განაცხადა: ***„ადამიანურად ძალიან ვწუხვარ და მეცოდება მიხეილ სააკაშვილი. ის ადამიანები თუ გრძნობენ პასუხისმგებლობას სიაში მოხვედრის და გამორჩენის გამო რომ კიოდნენ ტელევიზიებში — ჩამოდი, მეგობარო! ფიქცია, ოპოზიციის ბუტაფორია ხალხი. ახლაც აგრძელებენ ურცხვად. დაასრულეთ ამ ადამიანით სპეკულაციები. გეყოთ სინდისი და პასუხისმგებლობა. ცოდოა“.***

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ **ᲮᲐᲢᲘᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲘᲫᲘᲡ** ეს ფეისბუქ-პოსტი არის ერთადერთი ადეკვატური განცხადება იმ კომენტართა კორიანტელში, რაც ნაცსექტის წარმომადგენლებმა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ გააკეთეს.

**ᲮᲐᲢᲘᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲘᲫᲔ ხვდება, მაგრამ თავად სააკაშვილი თუ აცნობიერებს, რომ იმ ხალხისათვის, ვინც ვითომდა მისი გათავისუფლებისათვის იბრძვის, სინამდვილეში, მხოლოდ პოლიტიკური და ფინანსური გამორჩენის საშუალებას წარმოადგენს და მეტს არაფერს?**

## ᲗᲕᲘᲗ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲔᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲣᲒᲔᲛᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲚᲝᲠᲘᲝ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲛᲣᲪᲜᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲗᲣ ᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲛᲐ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲜᲐᲒᲕᲔᲖᲔ ᲛᲝᲘᲡᲠᲝᲚᲔᲡ?

შესაძლოა, სტრასბურგის სასამართლოს მიერ ამა წლის 12 მაისს გამოცხადებული გადაწყვეტილება სააკაშვილს ამ ყველაფრის გასიგრძეგანებაში დაეხმაროს!

**და თუ სააკაშვილი ამ ყველაფერს გაისიგრძეგანებს, კიდევ ექნება შანსი, ფიზიკურად გადარჩეს, ხოლო პოლიტიკურად, სულიერად და მორალურად მისი გადარჩენა უკვე შეუძლებელია!**

სააკაშვილი საბოლოოდ და სამარადჟამოდ დამარცხებული კაცია!

**დამარცხებული საქართველოსთან!**

**დამარცხებული ქართველ ხალხთან!**

**დამარცხებული ისტორიასთან!**

სრულიად სიმბოლური და ნიშანდობლივი სახელდების მქონე საქმეზე — **„სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“** — სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც **დამარცხებული სააკაშვილის კიდევ ერთი განაჩენია!**

***ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ***




## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ**
*თბილისის მერი*



მზადება მიდის, ქვეყანაში **როგორმე მოახდინონ გადატრიალების მცდელობა,** ყველას აქვს მოსაზრების გამოხატვის უფლება, მაგრამ, **ვინც კანონის ჩარჩოების გაცდენას დააპირებს, პასუხი გაეცემა.** „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ**
*კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი*



ვის რაში სჭირდება **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ,** რომ მისი ლიკვიდაცია დაიგეგმოს? ალბათ, ხუმრობის ახალი სტილი აქვს. არამც თუ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, **ᲗᲕᲘᲗ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲡᲐᲪ** არაფერში სჭირდებოდა **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ,** როდესაც მისი მოადგილე იყო. **როგორც ყველა მეფეს კარზე სჭირდება ერთი კარგი კლოუნი, ასე მუშაობდა გიორგი ვაშაძე ადეიშვილს კარზე.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*საქართველოს პრეზიდენტი*



მივმართავ ხელისუფლებას, **„ხალხის ძალას“** კი არა, **ხალხის ხმას** მოუსმინოს!

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲨᲐᲠᲚ ᲛᲘᲨᲔᲚᲘ**
*ევროპული საბჭოს პრეზიდენტი*



საქართველოს მოქალაქეებმა გააკეთეთ მკაფიო არჩევანი, **არჩევანი ევროპული ღირებულებებისა და თავისუფლებისთვის.** სწორედ ამიტომ თქვენი მომავალი ადგილი ჩვენს საერთო ევროპულ ოჯახშია.

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ**
*პოლიტოლოგი*



2024 წლის არჩევნები **ყველაზე ბინძური არჩევნები** იქნება. ოპოზიციას ლიდერი არ ჰყავს. ხალხთან დალაპარაკება არავის უნდა. **80 წლის ბაიდენმა ამერიკა შემოიარა და ამათ მცხეთაში ჩასვლაც ეზარებათ.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

# ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲐᲛᲠᲐᲫᲔ:

# ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕ, ᲔᲚᲔᲜᲔ ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐᲛ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲨᲢᲝᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲘᲐᲚᲬᲘᲝᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲐᲕᲘᲐᲠᲔᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐᲡ!



„ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲕᲘᲖᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲤᲠᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ!“

***საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲐᲛᲠᲐᲫᲔ რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და პირდაპირ ავიარეისებზე დაწესებული სანქციის მოხსნას ეხმაურება:***

— მივესალმები რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას. ეს, ყველა თვალსაზრისით, უაღრესად დადებითი მოვლენაა. რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და ჩემთვის კარგად არის ცნობილი, რამხელა პრობლემები ექმნებოდათ მათ, როცა პირდაპირი ავიარეისების არარსებობის პირობებში სომხეთის, აზერბაიჯანისა თუ თურქეთის გავლით უწევდათ სამშობლოში ჩამოსვლა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ სავიზო რეჟიმის არსებობის გამო საქართველოს მოქალაქეებს ურთულესი ბიუროკრატიული და კორუფციული ბარიერების გადალახვა უწევდათ რუსეთში ოჯახის წევრების მოსანახულებლად თუ სასწრაფო საქმეზე გასამგზავრებლად.

**— რას იტყვით ნაციონალური მოძრაობისა და მათი მონათესავე ჯგუფების მიერ ატეხილ აჟიოტაჟზე — პუტინმა საქართველოს ხელისუფლება პრორუსული პოლიტიკის გატარებისათვის დააჯილდოვაო?**

— რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის გაუქმება და პირდაპირი ფრენების აღდგენა საქართველოს ხელისუფლების გონივრული და ეროვნული პოლიტიკის შედეგია! **ᲔᲡ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲔᲒᲝ ᲓᲐ Ე.Წ. ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔ ᲑᲝᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘ ᲡᲞᲔᲪᲠᲔᲘᲡᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲐᲜ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ „ᲒᲐᲘᲡᲔᲘᲠᲜᲐ“ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ.** უკვე მრავალგზის დამტკიცდა, რომ ნაცმოძრაობისათვის კატეგორიულად მიუღებელია ყველაფერი, რაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს წაადგება. სააკაშვილის ნაცები, ბოკერიას ნაცები, გიორგი ვაშაძის ნაცები, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის ნაცები და ელენე ხოშტარიას ნაცები ერთი პრინციპით მოქმედებენ და საზრდოობენ — რაც უარესია საქართველოსთვის, მით უკეთესია მათთვის!

**— მუსირებს მოსაზრება, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმება და პირდაპირი ფრენების აღდგენა, შესაძლოა, ემსახურებოდეს რუსეთის მიზანს, ხელი შეუშალოს საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას...**

— ეს სრული აბსურდია! დღეს რუსეთის ხელისუფლება საქართველოსათვის დამატებითი პრობლემების შექმნით რომ იყოს დაინტერესებული, სხვა გზებს გამონახავდა და გაცილებით დიდ ზიანსაც მოგვაყენებდა, ვიდრე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის დაბლოკვა შეიძლება, იყოს. მაგალითად, **ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲡ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲣᲓᲔᲕᲡ ᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲐᲙᲘᲜᲫᲣᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ, ᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ Ე.Წ. ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲗᲐᲜ.**



МГИМОრჯობა, ЛЯКА!

МГИМО

УНИВЕРСИТЕТ

ᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ!

„Ა–Დ“.2023 ᲬᲚᲘᲡ №15



„არ დაგვავიწყდეს, რომ ასი პროცენტით „კაგებეს“ მიერ კონტროლირებადი „მგიმოს“ კურსდამთავრებული ელენე ხოშტარია რუსეთიდან სოლიდურ დაფინანსებას იღებს, რომელსაც სოლიკო ვირსალაძის საავტორო უფლებების ჰონორარად ასაღებს!“

**ᲞᲣᲢᲘᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲬᲣᲗᲡ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲝᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲣᲛᲐ ᲛᲧᲘᲡᲕᲔ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ 30 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲨᲘ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲕᲠᲘᲕ.**

**— ელენე ხოშტარია პირდაპირ იმუქრება — თუ საქართველოში რომელიმე რუსული ავიაკომპანიის ოფისი გაიხსნება, ფიზიკურად დავარბევთ და**

## „ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ 300 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲡᲧᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲕᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲠᲔᲘᲡᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ?!“

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ**
*პარლამენტარი*



თურმე, ხმამაღლა თუ გავაჟღერებთ **მართლმადიდებლობას, ოჯახის, ტრადიციების** მომხრეობას და უარვყოფთ **გარყვნილ პროპაგანდას,** რომელსაც ცდილობენ, ჩვენს ბავშვებს მოახვიონ თავზე, რათა სიბინძურეში აცხოვრონ, **ე.ი. სტატუსი არ გვეკუთვნის** და არ შეიძლება რომ მოგვცენ!

მახსოვს, პატარა ვიყავი, ცხონებული ბებიაჩემი საკურთხს რომ აკეთებდა, ფარდებს ჩამოაფარებდა ხოლმე და მე მეუბნებოდა, გარეთ არავისთვის არ მეთქვა! **გაგანია კომუნიზმი იყო და ხალხს პირდაპირ ან ირიბად უკრძალავდნენ რელიგიურ თავისუფლებას, რწმენას.** 35 წლის შემდეგ იგივე გვჭირს! **ადრე კომუნისტები და ახლა ფაშისტი ნეოლიბერალები!** მე თუ მკითხავ, მათ შორის არავითარი განსხვავება არაა! **ისინი ადრე და ესენი ახლა ებრძვიან ჩვენს რწმენასა და წარსულს!**

„ᲐᲘᲞᲠᲔᲡᲘ“

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



იმაზე უკეთესი რა შეიძლება ვქნათ, რომ **გავაკეთოთ საგამოძიებო კომისია** და მთელმა ქვეყანამ გაიგოს, **ვინ დგას ამ ქოლცენტრების უკან.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲟᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ევროპასა და აშშ-ში ყველას აქვს მოლოდინი, რომ **2024 წლის არჩევნებში მოხდება** ხელისუფლების კონსტიტუციური, **კანონიერი გზით შეცვლა.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲒᲘᲕᲘ ᲛᲘᲥᲐᲜᲐᲫᲔ**
*პარლამენტარი*



რადიკალური **ოპოზიცია ლეგიტიმურის გარდა ყველა მეთოდს იყენებს,** რადგან ძალიან კარგად იციან, რომ ისინი **ლეგიტიმური გზით ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდებიან.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



უპირველეს ყოვლისა, **რაც უნდა გააკეთოს უკრაინის ხელისუფლებამ,** ეს არის, რომ საქართველოს გადმოსცეს **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲐ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

# „არახამია თავისნაირი კრიმინალების – სააკაშვილისა და გვარამიას მსგავსად განსასჯელის სკამზე აღმოჩნდება!“

**მუშაობის საშუალებას არ მივცემთო! როგორ ფიქრობთ, ნაცების მხრიდან პროვოკაციების მორიგ ტალღას უნდა ველოდოთ?**

— როგორც კი რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები დაიწყება, ნაცებს პროვოკაციების მცდელობები აუცილებლად ექნებათ და შეიძლება, ტერორისტული აქტის მოწყობაზეც კი წავიდნენ! არ დაგვავიწყდეს, რომ ასი პროცენტით „კაგებეს“ მიერ კონტროლირებადი „მგიმოს“ კურსდამთავრებული ელენე ხოშტარია რუსეთიდან სოლიდურ დაფინანსებას იღებს, რომელსაც სოლიკო ვირსალაძის საავტორო უფლებების ჰონორარად ასაღებს.



**2019 წლის 20 ივნისს თბილისში მოწყობილი პროვოკაციაც, რომელსაც „გავრილოვის ღამე“ დაარქვეს, რუსული სპეცსამსახურების ერთი შტოსა და ხოშტარიას ერთობლივი სპეცოპერაცია იყო,**

რასაც კრემლის მხრიდან ტურისტული ემბარგო და პირდაპირი ფრენების აკრძალვა მოჰყვა. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს რუსეთში სიტუაცია ძალიან არეულია და სახელმწიფო სტრუქტურები ერთმანეთს უპირისპირდებიან, **სულაც არ გამოვრიცხავ, ელენე ხოშტარიამ რუსული სპეცსამსახურების რომელიმე შტოსგან მორიგი დივერსიული დავალება მიიღოს,** რათა კვლავ მიაღწიონ რუსეთიდან საქართველოში პირდაპირი ავიარეისების აკრძალვას!

იმედი მაქვს, საქართველოს ხელისუფლება ფხიზლად იქნება და ყველა მოსალოდნელ პროვოკაციას ჩანასახშივე აღკვეთს!

**— რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და პირდაპირი ფრენების აღდგენას შეშფოთებით გამოეხმაურა ამერიკის ელჩი კელი დეგნანი, რომელიც აცხადებს, რომ ქართველებს ოკუპანტისგან არაფერი არ უნდა უხაროდეთ.**

— ამერიკის ელჩი ასეთ განცხადებებს აკეთებს მაშინ, როცა მთელი რიგი ამერიკული კომპანიები რუსეთთან მრავალმილიონიან სავაჭრო ბრუნვას ინარჩუნებენ ისევე, როგორც 600-მდე დასავლური კომპანია, რომელიც რუსეთთან მილიარდობით დოლარის ღირებულების სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებს. მაგალითად, კომპანია **„ეფლმა“** დაახლოებით ორიოდე კვირის წინათ განაცხადა, რომ ჩიპების საწარმოებლად რუსეთისგან ოქროს, პლატინასა და ირიდიუმს აღარ იყიდის. **რა გამოდის? უკრაინაში ომი თითქმის წელიწად-ნახევარია, მიმდინარეობს და ისეთი გიგანტი, როგორიც „ეფლია“ რუსეთიდან ნედლეულის იმპორტს მხოლოდ ახლა წყვეტს!** სწორად აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** — უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე ევროკავშირმა რუსეთისგან **300 მილიარდი ევროს** ღირებულების საქონელი შეისყიდა და ჩვენ იმის გამო გვსაყვედურობენ, რომ რუს ტურისტს საქართველოში პირდაპირი რეისით ჩამოფრენის საშუალება ექნება?!

ამერიკის ხელისუფლებასაც და ელჩ დეგნანსაც ერთ რამეს შევახსენებ: როცა ამერიკამ კუბას შაქრის ბლოკადა გამოუცხადა, დიდმა მწერალმა **ერნესტ ჰემინგუეიმ** თქვა — როგორც ჩანს, იდიოტები კუბას მოსკოვისათვის საჩუქრად ამზადებენო! **ასეც მოხდა — ამერიკელებმა იმდენი ქნეს, კუბა საბჭოთა კავშირის მოკავშირედ აქციეს!**

**— დაბოლოს: საქართველოსთან მიმართებაში კვლავ გააქტიურდა ზელენსკის ხელისუფლების ერთ-ერთი სახე და მისი პარტიის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი უკრაინის რადაში დავით არახამია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას დამხობით ემუქრება და ულტიმატუმსაც უყენებს — სააკაშვილი და გვარამია პატიმრობიდან გაათავისუფლეთ, თორემ საერთაშორისო სანქციები არ აგცდებათო...**

— არახამია სააკაშვილის პირდაპირი თანამზრახველი და პირწავარდნილი კრიმინალია, რომელიც რადაში საპარლამენტო უმრავლესობას ქურდული წესებით მართავს და ეს უკრაინაში ყველამ იცის.




**მახსენდება შესანიშნავი უკრაინელი მეცნიერისა და პოლიტოლოგის სერგეი რუდენკოს სიტყვები – უკრაინის გადარჩენის ერთადერთი გზა არახამიასათვის პირის ამოკერვა არისო!**

საკმაოდ ხშირი კომუნიკაცია მაქვს ინტელიგენტ, პატრიოტ უკრაინელებთან და მათგან არაერთხელ მომისმენია — **მთავარია, ეს ომი როგორმე დასრულდეს და მერე არახამიასნაირი ბარეწრები პასუხს აუცილებლად აგებენო!** დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება და არახამია თავისნაირი კრიმინალების — სააკაშვილისა და გვარამიას მსგავსად განსასჯელის სკამზე აღმოჩნდება!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***





„სააკაშვილის ნაცები, ბოკერიას ნაცები, გიორგი ვაშაძის ნაცები, ზურაბ–გირჩი ჯაფარიძის ნაცები და ელენე ხოშტარიას ნაცები ერთი პრინციპით მოქმედებენ და საზრდოობენ — რაც უარესია საქართველოსთვის, მით უკეთესია მათთვის!“




„ამერიკის ხელისუფლებასაც და ელჩ დეგნანსაც ერთ რამეს შევახსენებ: როცა ამერიკამ კუბას შაქრის ბლოკადა გამოუცხადა, დიდმა მწერალმა ერნესტ ჰემინგუეიმ თქვა – როგორც ჩანს, იდიოტები კუბას მოსკოვისათვის საჩუქრად ამზადებენო! ასეც მოხდა – ამერიკელებმა იმდენი ქნეს, კუბა საბჭოთა კავშირის მოკავშირედ აქციეს!“

## კვირგვინოსნები

**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში*



თუ **„გირჩელებს“** პატრიოტიზმი ადარდებთ, თავდაცვის ახალ კოდექსს მხარი დაუჭირონ. კანონი მოგწონს თუ არა, **სავალდებულო სამხედრო სამსახურის** გავლის ფორმა მოგწონს თუ არა, სახელმწიფოსა და ჯარს კრიჭაში არ უნდა ჩაუდგე.

„ახალი თაობა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



„ქოცები“ **არანაირი კონსერვატორები არ არიან, არც ლიბერალები არიან** — ისინი ნებისმიერი ვინმე გახდებიან, **შეიძლება ლგბტ პრაიდზე დადგნენ,** თუ ხელისუფლების შენარჩუნებას დასჭირდება.

„ინტერპრესნიუსი“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*



ვიდრე არის ეს ხელისუფლება, მანამდე **ვერ დავბრუნდებით თავისუფალ სამყაროში,** ვერ გავხდებით ნატოს და ევროკავშირის წევრი.

„პალიტრანიუსი“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



შიდსით რომ ხარ დაავადებული და განგებ ცდილობ, გადასდო ბევრ ადამიანს, ამას მაგონებს **კეზერაშვილი.** ნაციონალური მოძრაობის მართვის ბერკეტებს სრულად ფლობენ **დავით კეზერაშვილი, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი.**

„TV პირველი“

**ხატია დეკანოიძე**
*ოპოზიციური პარლამენტარი*



**ადამიანურად მეცოდება სააკაშვილი!** ის ადამიანები თუ გრძნობენ პასუხისმგებლობას, **ტელევიზიებში რომ კიოდნენ, ჩამოდი, მეგობაროო?!**

„პირველი არხი“

**მოჯადოებული წრე**

# ფაშიზმია, როცა მსოფლიო

# 1933

**ზუსტად 90 წლის წინათ, 1933 წლის 10 მაისს, ბერლინში, ბებელის მოედანზე,** სტუდენტთა ნაციონალ-სოციალისტურმა კავშირმა ცეცხლს მისცა 20000-მდე წიგნი. კოცონი აგიზგიზდა გერმანიის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებშიც — **ბონში, მაინის ფრანკფურტში, მიუნჰენში...** განადგურდა 149 ავტორის ათასობით ნაწარმოები, მათ შორის, **შტეფან ცვაიგის, ზიგმუნდ ფროიდის, ჰენრიხ ჰაინეს, ბერთოლდ ბრეხტის, ჯეკ ლონდონის, ერნესტ ჰემინგუეის** და სხვათა ქმნილებები.

**ჰიტლერი** ამ დროისათვის ხელისუფლების სათავეში მხოლოდ 4 თვის მოსული იყო. მისი მითითებით **„ანტიგერმანული სულის“ ნაწარმოებები განადგურებას დაუქვემდებარეს.** ეს იყო ებრაელების, კომუნისტების, სოციალ-დემოკრატების, ლიბერალებისა და დეკადენტების ქმნილებანი. **სტუდენტები გამალებით ათავისუფლებდნენ თაროებს „მავნე“ ლიტერატურისაგან უნივერსიტეტების საცავებსა და წიგნის მაღაზიებში, მოუწოდებდნენ „გერმანელ**





# ფაშიზმიდან დემოკრატიამდე,










# დემოკრატიაა, როცა დასაწვავ

**კვირგვინოსნები**

**გია გაბრიჭიძე**
*ჟურნალისტი*



**არაფერს ვიტყვი** განათლების სისტემაზე, რომელიც ძირფესვიანად შესაცვლელია, **არაფერს ვიტყვი** ილიაუნზე, **არაფერს ვიტყვი** იმ სტუდენტებზე, ვისაც ეს არსება ასწავლის, არც იმ სტუდენტების მშობლებზე, ვინც „ბედნიერია“, რომ მათ შვილებს ეს „ასწავლის“. **უბრალოდ ვიტყვი,** რომ ამან, ეტყობა, ჯერ სარკეში ჩაიხედა, მერე თავის მსგავს „ლექტორებს“ გადახედა და ის „დასკვნა“ გამოიტანა.

„იმედინიუსი“

**ავთანდილ არაბული**
*ენათმეცნიერი, აკადემიკოსი*



თუ მიზნად **„ეროვნული სკოლის“** აგებას არ დავისახავთ, შედეგი არ გვექნება.

„საერთო გაზეთი“

**ზურა მანჯავიძე**
*ანსამბლ „ფორტეს“ ხელმძღვანელი, მომღერალი*



ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო წლების განმავლობაში **არამარტო მე, ჩემი ანსამბლიც შავ სიაში იყო.** ყოველგვარი საშუალება კონცერტებზე გამოსვლისა მოგვესპო, **ჩემი სიცოცხლეც საფრთხეში იყო,** ამას მითვლიდნენ და მეუბნებოდნენ კიდეც.

„სარკე“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**„ქართული ოცნება“ არ იმსახურებს** კანდიდატის სტატუსს — ქართველი ხალხი და **საქართველო იმსახურებს!**

„იმედინიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



ცუდი რა არის, საქართველოში **ახალგაზრდებმა იცოდნენ იარაღთან დამოკიდებულება,** რუსეთი რომ ნახავს, **ყველა ბუჩქთან შეიარაღებული ადამიანი დახვდება,** აღარ გაბედავს, რასაც წლებია, ბედავს.

„პირველი არხი“

# შედევრებს და ხალხს წვავენ!

**პატრიოტებს" სპეციალურად შექმნილ მიმღებ პუნქტებში მოეტანათ სახლში აღმოჩენილი ყოველგვარი „სულიერი სამსალა".** მასობრივი აუტოდაფე არნახული ორგანიზებულობით ჩატარდა. პროპაგანდის სამინისტრომ მოამზადა სპეციალური მოწოდებები, რომელთა ფონზეც წიგნებს ცეცხლის ალი ნთქავდა. ბერლინის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე სიტყვა წარმოთქვა **გებელსმა** და კმაყოფილებით დასძინა, რომ **ხდება „გერმანელი ერის განწმენდა".** დაფდაფების ფონზე გერმანიის რადიოსადგურები აწარმოებდნენ პირდაპირ რეპორტაჟს საყოველთაო აღფრთოვანების თანხლებით. რამეთუ 10 მაისს გერმანიის ზოგიერთ რეგიონში წვიმდა, ნაცისტებმა **„ანტიგერმანული სულის წინააღმდეგ" დაგეგმილი აქციები** რამდენიმე დღით გადაიტანეს. მაგალითად, **ჰამბურგში** — 15 მაისისათვის, **კიოლნსა** და **ჰაიდელბერგში** — ორი დღით გვიან. ასე ახდა **ჰაინეს** ლეგენდარული წინასწარმეტყველება, გაჟღერებული მისი ტრაგედია **„ალმანზორის"** (1821) ერთ-ერთი გმირის ბაგეთაგან: **„იქ, სადაც წიგნებს წვავენ, ბოლოს ადამიანებსაც დაწვავენ!"**

1995 წელს იმ ადგილას, სადაც 90 წლის წინათ ნაცისტებმა ცეცხლში ჩაუძახეს არასასურველ ავტორთა ქმნილებანი, ძეგლი დაუდგეს დამწვარ წიგნებს. ესაა მინით დახურული ცარიელი თაროები წარწერით **„ამ მოედანზე 1933 წლის 10 მაისს ნაცისტი სტუდენტები წიგნებს წვავდნენ!"**

### ფაშისტურ გერმანიაში

**მოიერიშეები სწვავენ რევოლიუციურ ლიტერატურას**

**ბერლინი,** 11 მაისი. მოიერიშეები ყველგან აწყობენ „არანაციონალურ"—ებრაულ ლიტერატურის საზეიმო დაწვას. შავ სიაში შეტანილია **მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, ლიბკნეხტის, ლასალის, ბებელის, ბარბიუსის, სინკლერის** და აგრეთვე ბურჟუაზიული მწერლების—**ბერტი ხუნტნერის, ტომასის, ჰენრიხ მანნის, სტეფან ცვეიგის, არტურ შნიცლერის, რემარკის** და სხვ. ნაწარმოებნი (ადს)

***გაზეთი „კომუნისტი".***
*1933 წლის 14 მაისი, №109 (3665)*






# დემოკრატიიდან ფაშიზმამდე!




**1933 წელს** ევროპაში აღზევებული **ფაშიზმი როგორ ტრანსფორმირდა ლიბერალიზმად 2023 წლისათვის** და რა ასახვას პოვებს ეს დღევანდელ საქართველოში, **უფრო ვრცლად და დეტალურად წაიკითხეთ** „ასავალ-დასავალის" ამავე ნომერში, **მე-12-13 და 27-ე გვერდებზე.**

# 2023



**მაიკ ტაისონი:**

**სოციალურმა ქსელებმა ძალიან კომფორტული გახადა, შეურაცხყო ხალხი და პასუხად ყბაში არ გხიონ!**

# წიგნებს და ხალხს არ წვავენ!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ვის აინტერესებს **არახამია,** რომელმაც ქართული არ იცის, **დაბადებული და გაზრდილია რუსეთში.** პატივს არ სცემს საკუთარ წინაპარსაც, მშობლებს, **გვარი ბრაუნად გადაიკეთა.** ახლა თქვენ გგონიათ, ის საქართველოსთვის და ქართველებისთვის იბრძვის? **ერთხელ გინახავთ იარაღით ხელში ფრონტის ხაზზე? გინახავთ ბახმუტში ჩასული?** საქართველოს შიდა საქმეებში ჩასარევად სცალია? იცით, როგორ კარგად ვხედავ, **თუ როგორ გაასამართლებენ უკრაინელები დავით არახამიას და ასეთ ნაძირალებს?** ისინი უკრაინის ინტერესებს არ ემსახურებიან, რასაც უკრაინელი ხალხი და მთელი მსოფლიო მალე ნახავს.

„პირველი არხი"

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



მგონი, **არახამიას** ქართველ ხალხზე არასწორი წარმოდგენები აქვს. მისი მხრიდან არჩევნებზე საუბარი არის დარღვევა და **საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა** უკრაინელი პოლიტიკოსის მხრიდან.

„იმედინიუსი"

**ვაჩო მაქარიშვილი**
*მოძრაობა „აი ის" თანადამფუძნებელი*



**არახამიამ** ჯერ ევროპული ქვეყნებიდან უკრაინისთვის დახმარების სახით გაგზავნილი **ასეულობით მილიონი მიითვისა,** ახლა პენსიონერებს მიადგა და **„ქოლცენტრების"** მეშვეობით ძარცვავს.

„იმედინიუსი"

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



ვიღაცა **არახამიას** ნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული, საქართველო გახდება თუ არა ევროკავშირის წევრი? **ამას უნდა დავუხაროთ თავი?** ეს შეურაცხმყოფელია!

„POSTV"

**დავით არახამია**
*უკრაინის რადის ფრაქცია „ხალხის მსახურის" თავმჯდომარე*



დარწმუნებული ვარ, **საქართველოში არჩევნების შემდეგ ეს მთავრობა აღარ იქნება** ხელისუფლებაში.

„მთავარი არხი"

**_ყოფილმა პოლიტპატიმარმა და სამოქალაქო აქტივისტმა ვასილ გოგალაძემ, რომელიც 2011 წლის 26 მაისს ნაცსექტის კვაზიფაშისტურმა რეჟიმმა სრულიად უკანონოდ დააპატიმრა, 2023 წლის 8 მაისს თბილისში უკრაინის დროშა დაამხო. მომხდარის გამო ლიბერასტულ და გეი-ფაშისტურ მედიაში დღემდე ღრიანცელია ატეხილი, რასაც ჩვენი რესპონდენტი ღიმილით ხვდება:_**





# «მადლობა უფალს, ამის გაკეთება რომ შემაძლებინა!»

## ვასილ გოგალაძე:

# ჩემს ერს სირცხვილი მოვწმინდე, როცა ფაშისტი ზელენსკის დროშა ჩამოვაგდე!

— ჩემი აზრით, უკრაინის ტერიტორიაზე დაწყებულია სპეციალური სამხედრო ოპერაცია და სწორედაც **დენაციფიკაცია ზელენსკის იმ ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ,** რომელიც ამერიკელების მითითებითა და ბრძანებით, უკრაინელ ერს ანადგურებს. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და ქართველმა ხალხმა უკრაინელი დევნილები დააბინავა, სკოლები გაუხსნა და გულში ჩაიხუტა, ზელენსკი და მისი დამქაშები პროვოკაციებს არ წყვეტენ, რადგან ქვეყანაში მეორე ფრონტი არ გავხსენით და საქართველო სასაკლაოდ არ ვაქციეთ... ისინი დაკავშირებული არიან დასავლეთის აგენტურასთან, რომელსაც ჩვენი ქვეყნის განადგურება სურს და ყველაფერს აკეთებენ, რათა ამერიკელების დახმარებით გარეწარი სააკაშვილის ჯალათები ხელისუფლებაში მოაბრუნონ! საუბარია იმ მოღალატეებზე, რომლებმაც დაკარგეს ტერიტორიები, მიატოვეს ახალგორი, კოდორი და გაწირეს მშვიდობიანი მოსახლეობა.

**— ბატონო ვასილ, მაინც რა მოხდა ვაკის პარკში 2023 წლის 8 მაისს, რაზეც ლიბერასტულ და გეი-ფაშისტურ მედიას წივილ-კივილი აქვს ატეხილი?**

— 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმმა რუსთაველზე მოწყობილი ცნობილი რბევისა და სისხლისღვრის დროს სრულიად უკანონოდ დამიჭირა. საპყრობილიდან პოლიტპატიმრის სტატუსით 2013 წლის 13 იანვარს გამოვედი, როცა ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით ქართველმა ხალხმა ნაცმოძრაობა დაასრულა. 2023 წლის 8 მაისს ოჯახის წევრებთან ერთად ვაკის პარკში ვიყავი. ატრაქციონებთან რომ მივედი, დავინახე საქართველოს, ევროკავშირისა და უკრაინის დროშები, რომლებიც შტანდარტებზე იყო აღმართული. კიდევ ერთხელ ვაცხადებ: საცოდავი უკრაინელი ხალხის მიმართ, რომელიც ზელენსკის ფაშისტურ ხროვას გაწირული ჰყავს, მხოლოდ სიბრალულის გრძნობა გამაჩნია, მაგრამ

**იმ ქვეყნის დროშას, რომლის მოღალატეობრივ რეჟიმსაც ჩემი ქვეყნის პოლიგონად გადაქცევა და განადგურება სურს, ჩემს სამშობლოში ვერ შევეგუები. ამიტომაც უკრაინის დროშა შტანდარტიდან ჩამოვხსენი, ეს ყველაფერი მობილური ტელეფონის კამერით გადავიღე და სოციალური ქსელით**



ლაზარე გრიგორიადისი

**„რაც შეეხება ლიბერასტულ მედიებსა და ე.წ. „კლავიატურის ლომებს“, მათი „გმირი“ არის ლაზარე, რომელიც 7-8 მარტის ცნობილი მოვლენების დროს რუსთაველზე ქართველ ბიჭებს ცოცხლად გვიწვავდა!“**

**გავავრცელე, რათა ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.**

მადლობა უფალს, ამის გაკეთება რომ შემაძლებინა!

**რაც შეეხება ლიბერასტულ მედიებსა და ე.წ. „კლავიატურის ლომებს“, მათი „გმირი“ არის ლაზარე, რომელიც 7-8 მარტის ცნობილი მოვლენების დროს რუსთაველზე ქართველ ბიჭებს ცოცხლად გვიწვავდა.** ე.წ. „კლავიატურის ლომების“ არც არასდროს შემშინებია და არც ახლა მეშინია... ნეტავ, რისი თავი აქვთ, აქ ვარ, არსად გავრბივარ...

**— თქვენ წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდა ე.წ. ჩინელი რემბო — დავით ქაცარავა!**

— ქაცარავას თუ რუსები არ უყვარს და ეზიზღება, მაშინ





ბორჯომის ხეობაში, სადაც რუსი ტურისტებისთვის ჯომარდობის ტურებს აწყობს, მათთან ალიანსში რატომ არის? ბორჯომელი კაცი ვარ, კარგად ვიცი, იქ რაც ხდება და მაგ პიროვნების მიმართ შეკითხვები მაქვს. **რუსი ტურისტები ბორჯომში რომ შემოდიოდნენ, მაგათი დახვედრა, პატივისცემა, რესტორნებში გრიალი და დროსტარება სწორედ დავით ქაცარავას ჰქონდა დავალებული. როცა ვნახავ, ამაზე პასუხი უნდა გამცეს...** „ჩინელი რემბო“ თუ ასეთი მაგარია, მაშინ აიღოს იარაღი და ბახმუტში იომოს, სადაც თითქმის ყველა ქვეყნიდან არიან ჩასული დაქირავებული მებრძოლები.

**— დროშა რომ ჩამოხსენით, მერე როგორ განვითარდა მოვლენები?**

— დროშა რომ ჩამოვხიე და ჩამოვხსენი, დაცვის სამსახური მოვიდა. ეს უკვე აღარ გადამიღია და არც იყო საჭირო, მაგრამ ხმამაღლა დავიწყე საუბარი და დაცვას მივმართე — აქ რომ ვიღაც მომეკაროს და დამიწყოს — **„შე რუსეთის მონა!“** — აქვე დედას მო... ავ-მეთქი (ცენზურა ჩვენია. რედ.)! მართლაც, კაი დედის შვილი იყო და, ვინმე მომკარებოდა... ვინც

მიცნობს, იციან, რომ არ ვარ ჯაბანი კაცი, არც უკან დავიხევდი და ძალიან ცუდად განვითარდებოდა იქ ყველაფერი...

**— ინციდენტის დროს პარკში ფიზიკური დაპირისპირებისა და შეხლა-შემოხლის საფრთხე არსებობდა?**

— არა, ახალგაზრდა ბიჭები, დაცვის წევრები, ყველა გაეცალა ტერიტორიას და ვერავინ მომეკარა... მხოლოდ ის იყო, რომ სამოცდაათ წელს გადაცილებული ბაბუ მოვიდა და მთხოვა — შვილო, იქნებ დროშა მაინც დააბრუნო, ადმინისტრაცია პრობლემებს შეგვიქმნისო! — აჰა, პაპა, წაიღეთ-მეთქი! — და ბერიკაცს დაჭმუჭნილი დროშა დავუბრუნე. მეტი რა უნდა გითხრათ — **მიმაჩნია, რომ ჩემს ერს სირცხვილი მოვწმინდე, როცა ფაშისტი ზელენსკის დროშა ჩამოვაგდე!**

**— მომხდარის გამო ადმინისტრაციული წესით დაგაჯარიმეს?**

— დიახ, ვაკის პოლიციაში დამიბარეს და ადმინისტრაციული წესით დამაჯარიმეს. ეს ჯარიმა ჩემთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს და ვერც იმას მეტყვის ვინმე, რომ მე, **ვასილ გოგალაძეს,** უკრაინის დროშის ჩამოხევა ვინმემ დამავალა.

**ეს გავაკეთე ჩემი რწმენით, ზელენსკის ფაშისტური ხროვისადმი პროტესტის ნიშნად. მიმაჩნია, რომ საქართველოს მტერი არის არა რუსეთი, არამედ ის ლიბერასტულ-ფაშისტური სექტა, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში თვით რუსეთიც დატყვევებული და დამონებული ჰყავდა.**

ეს არის სენი, რომელიც ქვეყნისთვის საშიშია... უამრავი ინსინუაცია გაჩნდა იმის შესახებ, თუ ვის ბანაკში ვარ და ვის ვემხრობი პოლიტიკურად... **ხაზგასმით ვაცხადებ — მხარს ვუჭერ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკურ კურსს, თუმცა, მე და ჩემს მეგობრებს ძალიან უხერხულ მდგომარეობას გვიქმნის ის ფაქტი, რომ სააკაშვილის რეჟიმის მსახური ამდენი მოსამართლე და პროკურორი დაწინაურებულია და სამართლიანობა დღემდე ვერ აღდგა.**

„ქართულ ოცნებაში“ დღეს უამრავი პორტირებული ნაცია, რომლებმაც პარტიიდან ვაჟკაცი და მებრძოლი ბიჭები გარეკეს!

**— როცა უკრაინის შესახებ ვსაუბრობთ, მოდით, საზოგადოებას გავახსენოთ ის ფაქტიც, რომ 2010 წლის 9 მაისს, აგვისტოს ომიდან ორი წლისთავზე, წითელ მოედანზე გამართულ პარადზე უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმაც მიიღეს მონაწილეობა და პუტინის წინ მარშით ჩაიარეს! ეს არის უკრაინისა და საქართველოს მეგობრობა?**

— სანამ ზელენსკის ფაშისტური ხროვა უკრაინის ხელისუფლებაშია, მანამ უკრაინის სახელმწიფოს საქართველოს მიმართ მტრული დამოკიდებულება ექნება! დედა მყავს სამაჩაბლოდან და ძალიან კარგად ვიცი, როგორ კარგად ცხოვრობდა იქ ხალხი. ვისაც შრომა არ ეზარებოდა, რუსეთში გაჰქონდა ჭირნახული... ქართველი გლეხისთვის რუსული ბაზარი სასიცოცხლო არტერიაა. ნუ გადავუსვამთ ყველაფერს ხაზს...



## „სანამ ზელენსკის ფაშისტური ხროვა ხელისუფლებაშია, უკრაინის სახელმწიფოს საქართველოს მიმართ მტრული დამოკიდებულება ექნება!“



## „სააკაშვილმა და მისმა ხროვამ საქართველო სწორედ თავიანთი ხუთჯვრიანი, პარტიული დროშით დაანგრიეს და თაობები მოწამლეს!“



დავით ქაცარავა

**„რუსი ტურისტები ბორჯომში რომ შემოდიოდნენ, მაგათი დახვედრა, პატივისცემა, რესტორნებში გრიალი და დროსტარება სწორედ დავით ქაცარავას ჰქონდა დავალებული. როცა ვნახავ, ამაზე პასუხი უნდა გამცეს!“**

**1801 წლიდან მოყოლებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ბევრი კარგიც მოხდა – შობადობა გაიზარდა, ქართველმა ერმა ფიზიკური განადგურების საფრთხე აირიდა, ქვეყანა დამშვიდდა, ხელოვნება და კულტურა აყვავდა, ბოლოს და ბოლოს, ილია ჭავჭავაძემ „ასის წლის წინათ“ დაწერა...**

**— უკრაინის დროშის მსგავსად, განა სააკაშვილის პარტიული დროშაც არ არის მოსაშორებელი?**

— როცა სააკაშვილმა **ლომაია** განათლების მინისტრად დანიშნა და ე.წ. „განათლების რეფორმა“ დაიწყო, მამაჩემი, რომელიც ისტორიკოსია და 22 წლის განმავლობაში სკოლის დირექტორი იყო, რაიონში გამართული თათბირიდან აღელვებული დაბრუნდა და თქვა — განათლებას ანგრევენო!

**სააკაშვილმა და მისმა ხროვამ საქართველო სწორედ თავიანთი ხუთჯვრიანი, პარტიული დროშით დაანგრიეს და თაობები მოწამლეს.** წმინდა გიორგიც კი შეატრიალეს და უკუღმა გამოსახეს, რაც შემთხვევით არ მომხდარა. ამას სერიოზული მკურნალობა სჭირდება... ერთი რამ მინდა საგანგებოდ განვაცხადო — მოგეხსენებათ, როცა ბიძინა ივანიშვილმა ეს მონსტრი დაამარცხა, 2013 წლის 13 იანვარს ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გავთავისუფლდი. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვაფასებ, პოლიტპატიმართა იმ 190-კაციან სიაში ბევრი უღირსი იყო... თუ რა მოხდა მაშინ, ვინ შეიყვანა ეს ადამიანები იმ სიაში და, საერთოდ, რასთან გვქონდა საქმე, ამის შესახებ უახლოეს მომავალში აუცილებლად დეტალურად ვისაუბრებ!

**— პუტინმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმა, რას იტყვით?**

— ეს არის ისტორიული დღე და ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო გადაწყვეტილება, რასაც მთელ საქართველოს ვულოცავ! **პრეზიდენტ პუტინის ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად მოჰყვება დასავლეთის აგენტურისა და მთელი სალიბერასტეთის პროვოკაციები, რომლებიც მომხდარით ჭკუიდან არიან გადასული.** არ გამოვრიცხავ, მათ საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიონ. ამიტომ მოვუწოდებ ქართველ პატრიოტებს — გამოიჩინეთ მაქსიმალური სიფრთხილე და მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნება, რათა ამ მოღალატეებს თავიანთი შავბნელი მიზნების განხორციელების საშუალება არ მივცეთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# დემურ გიორხელიძე:

# რუსეთისათვის ძალიან ხელსაყრელია, რომ სამხრეთ კავკასიაში საქართველოს სახით ძლიერი და მიუმხრობელი სახელმწიფო არსებობდეს!

***როგორც კი ცნობილი გახდა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და პირდაპირი ფრენების აღდგენის შესახებ, ნაცლიბერალურ წრეებში დიდი ვაიუშველებელი ატყდა — პროდასავლური რელსებიდან გადასულმა „ქართულმა ოცნებამ“ რუსეთის მიმართულებით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა! რეალურად, რასთან გვაქვს საქმე და რა გაგრძელება შეიძლება, მოჰყვეს პუტინის მიერ საქართველოსათვის სანქციების მოხსნას? ამ საკითხზე ანალიტიკოსი და ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე გვესაუბრება:***



— რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და პირდაპირი ფრენების აღდგენის კვალდაკვალ საზოგადოების ერთ ნაწილში ატეხილი ისტერიკა ნეოლიბერალთა სრული უგუნურების მორიგი გამოვლინებაა. **ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, უკვე რამდენიმე თვეა, რუსეთი საქართველოს ნომერ პირველ სავაჭრო პარტნიორად იქცა, თურქეთმა კი მეორე ადგილზე გადაინაცვლა.**

ყოველგვარ იდეოლოგიას თავი რომ დავანებოთ, რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით საქართველო სარგებელს იღებს და ამ სარგებლით ის ნეოლიბერალური იდეოლოგიით გახრწნილი ადამიანებიც იკვებებიან, რომლებიც სისულელეების ლაპარაკის მეტს არაფერს აკეთებენ.

**— ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმებითა და პირდაპირი ფრენების აღდგენით საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი კიდევ უფრო გაიზრდება?**

— რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და მათ მიერ ბოლო ერთ წელიწადში საქართველოში 2 მილიარდ დოლარზე მეტი იქნა გადმორიცხული, რაც სიკვდილის პირას მყოფ ქართულ ეკონომიკას არსებობას უხანგრძლივებს. ამ რეალობაში სავიზო რეჟიმის გაუქმება და პირდაპირი ფრენების აღდგენა ბევრს არაფერს შეცვლის, უბრალოდ, ადამიანები, რომლებიც თბილისსა და მოსკოვს შორის მოძრაობენ, ამიერიდან უფრო იოლად შეძლებენ მიმოსვლას.

**ზოგადად, რუსეთს საქართველოსთან ბევრი რამ შეეშალა და, მათ შორის, სავიზო რეჟიმის დაწესებაც და პირდაპირი ფრენების აკრძალვაც მცდარი გადაწყვეტილება იყო. აღარაფერს ვამბობ კატასტროფულ შეცდომაზე, რომელიც რუსეთმა საქართველოს წინაშე 1992 წელს აფხაზეთში დაუშვა.** მიუხედავად ყველაფრისა, მომავალზე უნდა ვიფიქროთ და თუ საქართველოს ხელისუფლება, იდეოლოგიური გავლენების გამო, საქმეს ძალით არ გააფუჭებს, საქართველოს პერსპექტივა უჩნდება, ყველა დიდი პრობლემა წარმატებით გადაჭრას.

**— ნაციონალური მოძრაობისა და ლიბერალური წრეების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ პუტინის გადაწყვეტილება ერთგვარი ჯილდოა „ქართული ოცნებისათვის“, რომელმაც პროდასავლური კურსი უარყო და პრორუსული პოლიტიკის გატარება დაიწყო...**

— იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს ხელისუფლება პრორუსულ პოლიტიკას ატარებს, აბსოლუტური სისულელეა, რადგან საქართველოს ხელისუფლებას ორიენტაცია საერთოდ არ გააჩნია, ორ სკამზე ჯდომას ცდილობს და ვერ გაურკვევია, როგორ უნდა გადადგას სწორი ნაბიჯები მსოფლიოში შექმნილი სრულიად ახალი რეალობის ფონზე. **კიდევ უფრო დიდი სიშტერეა იმის ძახილი, თითქოს საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს დასავლურ ორიენტაციაზე, რადგან არც „ქართული ოცნება“ და არც მისი მოწინააღმდეგე ჯგუფები რეალურად პროდასავლურები არასოდეს ყოფილან.**

**— თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— ბოლო 32 წლის განმავლობაში, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს, ვინ დაგვიშალა, საქართველოში გაგვეკეთებინა ყველაფერი, რაც ევროპაში ასე ძალიან მოგვწონს? ვინ შეუშალა ხელი ჩვენს ხელისუფლებებს, აეშენებინათ კლასიკური ტიპის ევროპული სახელმწიფო, შეექმნათ წესიერი კანონმდებლობა და განათლების სისტემა, უარი ეთქვათ კლანურ მმართველობაზე და წინ წამოეწიათ განათლებაზე ორიენტირებული საღი ახალგაზრდობა? როცა ამ ყველაფერს არ აკეთებ და გაიძახი — ევროპაში მინდაო, წმინდა წყლის დემაგოგი ხარ!

დასავლეთს მილიარდ დოლარზე მეტი აქვს დახარჯული საქართველოში მკვდარი, არაფრის მაქნისი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე, ქართული ეკონომიკის განვითარებაში კი ამის მეათედი ფულიც არ ჩაუდია. დასავლურ დაფინანსებაზე მყოფი ნეოლიბერალური ჯგუფები ახლა შეშინებული არიან — ვაითუ, საქართველომ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას მიაღწიოსო! მინდა, გითხრათ, სწორადაც ეშინიათ, რადგან, თუ საქართველო დალაგდება და თავის მეზობლებთან ჯანსაღ ურთიერთობებს დაამყარებს, დასავლეთის ხელის შემყურე ამ ნეოლიბერალებს აღარავინ დააფინანსებს. დალაგებულ საქართველოში ამ ფულზე გაყიდულ მონებს სამსახურშიც კი არავინ მიიღებს, რადგან საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედების მეტი არაფერი შეუძლიათ.

**— რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებითა და პირდაპირი ფრენების აღდგენით გამოწვეულ შეშფოთებას ვერც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი და ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლები მალავენ. კელი დეგნანი აცხადებს, რომ ახლა საქართველოს რუსეთთან დაახლოების დრო არ არის!**

— 27 წელია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთისათვის საქართველოს ერთადერთი ფუნქცია აქვს — საჭირო მომენტში გამოყენებული იქნას რუსეთის წინააღმდეგ! **საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, თუ სურს, მომავალი ჰქონდეს, უარი უნდა თქვას თავის ისტორიულ უბედურებაზე, როცა დიდ კონფლიქტებში ყოველთვის ვილაცის მხარეს და ვილაცის წინააღმდეგ იბრძოდა.** საუკუნეების მანძილზე სხვათა ომებში მონაწილეობის გამო გავიჟლიტეთ და ტერიტორიებიც დავკარგეთ. თუ ამ გზას არ გადავუხვევთ და პრაგმატულ პოლიტიკაზე არ გავაკეთებთ აქცენტს, წინ კიდევ ბევრი უბედურება გველის!

**— „პრაგმატულ პოლიტიკაში“ რას გულისხმობთ?**

— როგორც უკვე აღვნიშნეთ, **სავიზო რეჟიმის გაუქმება და პირდაპირი ფრენების აღდგენა, ეკონომიკური თვალსაზრისით, ბევრს არაფერს შეცვლის, სამაგიეროდ, ქმნის სასურველ გარემოს რუსეთსა და საქართველოს შორის მომავალი მოლაპარაკებებისათვის, სადაც სტრატეგიული საკითხები უნდა გადაწყდეს.** რეალურად, ჩვენ რუსეთთან ერთადერთი საკითხი გვაქვს მოსაწესრიგებელი, რაც უსაფრთხოებას უკავშირდება.

**— კერძოდ?**

— რუსეთისაგან უნდა მივიღოთ გარანტია, რომ საქართველოს მისგან საფრთხე არ ელის და სანაცვლოდ ასევე მივცეთ გარანტია, რომ არც საქართველოდან დაემუქრება რუსეთს არავითარი საშიშროება! ეს არის ერთადერთი თემა, სხვა ყველაფერი მეათეხარისხოვანია!

რუსეთისათვის, მისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ძალიან ხელსაყრელია, რომ სამხრეთ კავკასიაში საქართველოს სახით ძლიერი და მიუმხრობელი სახელმწიფო არსებობდეს. ხაზს ვუსვამ — **მიუმხრობელი და არა ნეიტრალური!** ეს ორი სხვადასხვა რამეა და რუსეთმაც კარგად იცის, რომ სამხრეთ კავკასიაში ნეიტრალიტეტი შეუძლებელია.

**— ე.ი. ფიქრობთ, რომ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში მრავალწლიანი „პოლიტიკური გამყინვარების“ შემდეგ შესაძლოა, დიალოგისა და მოლაპარაკების ეტაპი დადგეს?**

— საქართველოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი აქვს მოსაგვარებელი — **აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ჯერ მენტალურად უნდა დავიბრუნოთ, შემდეგ კი შემოვუერთოთ ქართულ სახელმწიფოს, სადაც მათ თავიანთი მნიშვნელოვანი და ღირსეული ადგილი ექნებათ.** ამის გაკეთება მხოლოდ დიალოგით არის შესაძლებელი და თუ ქართული სახელმწიფოს მესვეურები პრაგმატული პოლიტიკის ფარგლებში იმოქმედებენ, ჩვენ გარანტირებულად გადავჭრით ყველა დიდ პრობლემას, რაც კი საქართველოს წინაშე დგას!

დღეს სამხრეთ კავკასია, ახლო აღმოსავლეთთან და შუა აზიასთან ერთად, მსოფლიო გეოპოლიტიკის ეპიცენტრად არის ქცეული, რის გამოც საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ ნეოლიბერალური იდეოლოგიით გახრწნილი მახინჯი ადამიანების ჭკუაზე სიარულს თავი დაანებოს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***




**„დასავლურ დაფინანსებაზე მყოფი ნეოლიბერალური ჯგუფები ახლა შეშინებული არიან — ვაითუ, საქართველომ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას მიაღწიოსო!“**

**„დასავლეთს მილიარდ დოლარზე მეტი აქვს დახარჯული საქართველოში მკვდარი, არაფრის მაქნისი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე, ქართული ეკონომიკის განვითარებაში კი ამის მეათედი ფულიც არ ჩაუდია!“**

## კვირგვინოსნები

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**უკრაინა მალე,** მაისის ბოლომდე, მაქსიმუმ ივნისში, **მოუგებს რუსეთს.**

„ალია“

**რობერტ ფრენსის კენედი (უმცროსი)**
*ამერიკელი პოლიტიკოსი*



**რუსეთი ვერ დამარცხდება უკრაინის ომში,** რადგან ეს ეგზისტენციური საკითხია.

„რეზონანსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, **2009 წლის აღლუმზე,** წითელ მოედანზე, უკრაინელები უკრაინული დროშით დააბიჯებდნენ — **ვის რაში ენაღვლებოდა ქართველების დაღვრილი სისხლი!**

„იმედინიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



საქართველო ჯერ კიდევ მანამდე იყო **ევროპული ოჯახის წევრი,** სანამ ევროკავშირი შეიქმნებოდა.

„იმედინიუსი“

# „დღევანდელი ევროპა აღარაფრით ჰგავს იმ ევროპას, რომელიც დანტეს, გოეთესა და შექსპირს ასაზრდოებდა! დღევანდელი ევროპა თავისი აზროვნებითა და კულტურით კუბილიუსს, ფოტიგასა და ფონ კრამონს დაემსგავსა!“

## ელიზბარ ჯაველიძე: ხვალ რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო რომ დაგვიბრუნოს, ნაძირალა ნაცლიბერალები ამასაც გააპროტესტებენ!

***რუსეთის მიერ საქართველოსათვის სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და პირდაპირი ფრენების აღდგენის კვალდაკვალ, რასაც ნაცლიბერალური ოპოზიციის ისტერიკა მოჰყვა, საქართველოს განათლების ყოფილ მინისტრს, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ვესაუბრებით:***

— პუტინის მაქებარი ნამდვილად ვერ ვიქნები, რადგან რუსეთმა საქართველოს აფხაზეთის სახით თავი წააცალა და სამაჩაბლოს სახით გული ამოგლიჯა, მაგრამ სავიზო რეჟიმის გაუქმება და პირდაპირი ფრენების აღდგენა ნამდვილად დადებითი და მისასალმებელი გადაწყვეტილებაა. სხვა თუ არაფერი, ის ხალხი მაინც იგრძნობს შვებასა და შეღავათს, ვისაც საქართველოდან რუსეთში და რუსეთიდან საქართველოში სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის გავლით უწევდა მგზავრობა.

**— ამ ხალხის ბედი საერთოდ არ ანაღვლებთ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს — ნაცებსა და მათ დამქაშებს, რომლებიც რუსეთის მიერ საქართველოსათვის სანქციების მოხსნას ხმის ჩახლეჩამდე აპროტესტებენ!**

— სულ ვამბობ, რომ არავითარი რადიკალური ოპოზიცია არ არსებობს — ესენი არიან საქართველოსა და ქართველი ხალხის გამოკვეთილი მტრები! ხვალ რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო რომ დაგვიბრუნოს, ნაძირალა ნაცლიბერალები ამასაც გააპროტესტებენ! გაიხსენეთ, რას აცხადებდნენ **თინა ხიდაშელი და ძმები ბერძენიშვილები** ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში — **აფხაზებს დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის უფლება გააჩნიათ, ჩვენ კი არავითარი უფლება არ გვაქვს, ამაში ხელი შევუშალოთო!** რესპუბლიკელები იმასაც ამბობდნენ, რომ საქართველოსათვის კორუფცია უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, ვიდრე აფხაზეთი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა!

**— რუსეთის მიერ საქართველოსათვის სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და პირდაპირი ფრენების აღდგენას არც ამერიკის ელჩი კელი დეგნანი იწონებს!**

— ამერიკის ელჩის სიტყვას ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს, რადგან ეს ქალი საქართველოს გათახსირებული მტრების — ნაცების მხარეს დგას! საერთოდ, **ამერიკას ვერასოდეს ვაპატიებ იმას, რომ „დემოკრატიის შუქურად“ გამოგვიცხადა სააკაშვილი, რომელმაც საქართველოსა და ქართველებს უფრო მეტი დაუშავა, ვიდრე თემურ ლენგმა და მურვან ყრუმ!**

ჯერ კიდევ 2010 წელს გამოცემულ წიგნში მიწერია, რომ ამერიკა არის ცხვრის ქურქში გახვეული მგელი, რომლის მთავარ მიზანსაც მსოფლიო იმპერიის შექმნა წარმოადგენს და ამისათვის ყველანაირ ბოროტებაზეა წამსვლელი. ამერიკას სრულებითაც არ აინტერესებს ქართული სახელმწიფო და ქართველი ერი, მას საქართველო მხოლოდ ტერიტორიად სჭირდება, საიდანაც რუსეთს საკუთარ რაკეტებს დაუმიზნებს.

ეს ომიც უკრაინაში ამერიკის ატეხილია, ერთი ტომის ორი ხალხი — უკრაინელები და რუსები ერთმანეთს წაჰკიდა და ორივეს ხარჯზე სარგებელს ნახულობს. უკრაინა მიწასთან სწორდება და რუსეთი სუსტდება, ამერიკა კი ევროპაში საკუთარ ჰეგემონიას აძლიერებს. აკი, საფრანგეთის პრეზიდენტმა **მაკრონმაც** კი დაიჩივლა — ამერიკასთან მეგობრობა არ ნიშნავს, რომ მისი ვასალები უნდა ვიყოთო!

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთის გადაწყვეტილება იმას ხომ არ ემსახურება, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მისცენ?**

— **საერთოდ, ღირს კი საქართველოს იმ ევროპაში შესვლა, სადაც ძველი, ნამდვილი ევროპული კულტურა აღარ არსებობს?!** დღევანდელი ევროპა აღარაფრით ჰგავს იმ ევროპას, რომელიც დანტეს, გოეთესა და შექსპირს ასაზრდოებდა! დღევანდელი ევროპა თავისი აზროვნებითა და კულტურით კუბილიუსს, ფოტიგასა და ფონ კრამონს დაემსგავსა! და მაინც, თუ საქართველო ევროპაში შევა, ჩვენ იქ შევალთ ღირსეულად, ჩვენი კულტურითა და ტრადიციებით, რომელიც არც ერთნაირსქესიანთა ოჯახებს ცნობს და არც ბავშვებისათვის სქესის შეცვლას. **ამაყი ვიყავი, როცა ვუსმენდი უნგრეთში ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას, რომელმაც მთელ ევროპას გააგონა ქართველი ერის ხმა — ჩვენთვის მთავარი ღირებულებები მამული, ენა და სარწმუნოება არისო!** ჩვენი ხსნა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულში, ზნეობასა და ღმერთის რწმენაშია. თუ ამას გადავარჩენთ, საქართველოც გადარჩება, თუ არადა, გადაშენება გვიწერია!





### „ამერიკის ელჩის სიტყვას ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს, რადგან ეს ქალი საქართველოს გათახსირებული მტრების — ნაცების მხარეს დგას!“



**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააკაშვილის სარჩელი, რომლითაც იგი სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანას ითხოვდა?**

— სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სააკაშვილი ჩამოყალიბებული აფერისტია! თუმცა, მისი ყველაზე დიდი ნაკლი სიმხდალე და სილაჩრე გახლავთ. წლების წინათ, როცა დავწერე, რომ სააკაშვილი კალიგულას ჰგავს და ჩამოვთვალე ოცი ნიშან-თვისება, რომელიც მათ აერთიანებთ, პირველი სწორედ **შიში** დავასახელე — სააკაშვილიც ისეთივე მშიშარაა, როგორიც კალიგულა იყო! **მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ სააკაშვილი სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაშვებას კი არა, „ვივამედიდან“ სხვა ქართულ კლინიკაში გადაყვანასაც არ საჭიროებს, ხელისუფლებას ისღა დარჩენია, ეს აფერისტი და ლაჩარი ციხეში დააბრუნოს!**

*ესაუბრა* **ჯაბა ხუბუა**

## ქვირგვინოსნები

**ნინო ნილოსანი**
*პარლამენტარი*



***„სისხლიანი რევოლუცია“, „პარტიულ და რევოლუციურ განწყობაზე 100 პროცენტით ჩართული ვართ და ვეთანხმებით“, „თავისუფლების ვიქენდები პროტესტების ტალღად უნდა გარდაიქმნას“, „ყველა მიდის იქამდე რომ ეს აქციები, მიტინგები დაპირისპირებაში გადავიდეს“, „ამ გეგმაში ელოდებიან პასუხს — შევვარდეთ“, „ახლა ნიადაგი მზადდება — რაზე ხართ წამსვლელი“, „მე რომ მივაწვები და შევალ, მომყვებით?“, „გადატრიალების მცდელობაზე ციხეა, მაგრამ გადატრიალებაზე აღარაფერი — მერე ვინღა დაგიჭერს“, „სისტემის პარალიზება უნდა მოახდინო“,*** ეს გახლავთ „გირჩის“ და „ინდივიდუალური თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე გაჟღერებული ფრაზები. ეს ის საკითხებია, რომლითაც, სამწუხაროდ, ახალგაზრდებს კვებავენ.

„იმედინიუსი“

**ზურაბ ჯაფარიძე**
*„გირჩი-მეტი თავისუფლების“ ლიდერი*



**რევოლუციაზე საუბარი** ჩვეულებრივი ამბავია, დასავლეთში, **როდესაც ხელისუფლებები მიქარავენ,** იციან, რომ ქუჩაში შეიძლება ბევრი ხალხი გამოვიდეს, ჩვენ ეს გზა ჯერ გასავლელი გვაქვს.

„პალიტრანიუსი“

**ლადო სადღობელაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



**გახარიას პრემიერობის დროს,** მისი ძალოვანი მინისტრების პირობებში მოხდა **ქოლცენტრების დაფუძნება** და მთელ ქალაქში გაშლა.

„ახალი თაობა“

**ლევან მამალაძე**
*„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი*



საქართველო ევროპაში როგორც მასზე დაქვემდებარებული, **დამონებული კი არა,** არამედ წელგამართული უნდა შევიდეს, როგორც პარტნიორი ქვეყანა.

„საერთო გაზეთი“

**ვიდრე წინამდებარე წერილის სათაურში მოხსენიებული ამ ორი წყეულისა და მათი პირიდან ამოსული მორიგი სიმყრალის შესახებ მოგახსენებდეთ, თავიდანვე ვაცხადებთ, რომ არც ლევან ბერძენიშვილს და არც გიგი თევზაძეს გვარით აღარ მოვიხსენიებთ, რათა სხვა ღირსეულ ქართველებს — ბერძენიშვილებსა და თევზაძეებს ჩრდილი არ მიადგეთ!**

# ფუი,

ვფიქრობთ, **გვარი ზედმეტი ბარგია ამ ორი გარეწრისთვის, რომელთაგან ერთმა მთელი დისიდენტური მოძრაობა „კაგებეში“ „ჩაუშვა“, ხოლო მეორემ საქართველოს განათლების სისტემა დაანგრია, უნივერსიტეტები სათხებოდ და ვირების ბაგებად გადააქცია, ხოლო სახელმწიფო ენად ინგლისურის გამოცხადება მოითხოვა.**

მაშ ასე, **ლევან ბერძენიშვილი** ცხადდება **„ლევან ისკარიოტელად“,** ხოლო **გიგი თევზაძე — „გიგი ფილისტერად“.** მოგეხსენებათ, იუდა ისკარიოტელმა ქრისტე გაყიდა, ხოლო ბერძენიშვილი ორმოც წელზე მეტია, სამშობლოს, კაცობას, ქართველობას, ქრისტიანობასა და ეროვნულ იდენტობას ყიდის! რაც შეეხება **ფილისტერს,** ეს ცნება შეზღუდული გონების პატრონის, თვალთმაქცი ადამიანის, მატყუარას აღმნიშვნელია, რომელიც ყოველდღიური წვრილმანებითაა დაკავებული. ვფიქრობთ, ეს თიკუნი **გიგი თევზაძის** პერსონას ზუსტად შეესატყვისება.

მოკლედ, წინა კვირას **გიგი ფილისტერმა** სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ასეთი რამ დაწერა:

> ***„ქელეხის და საფლავზე ქეიფის წესი არც ქრისტიანულია და არც რომელიმე რელიგიის: ადამიანის ძალიან ძველი ქცევის რიტუალიზაციაა: ჩვენი ყველა წინაპარი კანიბალი იყო** (დამტკიცებულია). **ამიტომ, ქელეხით და სასაფლაოზე სმა-ჭამით ასრულებთ მიცვალებულის ჭამის უძველეს რიტუალს. სულებს რომ სასაფლაოზე არაფერი ესაქმებათ, ქრისტიანობის მიხედვით, ეგ ხომ ისედაც იცით!“***

ეს ტექსტი თავისი არსით იმდენად იდიოტურია, **გიგი ფილისტერის** გარდა სხვა ვერავინ მოიფიქრებდა. ერთადერთი, ვინც მსგავს იდიოტიზმში გიგი ფილისტერს გაეჯიბრებოდა, ალბათ, თბილისის ყოფილი მერი, ავადსახსენებელი **ზურაბ ჭიაბერაშვილია,** რომელმაც წლების წინათ ჟურნალ „ახალ პარადიგმებში“ ფილოსოფიურ-ფალოსოფიური ტრაქტატი გამოაქვეყნა და აკანკალებული ხმით შემოგვჩივლა — **„ქართვლის დედის“ ძეგლს რომ ვუყურებ, მეშინია, რამე არ მომაჭრასო!**

დაახლოებით ასე მსჯელობს **გიგი ფილისტერიც** — აქაოდა, სასაფლაოზე და ქელეხში საჭმელს თუ შევჭამთ, ამით მიცვალებულის ხორცის ჭამის უძველეს ტრადიციას გავაგრძელებთო! ყველა ჩვენი წინაპარი რომ კანიბალი იყო, ამაში ვინმეს ეჭვი ხომ არ გეპარებათო! აღარაფერს ვამბობთ ადამიანის სულზე, რომელსაც, როგორც გიგი ფილისტერი შეგვახსენებს, სასაფლაოზე არაფერი ესაქმება...

როცა გიგიმ ყველა ჩვენი წინაპარი კანიბალად გამოაცხადა, თავიდან ვიფიქრე, მომეყურამეთქი, მაგრამ მერე უკვე სოციალურ ქსელებში გაჩნდა **ლევან ისკარიოტელის** ვრცელი მონოლოგი ქართული, უფრო კონკრეტულად კი „ხევსურული კანიბალიზმის“ შესახებ, სადაც „კაგებეში“ გაროსკიპებული ე.წ. „დისიდენტი“ გვიმტკიცებს:

> ***„ხევსურები კლავენ და ხელს ჭრიან ამ პოემებში... რატომ? უნდა ჩამოკიდონ! მაგრამ თავიდან? თავიდან რატომ ჭრიდნენ? თავიდან, შეგახსენებთ, იმიტომ ჭრიდნენ, რომ შეეჭამათ! იმიტომ, რომ ომს, მტრობას სხვა გამართლება არ აქვს, გარდა იმისა, რომ ადამიანი არის კვებითი ღირებულების მქონე არსება. ყველაფერთან ერთად, ჩვენ შესანიშნავი ხორცი გვაქვს, ყველა კაციჭამია, დამერის ჩათვლით, ადასტურებს, რომ ადამიანის ხორცი ძალიან გემრიელია. თუ ვინმეს ძალიან აინტერესებს მისი სტრუქტურა, გემოთი ის ყველაზე უფრო ღორის ხორცს წააგავს, რომ იცოდეთ!“***

მოკლედ, ამ ამაზრზენ ვიდეოს რომ ვუყურეთ და „ფეისბუქში“ ის ე.წ. „პოსტი“ წავიკითხეთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, **გიგი ფილისტერმა და ლევან ისკარიოტელმა** ქართველების კანიბალებად გამოცხადების აქცია ერთობლივად დაგეგმეს და ამ მიზნით გამოლაგდნენ!

**ლევან ისკარიოტელი** ადამიანის ხორცის სტრუქტურაზე ისე გემრიელად ლაპარაკობს, პირი აშკარად ნერწყვით აქვს სავსე. **ვიცნობ რა ამ ყოვლისმკადრებელ არსებას, რომელსაც კოლექტივის ღორი რომ არ შეჭამს, ისეთი რაღაცები აქვს ნაჭამი, ვფიქრობ, ამ წყეულს ადამიანის ხორციც ექნება გასინჯული.** რაც შეეხება **გიგი ფილისტერს,** ეს სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის აპოლოგეტი და **კანალიზატორ ლომაიას მეროჭიკე,** რომელმაც სულხან-საბას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაქციების, კონჩიტებისა და გეიფაშისტების ბუნაგად გადააქცია, დიდი ხანია, ისედაც ჰგავს **კაციჭამიას,** რომელსაც სულ შია.

საქართველოში არ დარჩენილა წმინდა, რასაც **ლევან ისკარიოტელი** თავისი აყროლებული ლაშებით არ მისდგა და წაბილწვა არ დაუპირა.

აი, მისი „მარგალიტები“:

- **სტალინი ვაჟა-ფშაველას** ნაბიჭვარია, გორის სემინარიაში როცა სწავლობდა, ვაჟამ კეკე გელაძე გაიცნო, რომელიც მეძავი იყო და მასთან სტალინი შეეძინა!
- **ვაჟა-ფშაველა** პეტერბურგში რომ ჩავიდა, ერთ ქალს ოჯახში შეუვარდა და გაუპატიურება მოუნდომა!
- ნახევარი საქართველოს დიასახლისები **აკაკი წერეთელმა** გააუპატიურა!
- რუსთაველზე **ვაჟასა და აკაკის ძეგლი** იმიტომ არ დგას, ერთმანეთი სძულდათ!
- **ლადო ასათიანის** „კრწანისის ყაყაჩოები“ მკვდრადშობილი ლექსია!
- **ერეკლე მეფე** მოღალატე იყო!
- **დავით აღმაშენებლის ყველა შთამომავალი იდიოტია!**
- **სტალინი ილიას** რედაქციაში შეუვარდა და ლანძღავდა!





# ეი – ხაზარაძევ!

***მას შემდეგ, რაც ილიაუნის ყოფილმა რექტორმა, ფალოსოფოსმა გიგი თევზაძემ სოცქსელში დააბრეხვა, რომ ჩვენი ყველა წინაპარი კანიბალი იყო, წარსულიდან ამოტივტივდა მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკის“ ტელეარხ „არტარეაზე“ გადაცემული ლევან ბერძენიშვილის ტრადიციული ქუჩის ლექცია, რომელშიც მან სიტყვასიტყვით, აი, ეს თქვა:*** *„ხევსურები კლავენ და ხელს ჭრიან ამ პოემებში. რატომ? უნდა ჩამოკიდონ! მაგრამ თავიდან რატომ ჭრიდნენ? თავიდან, შეგახსენებთ, იმიტომ ჭრიდნენ, რომ შეეჭამათ! იმიტომ, რომ ომს, მტრობას, სხვა გამართლება არა აქვს, გარდა იმისა, რომ ადამიანი არის კვებითი ღირებულების მქონე არსება!“*



აი, ეს არის ბერძენიშვილის „არგუმენტი“ — თურმე, ხევსურები იმიტომ ყოფილან კანიბალები, რადგან მტრის მოკვლას სხვა გამართლება არა ჰქონია, გარდა იმისა, რომ **ადამიანი საჭმელი ყოფილა!**

მეტიც, იქვე, **ლევან ბერძენიშვილი** პირდაპირი მნიშვნელობით, კანიბალიზმის პოპულარიზაციას იწყებს:

> **„ყველაფერთან ერთად, ჩვენ შესანიშნავი ხორცი გვაქვს! ყველა კაციჭამია, დამერის ჩათვლით, ადასტურებს, რომ ადამიანის ხორცი გემრიელია. თუ ვინმეს ძალიან აინტერესებს მისი სტრუქტურა, გემოთი იგი ღორის ხორცს წააგავს, რომ იცოდეთ...“**

ანუ **ლევან ბერძენიშვილის** ლექციის შემყურე, ვიღაცამ ადამიანის ხორცის მწვადი რომ ააშიშხინოს და პირი ჩაიტკბარუნოს, არ უნდა გაგვიკვირდეს, ისე მადის აღმძვრელად გვიქებს კანიბალიზმის კულინარიულ-გემოვნებით პიკანტურ შეგრძნებებს!

**რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მიხსენებია ყაჩაღ-ბანკირის ტელევიზია – ეს პათოლოგია სწორედ ხაზარაძის ტელებოსლით უნდა ტირაჟირდებოდეს! ამიტომაც იყო, ამ ტელევიზიის საყვარელი წამყვანი**

## კვირგვინოსნები

**გიგი თევზაძე**
*ილიაუნის ლექტორი*



**ქელეხისა და საფლავზე ქეიფის წესი** არც ქრისტიანულია და არც რომელიმე რელიგიის: ადამიანის ძალიან ძველი ქცევის რიტუალიზაციაა: **ჩვენი ყველა წინაპარი კანიბალი იყო** (დამტკიცებულია). ამიტომ ქელეხით და სასაფლაოზე სმა-ჭამით ასრულებთ **მიცვალებულის ჭამის უძველეს რიტუალს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ვადასტურებ, რომ **ყველა ნაცის წინაპარი კანიბალი იყო,** სხვანაირად როგორ შეიძლება?

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



შეხედონ, ძალიან დიდი ძალაა ხალხთან, დიდი ძალაა ეკლესიაში. გამოვლენ და ხმამაღლა იტყვიან, რომ **კაცი კაცი არ უნდა იყოს და ქალი ქალი არ უნდა იყოს, ბავშვებმა სქესი გადაიკეთონ?** რას ჰქვია? სადაური წესია, შენ მოგწონს? შენს ქვეყანაში მიიღე ის კანონი, გქონდეს და მე თავი დამანებე. **3 ათასი წელი შენთვის არ მიკითხავს, როგორ უნდა მეცხოვრა და არც ახლა გკითხავ.**

„რეზონანსი“

# თქვენი!

● **სტალინი** რედაქციიდან **ვაჟამ** გამოაგდო, ჭიტლაყი ამოსცხო და კიბეზე დააგორა!

მთელი ამ სიგიჟის „გვირგვინს“ წარმოადგენს **წყეული ლევანის** უკანასკნელი „ნოუ-ჰაუ“ — **ხევსურები მტერს მარჯვენს ადრე იმიტომ აჭრიდნენ და სახლში მიჰქონდათ, რომ შეეჭამათ!**

**ლევან ისკარიოტელის** ლოგიკას თუ გავყვებით, თავი გვქონია მოსაკლავი. არადა, ხომ კარგად ვიცით, რომ **საქართველოში კანიბალიზმი არასოდეს დაფიქსირებულა?!** დიახ, არავითარი წყარო, მინიშნება, გადმოცემა ან ბუნდოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ რომელიმე ქართულმა ტომმა და, მითუმეტეს, ხევსურებმა ადამიანის ხორცი შეჭამეს, ბუნებაში არ არსებობს! **სამაგიეროდ, თურმე, ლევან ისკარიოტელმა და გიგი ფილისტერმა „იციან“, რომ ჩვენი წინაპრები კანიბალები იყვნენ, ხოლო ხევსურები ვიდრე მტრის მოჭრილი ხელის ქავისკარზე ჩამოკიდე**

Gigi Tevzadze
4 дн. ·

ისევ ტრადიციების შესახებ:

ქელეხის და საფლავზე ქეიფის წესი არც ქრისტიანულია და არც რომელიმე რელიგიის:

ადამიანის ძალიან ძველი ქცევის რიტულიზაციაა: ჩვენი ყველა წინაპარი კანიბალი იყო (დამტკიცებულია).

## ლევან ბერძენიშვილმა და გიგი თევზაძემ ქართველები კანიბალებად გამოაცხადეს!

**ბას დაიწყებდნენ, მანამდე მას ჭამდნენ!**

რა ეკუთვნის ამ ორ გარეწარს ამის შემდეგ?

### ჩვენი აზრით, ესენი უნდა დაიჭირო, გაკოჭო და ელისტრაკო კილაძის ბარკალი და ვალერი გელბახიანის შორისი ძალით უნდა შეაჭამო!

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და ცნობილი პროფესორი, აკადემიკოსი **ავთანდილ არაბული** ლევან ისკარიოტელისა და გიგი ფილისტერის ბოლოდროინდელი განცხადებებით გაოგნებულია. როგორც ცნობილი მეცნიერი ჩვენთან საუბარში აცხადებს:



„ეს ყველაფერი ყოველგვარ ლოგიკურ და საღ აზრს მოკლებულია და აშკარად ეპატაჟის გამოხატულებაა. რაც ჩვენ გადმოცემით ვიცით, ხელის მოჭრის ტრადიცია ფხოვური, ანუ ხევსურული წესი არ ყოფილა. ძველისძველი ხევსურული ლექსი გვეუბნება — **„ხელს არ სჭრის ნასკვაურიძე, ხევსურის წესი არ არსა!“** ეს ტრადიცია დიდმა შემოქმედმა — ვაჟა-ფშაველამ გადმოიტანა ხევსურეთში და დაუკავშირა ალუდა ქეთელაურის გასაჭირს, რომელმაც საბოლოოდ მისი ტრაგედია განაპირობა. ძველი წარმართული რწმენის თანახმად, მოკლულ მტერთან პაექრობა და ბრძოლა გრძელდებოდა სიკვდილის შემდეგაც. ამიტომ, თუ მტერს მარჯვენს მოაჭრიდი, საიქიოშიც ადვილად დაამარცხებდი, რადგან ის მეტოქეობას ვეღარ შეძლებდა. **სწორედ ამას უკავშირდებოდა ხელის მოჭრის ტრადიცია და არა იმ ვითომდა კანიბალიზმს, რის შესახებაც ამ ბოლო დროს ყოვლად გაუმართლებელი საუბრები გვესმის.** კანიბალიზმი კავკასიის ხალხებისთვის უცხოა... **კანიბალიზმი კი არა, ხევსურეთსა და, ზოგადად, მთაში მოკლული მტრის გაპატიოსნება წესად იყო. დაფიქსირებულია ასეთი შემთხვევა, ერთ-ერთმა ხევსურმა ტყვიით მტერი მოკლა და მიცვალებულის გვამს ხანჯლით ჭრილობა მიაყენა. ამის შემყურე თანამეინახე, რომელიც გამარჯვებულს თან ახლდა, იქიდან საშინლად გაბრაზებული და შეურაცხყოფილი წამოვიდა და ამ ულირსი საქციელის გამო მეგობართან ურთიერთობა სამუდამოდ გაწყვიტა.**

ხევსურეთში თუ კაცი მტერს მოკლავდა, გვამის მიტოვება და ნადირთა საჯიჯგნად დაგდება უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა. ხშირი ყოფილა შემთხვევა, როცა მკვლელი მოკლულის სოფელში მისულა და დაუძახია — ამა და ამ ადგილას კაცი მოვკალი, მიხედეთო და გაქცეულა... **არ ვიცი, საიდან იგონებენ მსგავს საშინელებებს და რის საფუძველზე „ამტკიცებენ“ იმას, თითქოს ხევსურები მტერს მარჯვენს იმიტომ ჭრიდნენ, რომ მერე კაცის ხორცი შეეჭამათ! ვფიქრობ, ლევან ბერძენიშვილი ამას სჩადის ეპატაჟის მიზნით, რათა მოახდინოს საზოგადოების გაღიზიანება და პროვოცირება.“**

აი, ასეთია ავტორიტეტული მეცნიერისა და მკვლევარის პასუხი, ხოლო ისეთია **ლევან ისკარიოტელისა და გიგი ფილისტერის** მიერ მთელი ქართველი ერისადმი მიყენებული შეურაცხყოფა, რომელიც უპასუხოდ არ უნდა დარჩეს!

დაბოლოს, **ვატყობ, ამ ორ აყროლებულსა და არაკაცზე — ლევან ისკარიოტელსა და გიგი ფილისტერზე, რომლებმაც ბევრ წესიერ და პატიოსან ადამიანს მართლაცდა ხორცი მოაღეჭეს და ცხოვრება დაუნგრიეს, ალბათ, კიდევ მოგვიწევს საუბარი!**

წინამდებარე წერილს კი გენიალური **კახი კავსაძის** ცნობილი კინოგმირის იორამის სიტყვებით დავასრულებთ, რომელიც **ლევან ისკარიოტელსა და გიგი ფილისტერს** ზუსტად მიესადაგება — **„მშიერმუცელა უნიფხვო მონები, სამგლეთი, ფილისტერები, ლილიპუტები... ფუი, თქვენი!“**

***დიტო ჩუბინიძე***

## აუ – განათლების სამინისტროვ!

### ლევან ბერძენიშვილი, რომელიც თავის გადაცემა-ლექციებში, ყოველ მეორე სიტყვაში, ზემოხსენებული პათოლოგიების მსგავს მარგალიტებს აფრქვევდა.

**ჰოდა, ამ ლიბერასტებმა აშკარად კოორდინირებულად გაუხსნეს ცეცხლი ქართველ საზოგადოებას, ისე, რომ იცოდეთ, კანიბალი წინაპრები გყავდათ და ძალიანაც ნუ ქრისტიანობთო!**

გესმით? — ლევან ბერძენიშვილი ამტკიცებს — **ხევსურები მტერს ხელს იმიტომ კვეთდნენ, რომ კანიბალები იყვნენო?!**

მე კი ვამტკიცებ, რომ ამ დებს — **ლევან და დავით ბერძენიშვილებს** — ასეთი იშვიათი, საარაკო კრეტინიზმი იმიტომ განუვითარდათ, რომ **ქაპროფილები** არიან, რადგან ბავშვობიდან ერთმანეთის განავლის ჭამაში აქვთ შეჯიბრი და მიეჩვივნენ!



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი

**დაბოლოს, განათლების სამინისტროს მინდა მივმართო:** პატივცემულებო, ლევან ბერძენიშვილი რასაც მიირთმევს, გასაგებია, მაგრამ თქვენ რას ჭამთ ამისთანას, რომ აი, ამ პათოლოგს სტუდენტებთან ლექციების წაკითხვის უფლებას აძლევთ და თანაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უხდით ჩვენს ფულს ჩვენივე შვილების დეგრადირებისათვის?!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**კახა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტ-კონფლიქტოლოგი*



**გახარიამაც და „ლელომაც“ ჭკუა იხმარონ და გაერთიანდნენ.** სახელიც მზადაა: „ლელო საქართველოსთვის“. „ქართულ ოცნებაში“ **არც სოციალისტები** არიან და **არც კონსერვატორები.** პოპულისტები არიან!

„ახალი თაობა“

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნის“ ლიდერი*



**საპარლამენტო ოპოზიცია პირდაპირ გარიგებაშია „ქართულ ოცნებასთან“.** დღეს „ქართული ოცნება“ საკუთარ, პარტიულ ინტერესებს არგებს ცესკოს, სახელმწიფოში დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ, ნეიტრალურ ორგანოს. ამას როგორ შეიძლება, ლეგიტიმაცია მისცე. **სხვა რაღაა ლელვისფოთლობა.**

„ახალი თაობა“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*[illegible] პარტიის წევრი*



ოპოზიცია ისე იქცევა, რომ „ქართული ოცნება“ **ხელისუფლებაში კიდევ დიდხანს** დარჩება.

„ახალი თაობა“

# „ამერიკა თავისი აგენტურის მეშვეობით საქართველოში სიტუაციის არევას აუცილებლად შეეცდება და ხელისუფლებამ მათ მიმართ მაქსიმალური სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს!“

*„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე* ***ნიკოლოზ მჟავანაძე*** *ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოსთვის დაწესებული სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და ფრენების აღდგენას აფასებს:*

— ზუსტად ვიცი, რომ პუტინის მიერ მიღებული ამ გონივრული გადაწყვეტილების შემდეგ აზერბაიჯანსა და სომხეთში გლოვა აქვთ გამოცხადებული! საქმე ის გახლავთ, რომ 2019 წლიდან მოყოლებული, რაც გაშიფრული აგენტის — **ლიაკა ხოშტარიასა** და მისი დამქაშების მიერ მოწყობილი „გავრილოვის ღამის“ გამო რუსეთმა საქართველოსთან საზღვარი ჩაკეტა, ჩვენმა ეკონომიკამ ერთბაშად 300 მილიონი ამერიკული დოლარი იზარალა.

**2019 წლიდან ქართლის, კახეთის, გურიის, იმერეთისა და აჭარის სოფლებში სომეხი და აზერბაიჯანელი ქორ-ვაჭრები დადიოდნენ, კაპიკებში ყიდულობდნენ ჩვენს ხილს, ყურძენსა და ციტრუსს და მოსკოვში ჩაჰქონდათ, სადაც დიდ მოგებას ნახულობდნენ. ანი ამ პროდუქციას ქართველი კაცი ჩაიტანს რუსეთში, ქართულ მწვანილსაც გაიტანენ და ფული აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაცვლად, საქართველოში შემოვა.**

**— რუსეთის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ნაცსექტა და დასავლეთის გეიაგენტურა პროტესტით ხვდება. ელენე ხოშტარიამ ისიც კი თქვა — აეროპორტში დავწვებით და რუსულ თვითმფრინავებს არ შემოვუშვებო! ანა ნაცვლიშვილიც, ფაქტობრივად, იმავეს აცხადებს...**

— თვით **ნაძირალა სააკაშვილი** და მისი ხელისუფლებაც კარგად ხვდებოდნენ, რომ რუსეთის ბაზარი საქართველოსთვის სასიცოცხლო არტერიაა! ცხონებული **ზვიად გამსახურდია** საქართველოსთვის რუსეთის ბაზრის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებდა. ბატონი **ბაქურ გულუას** გამოსვლა მაქვს მოსმენილი იმის შესახებ, თუ როგორ სწორად და რეალისტურად აფასებდა ბატონი ზვიადი რუსეთის ბაზრის მნიშვნელობას და აცხადებდა, რომ საქართველოს ეს ბაზარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეკარგა.

**ამ ბარეწრებს — ხოშტარიასა და ნაცვლიშვილს შევახსენებ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოღალატე სააკაშვილი ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან იდგა და რუს ტურისტებს საქართველოში პირადად ეპატიჟებოდა.** მიმაჩნია, რომ რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის გაუქმება და საქართველოსთან ფრენების აღდგენა გაამდიდრებს ქართულ ავიაკომპანიებს, ქართველ კაცს, საქართველოში შემოვა მეტი ტურისტი, ქვეყანას დაუბრუნდება ევროპაში გადახვეწილი ბევრი ქართველი, რომლებიც სოფლის მეურნეობაში იპოვიან თავიანთ ადგილს და რუსეთში პროდუქციას გაიტანენ... ეს კი საბოლოო ჯამში აუცილებლად დაათბობს რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკურ ვითარებას და გახსნის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზას!

**— თქვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას ნამდვილად ხედავთ?**

— რუსეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიერთება რომ სდომოდა, აქამდე მიიერთებდა! შეხედეთ უკრაინას — ქვეყანაში გაგანია ომია და რუსეთმა მარიუპოლსა და სხვა ქალაქებში პარალელურად სამშენებლო ბუმი გააჩაღა, რადგან ამ ტერიტორიებს იერთებს. **ასე იზამდნენ აფხაზეთსა და ცხინვალშიც, მაგრამ გველოდებიან...** თუ უკრაინელებივით ქვეყანას უბედურებასა და ომში ძალით შევტენით, ცხადია, არავითარი პერსპექტივა არ გვექნება და რაც გვაქვს, იმასაც დავკარგავთ! თუ საქართველომ რუსეთის ბაზარი არ დაიბრუნა, თუ ქართული ხილი, ბოსტნეული, ციტრუსი და ღვინო რუსეთში არ გავიდა, ჩვენი სოფლის მეურნეობა ვერ განვითარდება.

**არ სჭირდება ევროპას ჩვენი ღვინო, ვაშლი და ციტრუსი, თავზე საყრელად აქვთ ყველაფერი. ჩვენი ბაზარი ტრადიციულად რუსეთი იყო და ეს ბაზარი უნდა დავიბრუნოთ!**

ირაკლი ღარიბაშვილისა არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, თუ ჩვენი მეგობრები არიან, 20-25 ათას დოლარს იხდიან ქართველები, რათა ამერიკაში არალეგალურად ჩავიდნენ და სამუშაო იშოვონ და, რუსეთის მსგავსად, ამერიკის ხელისუფლებამაც გაგვიუქმოს სავიზო რეჟიმი!

ისე კი, სომხეთს, ნატოს წევრ თურქეთს, ზესტრატეგიულ პარტნიორ ისრაელს, მოლდოვასა და აზერბაიჯანს რატომ არ ეუბნებიან, რუსეთთან ფრენები აკრძალეთო? მოკლედ, თურმე, მთელი ქართველ ხალხი უნდა დაიმშეს და მხოლოდ ამერიკის აგენტურა — **ნაცვლიშვილ-გიგაურები** უნდა იყვნენ მაძღარი! ანა ნაცვლიშვილის მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რა სქემით მოქმედებს ამერიკა საქართველოში!

**— რას გულისხმობთ?**

— თავიანთი აგენტი — **ანა ნაცვლიშვილი** ამერიკელებმა ჯერ „საიას“ თავმჯდომარე გახადეს, ხოლო შემდეგ პარლამენტში დასვეს. აი, სწორედ ასე, ამ სქემით აწინაურებენ და ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში ნერგავენ თავიანთ ხელისბიჭებს, რომლებსაც მერე ნებისმიერ სიბინძურეს აკეთებინებენ. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ანა ნაცვლიშვილი არის კომპრომეტირებული ოჯახიდან. მამამისმა — **ამირან ნაცვლიშვილმა** მთელი ქუთაისის საავტომობილო ქარხანა თურქეთში გაყიდა და იმისათვის, რომ „კრიშა“ გაეკეთებინა, თავისი გოგო „არასამთავრობო“ ორგანიზაციაში შეაგდო... ბროლის ბუსავით რომ გადმოგვცქერის და ეს უწიგნური და უსისხლო ანა ნაცვლიშვილი ჭკუას გვასწავლის, მამამისს დაარიგოს ჭკუა, რომელმაც მთელი ქარხანა გაანიავა! **ამერიკის საელჩომ საქართველოში ააშენა მოღალატეთა ინკუბატორი, სადაც გამოიჩეკნენ: ანა ნაცვლიშვილები, ლიაკა ხოშტარიები, თეონა აქუბარდიები, თამარ კორძაიები, გიგა ბოკერიები, ხათუნა სამნიძეები და ა.შ.**

ახლა ისე არიან გაბოროტებული, ეს შარვალჩახდილი **ზურაბ-გირჩი, ვაშაძე** და სხვები, რომლებიც ბავშვებს იარაღის სროლაში ავარჯიშებენ, ყველა სიბინძურეზე წავლენ და ამერიკელების ყველა პროვოკაციულ დავალებას შეასრულებენ.

უფრო მეტიც, უკრაინაში მოქმედებს ე.წ. „პრანკერების“ ჯგუფი, რომელიც შოუებსა და პროვოკაციებს დგამს, ხმებს აყალბებს და ნებისმიერ სიბინძურეზე მიდის... თავის დროზე **უკრაინელმა ხრუშჩოვმა** სიცოცხლე გაგვიმწარა; **უკრაინული „უნა-უნსოს“** მებრძოლები შევარდნაძის რეჟიმს იცავდნენ და სამეგრელოში ჩვენს ხალხს ებრძოდნენ; მთელი ბალტიის ფლოტის პირადი შემადგენლობა, ფაქტობრივად, **უკრაინელებისგან** იყო დაკომპლექტებული; 2008 წლის ომის შემდეგ **უკრაინელები** დაგვცინოდნენ და ზელენსკი და ტიმოშენკო მასხრად გვიგდებდნენ; ახლაა და, გვიჩხიკინებენ და საქართველოს ომში ჩათრევა უნდათ! მოკლედ, არ გაგვახარეს, რა! ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ყველა, ვისაც სახლში ან „ფეისბუქზე“ უკრაინის დროშა აქვს გამოფენილი, საქართველოს მოღალატედ მიმაჩნია!**

**ქვეყანა შენს სამშობლოს ებრძვის, კაცების გამაუპატიურებლები და მწამებლები შეფარებული ჰყავს, რომლებიც დააჯილდოვა, სააკაშვილი სისხლის დასალევრელად და ქვეყნის ასარევად გამოგვიგზავნა და ასეთი ქვეყანაა ჩვენი მეგობარი?**

**გვახსოვდეს: ამერიკა თავისი აგენტურის მეშვეობით საქართველოში სიტუაციის არევას აუცილებლად შეეცდება და ხელისუფლებამ მათ მიმართ მაქსიმალური სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს!**

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*



## „რუსეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიერთება რომ სდომოდა, აქამდე მიიერთებდა!“

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

## ყველა, ვისაც სახლში ან „ფეისბუქზე“ უკრაინის დროშა აქვს გამოფენილი, საქართველოს მოღალატედ მიმაჩნია!








**„ამერიკის საელჩომ საქართველოში ააშენა მოღალატეთა ინკუბატორი, სადაც გამოიჩეკნენ: ანა ნაცვლიშვილები, ლიაკა ხოშტარიები, თეონა აქუბარდიები, თამარ კორძაიები, გიგა ბოკერიები, ხათუნა სამნიძეები და ა.შ.“**

# საქართველო და მსოფლიო

**№26 (194) ★ 2023 წლის 15 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან**


*„გასულ კვირაში მოხდა მოვლენა, რაც შესაძლოა, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პერსპექტივების და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დასაბამიც აღმოჩნდეს —* ***რუსეთმა ყველასთვის მოულოდნელად საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმა და პირდაპირი ავიარეისები აღადგინა.*** *ეს, უპირველესად, არის კეთილი ჟესტი იმის პასუხად, რომ საქართველოს ხელისუფლება ღირსეულად მოიქცა და დასავლეთის წაქეზებით, რუსეთს ზურგში დანა არ ჩაარტყა!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ვეტერანმა*** *პაატა აბულაძემ:*



**„დასავლეთს მარტო საქართველოში კი არა, მთელ კავკასიაში ეცლება საყრდენი!“**

# პაატა აბულაძე:

# თუ ამერიკა ჩვენი მეგობარი და პარტნიორია, დაე, მიჰბაძოს რუსეთს და თავად გააუქმოს საქართველოსთან სავიზო რეჟიმი!





## ომის ვეტერანის აზრით ★

— სულ მალე კიევი და უკრაინა აღარავის ეხსომება, ისეთი ამბები მოხდება საქართველოში. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით გლობალისტებს კავკასიაში „გაშლილი მაგიდა“, ფაქტობრივად, ამოუტრიალა. მოგეხსენებათ, 2019 წლის 20-21 ივნისს ეგრეთ წოდებული „გავრილოვის ღამე“ და საქართველოში შეიარაღებული გადატრიალების მცდელობა რუსეთის მხრიდან სანქციის დაწესებით დასრულდა, რამაც მხოლოდ საქართველოს მოსახლეობა და რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები დააზარალა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. **საბედნიეროდ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამ საკითხში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, არ აჰყვა გლობალისტებს, რუსეთს ზურგიდან დანა არ ჩაარტყა და არ მისცა კავკასიის საომარ პოლიგონად გადაქცევის საშუალება.**

**— საქართველოში რუსეთიდან პირდაპირი ავიარეისების განხორციელება, პირველ რიგში, ქართველ ხალხს დაეხმარება, რადგან რუსეთის ფედერაციაში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს.**

— საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს და, აგერ, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმაც აღნიშნა, რომ 2008 წლის ომის მერე ევროკავშირს რუსეთთან არ გაუწყვეტია სავაჭრო ურთიერთობები და ბრუნვა 2 ტრილიონ 800 მილიარდს უტოლდება! ხოლო რუსეთთან ამერიკის სავაჭრო ბრუნვა შარშანდელი 24 თებერვლიდან დღემდე 40 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 480 მილიარდი დოლარი! არავითარი სანქციები! მხოლოდ ფორმალური „აღშფოთება-შეშფოთებით“ შემოიფარგლნენ და ახლა ჩვენ რა ნამუსით გვედავებიან, რომ მათ მიზნებს მხარი არ ავუბით? აქვე იმასაც გეტყვით, რომ, როდესაც 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ რუსეთმა საქართველოსთან პირდაპირი ავიამიმოსვლა გააუქმა, საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა **ელიზაბეთ რუდმა** ეს საქციელი ფარისევლურად დაგმო და განაცხადა: **„მოვუწოდებთ რუსეთს, საქართველოსთან ფრენები აღადგინოს! საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა!“** ეს ფაქტი თავის დროზე ფარისევლურად დაგმეს ევროკავშირის პარლამენტის თავმჯდომარემ, კომისიების თავმჯდომარეებმა და ევროპარლამენტარებმაც, ახლა კი, ხედავთ, როგორ გადათქვეს პოზიცია?!

**— უფრო მეტიც — ფრენების განახლების შემთხვევაში ამჯერად უკვე ევროკავშირი და ამერიკა გვემუქრებიან სანქციებით...**

— თუ ამერიკა ჩვენი მეგობარი და პარტნიორია, დაე, მიჰბაძოს რუსეთს და თავად გააუქმოს საქართველოსთან სავიზო რეჟიმი! ამაზე ამერიკელებს პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმაც არაორაზროვნად მიანიშნა! აკი, რამდენ ქართველს სურს ამერიკაში გამგზავრება და ამ ბარიერის გამო ვერ ახერხებს; რამდენი ქართველი იხოცება აშშ-მექსიკის საზღვარზე, საიდანაც არალეგალურ გადასვლას ცდილობენ ამერიკაში! მოკლედ, თავადაც გვაჩვენონ კეთილი ჟესტი, მაგრამ მათ ხომ პარტნიორად კი არა, მხოლოდ საზარბაზნე ხორცად ვჭირდებით, რათა ქართველების ხარჯზე რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსნან. არადა, **დასავლეთის კარზე 30-წლიანმა კაკუნმა შედეგი ვერა და ვერ გამოიღო, ჩვენგან გაწვდილი ხელი და „ხმა მღაღადებლისა“ უპასუხოდ დარჩა!** დღეს დასავლეთს აშფოთებს, რომ ქართველი ხალხი საბოლოოდ დარწმუნდება მათ ფარისევლურ დამოკიდებულებაში!

**— ამჯერად თუ არის რაიმე განსაცდელის საფრთხე?**

— უკვე გამოიკვეთა, რომ რუსეთის ამ ნაბიჯს არ შეეგუებიან ამერიკისა და ბრიტანეთის საელჩოები, დაიგეგმება ძალიან მუხთალი პროვოკაცია. **ვვარაუდობ, რომ იგი რუსი ეროვნების მოქალაქეების, ტურისტების წინააღმდეგ განხორციელდება,**

## არ გამოვრიცხავ, ზონდერები რუს ტურისტებს თავს პირდაპირ ქუჩებში დაესხან; არ გამოვრიცხავ მსხვერპლსაც, რაც რუსეთის ხელისუფლების გაშმაგებაზე იქნება გათვლილი.

ხომ ხედავთ, **ტრანსგენდერმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა** ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. უნდა, რომ ქართველები ერთმანეთს დავერიოთ — რა ენაღვლება, თვითონ საფრანგეთში აქვს სახლ-კარი და გასაქცევიც გააჩნია. ამიტომ მოვუწოდებ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურს, პოლიციას — დადგნენ მოწოდების სიმაღლეზე, მოახდინონ პროვოკაციის პრევენცია და კანონის ფარგლებში უმკაცრესად დასაჯონ მისი სულისჩამდგმელები! **დარწმუნებული ვარ, პროვოკატორებს არაფერი გამოუვათ, რადგან ამჟამად საქართველოს როგორც ქართველი, ისე არაქართველი მოსახლეობის ინტერესები სრულ თანხვედრაშია საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯებთან, რაც საქართველოს უახლეს ისტორიაში მეტად იშვიათი პრეცედენტია.**

**— ვთქვათ, რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ სისხლიანი პროვოკაცია, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ მაინც მოხდა. რუსეთის მძაფრ რეაქციას, ომის ჩათვლით, კვლავ ველოდოთ?**

— თუ ხელისუფლება პროვოკატორებს ხელს დააფარებს, მოსალოდნელია ყველაზე მძიმე შედეგები! მაგრამ, თუ ხელისუფლება საფუძველშივე აღკვეთს და კანონით განსაზღვრული სასჯელით დასჯის პროვოკატორებს, რუსეთთან დათბობის პროცესი გაგრძელდება. აგერ, რამდენიმე დღის წინ გუდაურში იყო მცდელობა, რუსი ოჯახისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, რაზეც პოლიციას მყისიერი რეაგირება ჰქონდა. მაქვს ინფორმაცია, რომ სახელმწიფო მზად არის და მოწოდებულია მსგავსი პროვოკაციების აღსაკვეთად!

**— ვრცელდება მოსაზრება, რომ უვიზო მიმოსვლა და პირდაპირი ავიარეისების აღდგენა საქართველოში რუსი მოსახლეობის უკონტროლო შემოდინებას გამოიწვევს, რაც დემოგრაფიაზე ნეგატიურად აისახება.**

— ეს პრობლემა მართლაც დგას საქართველოში. არ არის დარეგულირებული უცხოელების მხრიდან საქართველოში საკუთრების შეძენის მექანიზმი, მაგრამ ეს არ ეხებათ მხოლოდ რუსებს. **მოგეხსენებათ, ჩვენთან მიყოლებით შენდება არაბული და ინდური სოფლები, მაგრამ რატომღაც ჩვენი ლიბერასტები „განგაშის ზარებს“ მხოლოდ რუსებზე არისხებენ.** ამ საკითხს მართლაც სჭირდება მოგვარება, ოღონდ არა ანტირუსული ისტერია. რუსებს სამხედრო ბაზები თბილისიდან ორმოციოდე კილომეტრში ისედაც აქვთ. რაც შეეხება სტრატეგიულ ობიექტებს, ამითაც აღარ არიან დაინტერესებულნი, რადგან დიდი ხანია, საქართველოს თითქმის აღარ გააჩნია ისინი — **ჯერ კიდევ სააკაშვილმა მიჰყიდა რუსებს!**

**— თქვენ ინტერვიუს დასაწყისში აღნიშნეთ, რომ სავიზო რეჟიმის საქართველოსთან გაუქმებით რუსეთმა დასავლეთს მაგიდა ამოუყირავა. „გაშლილი სუფრა“ როგორ გამოიყურებოდა? რა დაკარგა დასავლეთმა?**

— გლობალისტებს ახლო აღმოსავლეთში და კავკასიაში ერთადერთ საყრდენად საქართველო ეგულებოდათ. ჰქონდათ მცდელობა, სომხეთიც მოეპოვებინათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და აგერ, 9 მაისს პრეზიდენტი ფაშინიანი მოსკოვშიც კი ჩავიდა. **სხვათაშორის, სომხეთს დასავლეთთან ფლირტი ძვირად დაუჯდა — რუსეთისგან პოლიტიკური ალიყური მიიღო და ყარაბაღი დაკარგა...**

ფაქტობრივად, დასავლეთს მარტო საქართველოში კი არა, მთელ კავკასიაში ეცლება საყრდენი! თურქეთიც მკვეთრად ეურჩება ნატოს მითითებებს. ახლახან მილიონიან მიტინგზე თურქეთის მთავრობის წევრმა, შს მინისტრმა განაცხადა, რომ ახლო და შორეულ აღმოსავლეთში დეამერიკანიზაცია გარდაუვალია! **ამას ამბობს 80-მილიონიანი ქვეყნის ჩინოვნიკი, რომელსაც 1 მილიონი ჯარისკაცი ჰყავს!** ანტიამერიკული გამოსვლები დაიწყო პაკისტანშიც, რომელიც ატომური ქვეყანაა. რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ირანის, სირიის, თურქეთის, ჩინეთისა და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. ასე რომ, ამერიკა დღითი დღე კარგავს გავლენებს, ოღონდ ჩვენი ტელევიზიები ამას უმალავენ ხალხს! **აი, ამ ფონზე უნდა განვიხილოთ რუსეთის ჟესტი საქართველოს მიმართ და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს ამჯერად მაინც ავუწყოთ ფეხი ჩვენი ინტერესების შესაბამისად!**

**— და მაინც, რას მოგვიტანს რუსეთთან ურთიერთობების დათბობა?**

— ამას აუცილებლად მოჰყვება მნიშვნელოვანი შედეგები საქართველოს ტერიტორიულად გამთლიანების თვალსაზრისით! თუ ეს მოცემულობა, რაც დღეს გვაქვს, საქართველომ მშვიდობით შეინარჩუნა, მერწმუნეთ, 1 წლისთავზე თქვენ დაინახავთ თბილისში მოსალაპარაკებლად ჩამოსულ სოხუმისა და ცხინვალის დელეგაციებს! ეს უკვე შედის რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ინტერესებშიც. იკვეთება ამ ქვეყნების მიზანი — **კავკასია იქცეს ეკონომიკურ ჰაბად და ყველაზე მდიდარ რეგიონად!** მოკლედ, ეს პროცესი გარდაუვალია და წარმოუდგენელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე. მთავარია, ამჯერად მაინც არ გავუშვათ ისტორიული შანსი!

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**

# «რუსეთმა დასავლეთს მაგიდა ამოუყირავა!»



# სვიმონ მასხარაშვილი: იმისათვის, რომ უდიდესი საფრთხე თავიდან აეცილებინათ, ლავრენტი ბერია იმ საბედისწერო დღეს, 1953 წლის 26 ივნისს, კრემლში არ უნდა მისულიყო!




სერგეი კრუგლოვი და ლავრენტი ბერია

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ლავრენტი ბერიას ე.წ. „ასდღიანი მმართველობისა“ და მისი ფიზიკური განადგურების გამომწვევ მიზეზებზე საგაზეთო საუბრებს აგრძელებს და აცხადებს, რომ 1946 წლიდან, რაც ბერია სტალინმა შინაგან საქმეთა მინისტრობიდან სტრატეგიული პროექტის ხელმძღვანელად გადმოიყვანა და საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა დაავალა, უშიშროებაში მისდამი გაუცხოება დაიწყო:***

— **ნიკიტა ხრუშჩოვისა და მიხეილ სუსლოვის** მძლავრობის ეპოქაში შეიქმნა და დამკვიდრდა ე.წ. „მიწერებისა“ და „ჩაწყობის“ სისტემა, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაანგრია. ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მსახიობი, რომელიც ბაბუაჩემის კლასელი იყო, ინფარქტით იმიტომ გარდაიცვალა, რომ სამოთახიანი ბინა, რომელიც უნდა მიეღო, ვიღაც სომეხს მისცეს, რადგან იმან ფული გადაიხადა და საქმე „ჩააწყო“. არადა, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ეს მართლაცდა კორიფე ბაბუაჩემს ქუჩაში შეხვდა და უთხრა — *საფრანგეთიდან მსოფლიო დონის ვარსკვლავს ველოდები და ხომ იცი, შენც ჩემ გვერდით უნდა იყო. პარიზში თან გადამყვა და ვიდრე ჩამოვა, იქნებ ახალ, სამოთახიან ბინაში გადასვლაც მოვასწრო, რომელსაც დღედღეზე ველოდები. კაცს ერთი ოთახი ხომ მაინც უნდა დავუთმო, ჩემს ოროთახიან ბინაში სად მივიყვანოო!*

დიდი მსახიობი ყოველდღე მიდიოდა და ნახულობდა თავის მშენებარე ბინას და რომ აცნობეს, ბინა სომეხს მისცესო, გულმა დაარტყა და იქვე მოკვდა! აი, ეს მოდელი შექმნა **ნაძირალა სუსლოვმა,** რომელმაც ხრუშჩოვთან ერთად კულტურის მოღვაწენი გაასაძაგლა. ვიდრე **ლაზიშვილებს** გაანადგურებდნენ, კულტურის მოღვაწეებს საყოფაცხოვრებო პრობლემებს სწორედ ისინი უგვარებდნენ, მაგრამ, როცა **შევარდნაძე** ლაზიშვილებს დაერია, კულტურის მოღვაწენი უპატრონოდ, ბედის ანაბარა დარჩნენ და „ჩალიჩი“ დაიწყეს. სახალხო არტისტს მანქანა რომ მიეღო, უნდა „ჩაეწყო“... **აი, ეს იყო სუსლოვი, რომელმაც სტალინისა და ბერიას მიერ შექმნილი სისტემის აბსოლუტური ინდოქტრინიზაცია მოახდინა და ქვეყანას ძირი გამოუთხარა.** სიმართლე უნდა ითქვას — **ლაზიშვილების** მოშთობის შემდეგ ამ მანკიერი და სამარცხვინო სისტემის ყველაზე დიდი აპოლოგეტი და მფარველი **ედუარდ შევარდნაძე** გახდა!

**— ბატონო სვიმონ, მაინც ვისზე საუბრობთ და რომელი ფრანგი ვარსკვლავი უნდა ჩამოსულიყო თბილისში?**

— მოდით, ეს შეკითხვა უპასუხოდ დავტოვოთ!

**—1964 წლის ოქტომბერში, როცა ნიკიტა ხრუშჩოვის ძალაუფლება დაემხო, რატომ ვერ მოხერხდა სტალინისა და ბერიას რეაბილიტაცია?**

— **ნიკიტა ხრუშჩოვის** დამხობის შემდეგ სტალინის რეაბილიტაციის მცდელობა **მიხეილ სუსლოვმა** აღკვეთა, რომელმაც მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, ფაქტობრივად, მონურ მდგომარეობაში ჩააყენა, ქვეყანას იდეოლოგიური საფუძველი მოურყია და გერმანიაში ყველაფერი ააქოთა! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ბერიამ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, როცა მიხეილ სუსლოვი პოლიტბიუროდან გააძევა, მაგრამ ცეკას მდივნად დატოვა, რითიც მოქმედებისა და ბევრი რამის გაფუჭების შესაძლებლობა მისცა.** თუ სუსლოვს პოლიტბიუროდან აგდებდნენ, მაშინ ცეკას მდივნობიდანაც უნდა მოესროლათ! ბერიამ კი რა გააკეთა? **სუსლოვი,** რომელიც პირადი კარიერის გარდა არავის და არაფერს ცნობდა, პოლიტბიუროდან გაძევებით გააბოროტა, მაგრამ იარაღი ხელში დაუტოვა!

**— თუმცა, სუსლოვი მაინც არ ყოფილა ბერიას საბედისწერო შეცდომა!**

— ბერიას საბედისწერო შეცდომა მისი ორი მოადგილე — **სერგეი კრუგლოვი და ივან სეროვი** — იყო! არსებობს ასეთი დოგმა და სტერეოტიპი, თითქოს ბერია იყო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეფი, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკურმა ელიტამ და სამხედროებმა მოახერხეს და მისი ძლევამოსილება მაინც დაამხეს, რასაც პირადად მისი სიცოცხლეც შეეწირა! მსგავსი მიდგომა საფუძველშივე მცდარია, რადგან სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა... **ლავრენტი ბერიას დამხობა-განადგურებაში მთავარი როლი ითამაშეს არა სამხედროებმა, არამედ სწორედ საბჭოთა „კაგებემ“ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომლებსაც თითქოსდა ბერია აკონტროლებდა!**



ივან სეროვი
და ნიკიტა ხრუშჩოვი

დავიწყოთ იმით, რომ უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები სტალინის სიცოცხლეში არაერთხელ შეერთებულა და გაყოფილა. სულ ბოლოს, კერძოდ, **1953 წლის 5 მარტიდან ავადსახსენებელ 26 ივნისამდე, ბერია იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი,** რომელიც ცალკე უწყების სახით თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსაც. ეს გახლდათ უზარმაზარი და ყოვლისშემძლე უწყება, რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყანას მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ 1946 წლიდან ბერიას უშიშროების სამსახურთან პირდაპირი შეხება არ ჰქონია და სტალინის დავალებით ზესტრატეგიულ პროექტზე — საბჭოთა ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობდა, საბჭოთა ხალხის წარმოდგენაში დღემდე არსებობს დამკვიდრებული აზრი, თითქოს უშიშროება და შინაგან საქმეთა სამინისტრო მუდმივად ბერიას საკურატორო და ქვემდებარე სფერო იყო. არ ყოფილა ასე! გვახსოვდეს ისიც, რომ 1945 წლიდან ბერია იყო საბჭოთა კავშირის მარშალი, ხოლო 1946 წლიდან — პოლიტბიუროს წევრი. არცერთ სხვა პირს, რომელიც საბჭოთა კავშირში უშიშროებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა, კარიერულად ასეთი უმაღლესი მწვერვალები არასოდეს დაუპყრია. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ 1953 წლის 5 მარტს, სტალინის გარდაცვალების დღეს, კრემლში გამართული სასწრაფო თათბირის დროს, **ლავრენტი ბერიამ** შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელთან ერთად ჩაიბარა **გიორგი მალენკოვის,** ანუ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ერთადერთი მოადგილის პოსტიც! თუმცა, არც ის დაგვავიწყდეს, რომ ბერია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ანუ სტალინის მოადგილის თანამდებობას ჯერ კიდევ ბელადის სიცოცხლეში ფლობდა, როცა შინაგან საქმეთა მინისტრობიდან ატომური პროექტის ხელმძღვანელად გადაიყვანეს და ცოტა ხნით ადრე მარშლის წოდებაც მიანიჭეს.

1946 წლის შემდეგ ბერია რომ უშიშროებას ვერ აკონტროლებდა, ამას „მეგრელთა საქმეც“ მოწმობს! ცნობისათვის: 1946 წლიდან 1953 წლამდე ძალოვან უწყებებში მიმდინარეობდა სერიოზული პროცესი, რომელთანაც ბერიას პირდაპირი ბმა არ ჰქონია. საგულისხმოა, რომ ბერიას ძალიან მძიმე ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან **სემიონ იგნატიევთან,** რომელიც უწყებას 1951 წლის 9 აგვისტოდან 1953 წლის 5 მარტამდე ხელმძღვანელობდა და **მალენკოვის** ყურმოჭრილი

## «აი, ამის შემდეგ ცოცხალი

## „ლავრენტი ბერიას დამხობა-განადგურებაში მთავარი როლი ითამაშეს არა სამხედროებმა, არამედ საბჭოთა „კაგებემ“ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომლებსაც თითქოსდა ბერია აკონტროლებდა!“



## „ნიკიტა ხრუშჩოვის დამხობის შემდეგ სტალინის რეაბილიტაციის მცდელობა მიხეილ სუსლოვმა აღკვეთა!“



ნიკიტა ხრუშჩოვი და მიხეილ სუსლოვი

**ისტორიკოსის თვალით**

მონა იყო. გარდა იმისა, რომ ბერიამ **იგნატიევი** პრეზიდიუმიდან გააგდო, სწორედ იმ საბედისწერო დღეს, 1953 წლის 26 ივნისს, როცა ბერიას თავდასხმა მოუწყვეს და გაანადგურეს, ლავრენტი სამთავრობო სხდომაზე უშიშროების ყოფილი მინისტრის **სემიონ იგნატიევის** დაპატიმრების მოთხოვნას გეგმავდა! მანამდე ბერიამ წერილობით მიმართა პრეზიდიუმს, რომ **სემიონ იგნატიევი,** რომელიც 1952 წლის 16 ოქტომბრიდან 1953 წლის 5 მარტამდე პრეზიდიუმის წევრი იყო, დაეპატიმრებინათ!

**— ბერიამ იგნატიევი პრეზიდიუმიდან რატომ გააგდო?**

— ამის მიზეზი გახლდათ **„მეგრელთა საქმე“** და უშიშროების ყოფილი მინისტრის **ვიქტორ აბაკუმოვის** საქმე. გავიხსენოთ, რომ იგნატიევის ხელისბიჭი და მოადგილე, პოლკოვნიკი **მიხეილ რიუმინი** უკვე პასუხისგებაში იყო მიცემული და ბერიამ ის პირადად დაჰკითხა.

**— მაინც, რატომ იყო ლავრენტი ბერია ასე გაალმასებული იგნატიევისა და რიუმინის მიმართ?**

— ლავრენტი ბერიასთვის „ღირსების საქმეს“ წარმოადგენდა იმ კაცის პოვნა და განადგურება, ვინც მას და დანარჩენ ქართველებს შეურაცხყოფა მიაყენა და საბჭოთა კავშირში **„მეგრელთა საქმე“** ააგორა! ბერია სავსებით ლოგიკურად და საფუძვლიანად ეჭვობდა, რომ 1951 წლის ნოემბრის მიწურულს „მეგრელთა საქმე“ მის გასანადგურებლად **გიორგი მალენკოვმა** ააგორა და ამ სიბინძურის შესრულება თავის ყურმოჭრილ მონას, საბჭოთა უშიშროების შეფს **სემიონ იგნატიევს** დაავალა. მოკლედ, ბერიამ **რიუმინი** დაჰკითხა, რომელმაც იგნატიევს დაადო ხელი... ამის შემდეგ საჭირო იყო იგნატიევის დაპატიმრება, რომელიც, რა თქმა უნდა, ბერიას დაკითხვას ვერ გაუძლებდა და აუცილებლად იტყოდა, რომ „მეგრელთა საქმის“ უკან სინამდვილეში **მალენკოვი** იდგა, ანუ 1953 წლის 26 ივნისს, თუ პრეზიდიუმი **სემიონ იგნატიევის** დაპატიმრებაზე ბერიას დათანხმდებოდა და მის წერილობით თხოვნას დააკმაყოფილებდა, რისი ალბათობაც ძალიან დიდი იყო, **გიორგი მალენკოვი** როგორც კარიერას, ისე სიცოცხლეს ძალიან ცუდად დაასრულებდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ უდიდესი საფრთხე თავიდან აეცილებინათ და **იგნატიევი, მალენკოვი** და კიდევ სხვა ჭანჭიკები გადაერჩინათ, რომლებიც „მეგრელთა საქმეში“ იყვნენ გარეული და ბერიას წინააღმდეგ პოლიტიკურ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ, ლავრენტი ბერია იმ საბედისწერო დღეს, 1953 წლის 26 ივნისს, კრემლში არ უნდა მისულიყო და სამთავრობო სხდომაზე პრეზიდიუმისთვის იგნატიევის დაპატიმრების მოთხოვნა არ უნდა გაეჟღერებინა! ასეც მოხდა და 1953 წლის 26 ივნისს ბერიას სახლში ჩატარდა სპეცოპერაცია. აი, ამის შემდეგ ცოცხალი ბერია აღარავის უნახავს.

**— საკუთრივ უშიშროებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში რა ხდებოდა და რატომ ვერ შეიტყო ბერიამ, რომ მის წინააღმდეგ სერიოზული ძალების კონცენტრაცია ხდებოდა?**

— დავიწყოთ იმით, რომ ყველა ის პირი, რომელიც უშიშროებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთგულად ემსახურებოდა, 1953 წლის 5 მარტის შემდეგ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადგან გაჩნდა კითხვა — **„თქვენ ერთგულად ვის ემსახურებოდით და რომელ სისტემას ამაგრებდით, რომელიც ლავრენტი ბერიასა და ქართველების წინააღმდეგ უბინძურეს პროვოკაციას — „მეგრელთა საქმეს“ აგორებდა?“** ამიტომ იყო, რომ **სემიონ იგნატიევსა** და მის ყურმოჭრილ მონას **მიხეილ რიუმინს** რომ თავი გავანებოთ, საბჭოთა უშიშროებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, ყველა — ჩინიანიც და უჩინოც, შიშმა აიტანა. არავის ჰქონდა გარანტია, რომ ბერია, რომელიც უმაღლეს ხელისუფლებას უმიზნებდა და კოლოსალურ ძალაუფლებას ფლობდა, ვინმეს დაინდობდა! რაც შეეხებათ ბერიას მოადგილეებს — **სერგეი კრუგლოვსა და ივან სეროვს,** ორივე უამბიციურესი პიროვნება გახლდათ. ვიდრე ბერიას პირველი მოადგილე გახდებოდა, კერძოდ, 1946 წლის 19 აგვისტოდან 1953 წლის 5 მარტამდე, **სერგეი კრუგლოვი** საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. 1953 წლის 11 მარტს ის ბერიას პირველ მოადგილედ დაინიშნა, ხოლო 1953 წლის 26 ივნისს, მას შემდეგ, რაც ბერიას ფიზიკური ლიკვიდაცია მოხდა, კრუგლოვი ისევ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს. ეს პოსტი მას 1956 წლის 31 იანვრამდე ეჭირა.

## „1946 წლის შემდეგ ბერია რომ უშიშროებას ვერ აკონტროლებდა, ამას «მეგრელთა საქმეც» მოწმობს!“



გიორგი მალენკოვი და სემიონ იგნატიევი

**— და მაინც, ვინ იყვნენ სერგეი კრუგლოვი და ივან სეროვი და რამდენად ძლიერი შეიძლება ყოფილიყვნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი კადრები და შენაერთები, რომელთა გარეშეც ლავრენტი ბერიას განეიტრალება ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდებოდა?**

— 1938-1945 წლებში, როცა ბერია შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, უშიშროების სამსახური უწყებას რამდენჯერმე გამოეყო. ერთხანს უშიშროების მინისტრი გახდა დედით ქართველი, ულამაზესი არისტოკრატი **ვსევოლოდ მერკულოვი,** ხოლო შემდეგ — **ვიქტორ აბაკუმოვი.** მერკულოვი ბერიას განუყრელი ძმაკაცი გახლდათ და, ამდენად, 1941 წლის თებერვლიდან 1946 წლის მარტამდე, მისი უშიშროების მინისტრობა ბერიას არავითარ პრობლემას არ უქმნიდა. მართლაც, უწყებაში თავიდან ბოლომდე ბერიას კადრები იყვნენ, რომლებსაც მისი უახლოესი და განუყრელი მეგობარი **მერკულოვი** ხელმძღვანელობდა. ფაქტობრივად, სიტუაცია არ შეცვლილა უშიშროების მინისტრად **ვიქტორ აბაკუმოვის** მოსვლის შემდეგაც, რომელმაც 1946 წელს **ვსევოლოდ მერკულოვი** შეცვალა, მაგრამ აბაკუმოვი მაინც სპეციფიკური კადრი, ინდივიდუალისტი იყო და სამამულო ომის დაწყებიდან სამხედრო კონტრდაზვერვას, ანუ „სმერშ“-ს ხელმძღვანელობდა, რომელსაც პირადად სტალინი აკონტროლებდა. **არ არსებობს არცერთი ფაქტი, რომ აბაკუმოვი ოდესმე ბერიას დაუპირისპირდა ან ბერიას ქართველ კადრებს უშიშროების სამინისტროში შემოსწყრა, მაგრამ ვიქტორ აბაკუმოვი გახლდათ ძალიან ახალგაზრდა და, რაც ყველაზე მთავარია, მისი უშიშროების მინისტრობა დაემთხვა პერიოდს, როცა, სტალინის ბრძანებით, ბერია სპეცსამსახურებს ჩამოაშორეს და სტრატეგიული პროექტის ხელმძღვანელად დანიშნეს.** აი, სწორედ აქედან დაიწყო პრობლემები და უშიშროების სისტემაში ბერიასადმი გაუცხოება.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# ბერია აღარავის უნახავს!»

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## როდის დაარსდა სტალინური პრემიები, რა მოცულობით, რომელი ფონდიდან უხდიდნენ მათ და რისთვის ანიჭებდნენ? გვაინტერესებს, აგრეთვე, საკუთარი სახელობის პრემიების მინიჭებას თავად სტალინი განკარგავდა თუ მისი დავალებით ამას სხვა კომპეტენტური პირები აკეთებდნენ?

**ი. სტალინის სახელობის პრემიები 1939 წლის დეკემბერში მისი 60 წლის იუბილეს აღსანიშნავად დაარსდა.** სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს **20 დეკემბრით** დათარიღებულ და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის **ვ. მოლოტოვის** მიერ ხელმოწერილ საგანგებო დადგენილებაში ნათქვამი იყო: **„დაარსდეს ამხანაგი სტალინის სახელობის 16 პრემია (თითოეული 100 ათასი მანეთის ოდენობით), რომლებიც მეცნიერების და ხელოვნების მოღვაწეებს ყოველწლიურად მიენიჭება ღირსშესანიშნავი ნამუშევრებისათვის.“** შემდგომში ჩამოთვლილი იყო გამოყენებითი და ფუნდამენტური მეცნიერებების — ფილოსოფიის, ეკონომიკის, ფილოლოგიის, ისტორიის, იურისპრუდენციის დარგები. პრემიები მიენიჭებოდა აგრეთვე საუკეთესო გამოგონებებისა და მიღწევებისთვის სამხედრო მეცნიერების სფეროში. ხელოვნების დარგთა შორის დადგენილებაში დასახელებული იყო მუსიკა, ფერწერა, სკულპტურა, არქიტექტურა, თეატრი და კინემატოგრაფია. დადგენილების პრესაში გამოქვეყნების შემდეგ პირადად **სტალინმა** მიუთითა **მოლოტოვს,** რომ ჩამონათვალში გამოტოვებულია ლიტერატურა და **1940 წლის იანვარში** დადგენილების დამატება გამოქვეყნდა. ამასთან, პრემიები ხარისხებად დაიყო: **პირველი — 100 ათასი, მეორე — 50 ათასი, მესამე — 25 ათასი მანეთის ოდენობით.**

პრემიების თანხა **ი. სტალინის** პირადი ფონდიდან გამოიყოფოდა, რომელიც მის ნაშრომთა ჰონორარებისგან შედგებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ **სტალინის** მიერ დაწერილი წიგნები და ბროშურები ყოველწლიურად მილიონიანი ტირაჟებით იბეჭდებოდა და არა მარტო სსრკ-ში, არამედ საზღვარგარეთაც, უნდა ვაღიაროთ, რომ საკმაოდ სოლიდური თანხა გროვდებოდა. მთელი ეს ფული პრემიების დაარსებამდეც საზოგადოებრივ საჭიროებას ხმარდებოდა. ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ 2 ათასი მანეთი, რომელიც **სტალინმა 1933 წლის დეკემბერში** ძველ ამხანაგს **პეტრე კაპანაძეს** (პეტას) ხაშურში გაუგზავნა დახმარების შესახებ მისი თხოვნის პასუხად.

სხვათაშორის, იმავე დადგენილებით დაარსდა სტალინური სტიპენდიები სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის **1000 და 500 მანეთის** ოდენობით უკლებლივ ყველა უმაღლესი სასწავლებლისთვის.

**სტალინურ პრემიებს** საგანგებოდ შექმნილი პრემიების კომიტეტი ანიჭებდა, რომელშიც მეცნიერების და კულტურის სახელოვანი მოღვაწეები შედიოდნენ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ბელადთან შეთანხმებით კეთდებოდა. კომიტეტის იმ სხდომებს, რომლებზედაც ხელოვნების და ლიტერატურის ნიმუშები განიხილებოდა, **სტალინი** ყოველთვის თავად ესწრებოდა. ამის შესახებ თავის მოგონებებში დაწვრილებით მოგვითხრობს კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, მწერალი კონსტანტინე სიმონოვი. მისი თქმით, განხილვის დროს ბელადი პრემიაზე წარდგენილ ნაწარმოებთა დეტალურ ცოდნას ამჟღავნებდა. ამასთან მას, როგორც წესი, წიგნების და ჟურნალების დასტა მიჰქონდა თან და როდესაც სიაში შესული ნაწარმოებების განხილვა მთავრდებოდა, ამბობდა: **„რომელმა თქვენგანმა წაიკითხა ესა და ეს ნაწარმოები? ვფიქრობ, კარგი წიგნია და პრემიას იმსახურებს.“** ასე დაჯილდოვდა პრემიებით ვერა პანოვას სოცრეალიზმისაგან ფრიად შორს მდგარი თხზულებები, ემანუილ კაზაკევიჩის **„გაზაფხული ოდერზე“** და სხვა წიგნები. მეტად საგულისხმო ისტორია გადახდა ომზე შექმნილ ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს, **ვიქტორ ნეკრასოვის** რომანს **„სტალინგრადის სანგრებში“.** ჟურნალში გამოქვეყნების შემდეგ გაზეთებში და ლიტერატორთა შეკრებებზე რომანი კრიტიკის ქარცეცხლში გაახვიეს **„დამმარცხებლური“** განწყობის, **„უკლასო ჰუმანიზმის“** და სხვა ცოდვებისთვის. ასეთი კრიტიკა შეიძლება მწერალთა კავშირიდან **ნეკრასოვის** გარიცხვით დამთავრებულიყო, მაგრამ **სტალინს** რომანი მოეწონა და მისი ავტორი მოულოდნელად ლაურეატი გახდა. დაახლოებით ანალოგიური რამ შეემთხვა **ილია ერენბურგის** რომან **„ქარიშხალს“, რომელიც „კოსმოპოლიტიზმის“ და „ყოველივე უცხოურის თაყვანისცემისთვის“ გააკრიტიკეს.** ცნობილი ფაქტია — მას შემდეგ, რაც მწერალთა კავშირში კოლეგებმა ავტორს თავს ლაფი დაასხეს, **ერენბურგმა** სიტყვა ითხოვა და **ბელადის** მიერ გამოგზავნილი ბარათი წაუკითხა: **„წავიკითხე თქვენი „ქარიშხალი“. ძლიერი ნაწარმოებია. ი. სტალინი.“**

**სტალინის** გარდაცვალების შემდეგ **სტალინური პრემიების ადგილი ლენინურმა დაიკავა.** ლაურეატებს ოფიციალურად **„სახელმწიფო“** ეწოდათ. მაგალითად, ამ საქმის რეკორდსმენის **კ. სიმონოვის** ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: **„ექვსჯერ მიენიჭა სახელმწიფო პრემია** (1942, 1943, 1945, 1946, 1947 და 1949 წლებში).“ ეს იგივეა, მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის **გიორგის ჯვრის კავალრებს** დღეს დიდების ორდენის კავალრებს რომ უწოდებდნენ. ცნობისათვის — დიდების ორდენი **გიორგის ჯვრის** მსგავსად შემოიღეს, ისეთივე ლენტი ჰქონდა, ოღონდ ჯვრის მაგივრად ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმისა იყო.







ილია ერენბურგი

## რუსეთის პრესა დღემდე საყვედურობს სტალინს მოსკოვის ცენტრში მაცხოვრის ტაძრის დანგრევას, მაგრამ რატომღაც ხმას არ იღებს მის მიერ დედაქალაქის რეკონსტრუქციისთვის ჩატარებულ ტიტანურ სამუშაოზე. განა სტალინი არ იყო მოსკოვის თანამედროვე ქალაქად გადაქცევის ღონისძიებათა ინიციატორი და მთავარი გამტარებელი?



**მოსკოვს ოდითგანვე „დიდ სოფელს“ უწოდებდნენ,** რამეთუ, გეგმის მიხედვით აგებული პეტერბურგისაგან განსხვავებით, საუკუნეთა განმავლობაში ქაოსურად შენდებოდა. მისი ძირეული რეკონსტრუქციის საკითხი **20-იანი წლების ბოლოს — 30-იანის დასაწყისში დადგა. 1934 წლის 14 ივლისს კრემლში სტალინის** თავმჯდომარეობით გაიმართა სხდომა დედაქალაქის რეკონსტრუქციის საკითხებზე. მასში მონაწილეობდნენ ქალაქის ხელმძღვანელები, მთავრობის წევრები და 50 წამყვანი არქიტექტორი და მშენებელი. **სტალინმა** ყურადღებით მოისმინა გამოთქმული წინადადებები, შეისწავლა წარმოდგენილი პროექტები და შენიშვნები გამოთქვა. გადაწყდა პროექტების ბოლომდე დამუშავება და გენერალურ გეგმაში გაერთიანება. ეს გეგმა თითქმის ერთი წლის შემდეგ, **1935 წლის გაზაფხულზე,** განიხილეს დასკვნით სხდომაზე, რომელსაც **ვ. მოლოტოვი** თავმჯდომარეობდა და **ი. სტალინიც** ესწრებოდა. მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა დამტკიცდა. აღსანიშნავია, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაო ფანტასტიკურად მოკლე ვადაში ჩატარდა და **1939 წლის დასაწყისში** დედაქალაქმა, ფაქტობრივად, დღევანდელი იერი მიიღო. გეტყვით იმასაც, რომ წრიული გზების გაყვანის, ავტომაგისტრალთა სიგანის, ცენტრში შენობათა სართულების რაოდენობის, **„მწვანე ზონების“** განაწილების იდეები პირადად **სტალინს** ეკუთვნოდა.

დღემდე დამკვიდრებულია აზრი, რომ ბინათმშენებლობა როგორც მოსკოვში, ისე სსრკ-ის სხვა ქალაქებში, ფართოდ მხოლოდ **ხრუშჩოვის დროს გაიშალა**. ეს ასე არ არის. ზემოთ ხსენებულ პერიოდში სწორედ **სტალინის** ინიციატივით დაიწყო ბინების ჩქაროსნული მშენებლობა, მოსკოვის გარეუბნების გაშენება მრავალბინიანი კეთილმოწყობილი სახლებით. მათი უმრავლესობა დიდი ბლოკებით იგებოდა და, გვიანდელი **„ხრუშჩოვკებისაგან“** განსხვავებით, ბინები სრულფასოვანი და კეთილმოწყობილი იყო. სხვათაშორის, **ხრუშჩოვისეულმა „უდღეურებმა“ დროის გამოცდას ვერ გაუძლო და მათი უმრავლესობა დღეს მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეულია. სტალინისდროინდელი საცხოვრებელი სახლები კი დღემდე ამშვენებს მოსკოვს.**

არც იმის უთქმელობა იქნება, რომ **სტალინის** ინიციატივით დაიწყო მოსკოვში მეტროს გაყვანა, რომლის პირველი ხაზი მწყობრში **1935 წლის მაისში** ჩადგა.

ახლა მაცხოვრის ტაძარზე ვისაუბროთ. ის მართლაც ააფეთქეს, რადგან იმ ადგილზე საბჭოების გრანდიოზული სასახლის აშენება იგეგმებოდა (უკვე ვწერდით, რომ მიზეზთა გამო მშენებლობა არ დასრულებულა და გათხრილი საძირკვლის ადგილზე აუზი **„მოსკვა“** მოაწყვეს). **ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მაცხოვრის ტაძარი განსაკუთრებულ ისტორიულ ფასეულობას არ წარმოადგენდა, მისი მშენებლობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა.** რაც შეეხება ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, შეინარჩუნეს. მაგალითად, გენერალური გეგმით გათვალისწინებული იყო წითელი მოედნის რეკონსტრუქცია, მაგრამ **სტალინმა** მისი პირვანდელი სახით შენარჩუნება ბრძანა. ამბობენ, როდესაც განხილვის დროს **კაგანოვიჩმა** (იმ დროს მოსკოვის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი) მაკეტიდან **ვასილი ნეტარის ტაძარი აიღო და თქვა, „ეს უნდა მოცილდეს“, სტალინმა უხეშად შეაწყვეტინა: „ეკლესია თავის ადგილზე დადე.“**

## ამბობენ, რომ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება ლენინმა გერმანიის მთავრობის დახმარებით მოახდინა. გერმანიის ინტერესი, ჩანს, იმაში მდგომარეობდა, რომ ამის შემდეგ რუსეთი ანტანტიდან გამოვიდოდა. ასე რომ, ლენინმა პატიოსნად შეასრულა „დაკვეთა“, როდესაც გერმანელებთან რუსეთისთვის არახელსაყრელი ბრესტის ზავი დადო. ეს სიმართლეა თუ არა?

გერმანიის დახმარებასთან და მის ინტერესთან (გადატრიალების შედეგად რუსეთის გამოსვლა ომიდან) დაკავშირებით ყველაფერი მართალია და ჩვენ ამას უკვე ვწერდით. რაც შეეხება **ბრესტ-ლიტოვსკის ზავს,** აქ საქმე ცოტა სხვაგვარად იყო. **1917 წლის ბოლოს — 1918-ის დასაწყისში ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობის მთავარი ამოცანა ხელისუფლების შენარჩუნება იყო.** რეგულარული არმიის არმქონე სახელმწიფოს, ბუნებრივია, საომარი მოქმედებების გაგრძელება აღარ შეეძლო და იძულებული გახდა, გერმანიასთან დროებით ზავზე მოლაპარაკება დაეწყო. ასეთ შეთანხმებას **1917 წლის 5 დეკემბერს მოაწერეს ხელი ბრესტ-ლიტოვსკში.** მაგრამ გერმანელებმა ზავის დადების შემდეგ ახალი მოთხოვნები წამოაყენეს და ფრონტის ხაზის კვლავ გარღვევით იმუქრებოდნენ. ამიტომ გერმანულ მხარესთან მოლაპარაკება **თებერვლის დასაწყისში** განახლდა, მაგრამ **10 თებერვალს** ისევ შეწყდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის — **ტროცკის** განცხადების საფუძველზე, რომ **„თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული საბჭოთა ხელისუფლება გერმანელ იმპერიალისტებთან ზავს არ დადებს, მაგრამ არც ომის წარმოებას აპირებს.“ პრინციპი „არც ზავი, არც — ომი“,** ფაქტობრივად, ომს ნიშნავდა და გერმანიის მთავარსარდლობამ ასეც გაიგო. ამ განცხადების გაკეთებისთანავე გერმანელებმა საომარი მოქმედება განაახლეს და უმოკლეს ხანში მოახდინეს უკრაინის, ბალტიისპირეთის და ქვეყნის სხვა მხარეების ოკუპაცია. **ლენინმა ტროცკის ამ საქციელს „მოღალატური“ უწოდა და განაცხადა, რომ ის „საქმით დაეხმარა გერმანელ იმპერიალისტებს და ხელი შეუშალა გერმანიაში რევოლუციის ზრდას და განვითარებას.“** ამის შემდეგ **ლენინმა, სტალინის** მხარდაჭერით, მიაღწია გერმანიასთან ზავის დადებას მნიშვნელოვანი ტერიტორიული დათმობების ფასად. **1918 წლის 6 მარტს პარტიის მე-7 ყრილობაზე ეს წინადადება 30 ხმით მიიღეს 12-ის წინააღმდეგ** (ყრილობას სულ 46 დელეგატი ესწრებოდა, 4-მა თავი შეიკავა). ამგვარად მოეწერა ხელი **ბრესტის „სამარცხვინო“ ზავს,** რომელმაც ბოლშევიკებს ხელისუფლების შენარჩუნების და წითელი არმიის შექმნით შემდგომში მისი გამყარების საშუალება მისცა. **როგორც ხედავთ, ბრესტ-ლიტოვსკის ზავი სულაც არ ყოფილა ლენინის „მადლობა“ ოქტომბრის გადატრიალებაში დახმარებისთვის. იგი თავიდან ბოლომდე ხელისუფლების შენარჩუნების ინტერესებით იყო ნაკარნახევი.**

2023 წლის 15 მაისი, № 26 (194)

სარედაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com

ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# ადოლფ ჰიტლერისა და ედუარდ შევარდნაძის ალმასვლა 40 წლის ინტერვალით დაიწყო:

## რაიხსტაგისა და ოპერის თეატრის დაწვით!

***გასულ კვირას, 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაწვიდან 50 წელი გავიდა. ოპერის თეატრში ხანძარი გაჩნდა ნახევარი საუკუნის წინათ, ფაშიზმზე გამარჯვების 28-ე წლისთავზე. განადგურდა მაყურებელთა დარბაზი, სერგო ქობულაძის მიერ მოხატული ოპერის ფარდა, ჩამოიქცა თეატრის გუმბათი, დაიკარგა დიდი ოსტატების — სტრადივარიუსის ვიოლინო და გვარნერის ჩელო. მიუხედავად იმისა, რომ ხანძრის გაჩენის ბრალდებით თეატრის თანამშრომლები იქნენ დაპატიმრებულნი, ეს საქმე დღემდე ბურუსითაა მოცული და ბოლომდე გამოუძიებლად მიიჩნევა.***

**50 წლის წინათ, 1973 წლის 9 მაისს,** როდესაც ფაშიზმზე გამარჯვების მორიგ წლისთავს ზეიმობდნენ, თბილისში ოპერისა და ბალეტის თეატრი დაწვეს. ალი თითქმის მთაწმინდას სწვდებოდა, სადაც ჯერ კიდევ ორი სატელევიზიო ანძა იდგა — ახალი და მიმდინარეობდა ძველის დემონტაჟი. ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ ხანძარს საბჭოთა საქართველოს ლიდერი **ედუარდ შევარდნაძე** საკუთარი კარიერის ტრამპლინად აქცევდა, აღმავლობის გზაზე ყველა კონკურენტს მოცელავდა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდებოდა, ხოლო თბილისის ოპერის თეატრის დაწვიდან 16 წელიწადში ბერლინის კედელსაც დაანგრევდა. **მაქს ფრიშის** „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებლებისა“ არ იყოს, პოლიტიკურ სცენაზე მასაც თავისი **ცეცხლისწამკიდებლები** ჰყავდა, რომლებმაც სიცოცხლეს გამოასალმეს **სერგო ქობულაძის** შედევრი — სცენის ფარდა და მხოლოდ თეატრის გარე ფასადის კედლები დატოვეს. მას შემდეგ 50 წელი გავიდა, თუმცა, არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული, ცეცხლისწამკიდებლებიც დღეს ჩვენ შორის დადიან და, ბედის ირონიით, ქართული ოპოზიციის ხელით უკვე მთელ საქართველოში აპირებენ საომარი ცეცხლის დანთებას, თუნდაც გერმანელი დეპუტატი **ვიოლა ფონ კრამონი** ავიღოთ, რომელიც თბილისის ცენტრში, ოპერის თეატრის ახლოს, „მოლოტოვის კოქტეილებით“ ცეცხლის გაჩაღების მომხრეა. არც ლაზარედ წოდებული „მოლოტოვის კოქტეილების“ მტყორცნელი დაგვავიწყდეს, რომელმაც სასიკვდილო იარაღი ცოცხალი ადამიანებისაკენ მიმართა.

საბედნიეროდ, რამდენიმე წლის წინათ ოპერის თეატრს ახალი სული ჩაჰბერა ქართველმა პატრიოტმა ბიძინა ივანიშვილმა (რომლის დასანქცირებასაც ასე ძალიან ითხოვენ), სერგო ქობულაძისეული ფარდაც მაქსიმალური მიმსგავსებითა და ხარისხით აღადგინეს — სხვათაშორის, ფონ კრამონის სამშობლოში! **კარგია, რომ ამ ქალბატონის მოსაზრებები გერმანიის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებებს არ ემთხვევა, აკი, საქართველოში გერმანიის ელჩმა პეტერ ფიშერ-**

*გაგრძელება მე-20 გვერდზე*



საკმარისია დავასახელოთ 1933 წლის 27 თებერვალს ჰიტლერის მომხრეების მიერ რაიხსტაგის შენობის დაწვა და შემდეგ მოწინააღმდეგეთათვის დაბრალება!



## 1973 წელი:

### თბილისში ოპერისა და ბალეტის თეატრი იწვის!



## გასულ კვირას თბილისის ოპერის თეატრის დაწვიდან 50 წელი გავიდა!




## 1933 წელი:

### ბერლინში რაიხსტაგის შენობა იწვის!

# ადოლფ ჰიტლერისა და ედუარდ შევარდნაძის აღმასვლა 40 წლის ინტერვალით დაიწყო:

# რაიხსტაგისა და ოპერის თეატრის დაწვით!

დასაწყისი მე-19 გვერდზე

**მა განაცხადა: გერმანიის მთავრობას საკუთარი ოფიციალური პოზიცია გააჩნია, ვიოლა ფონ კრამონი კი საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამსო.** ისიც ფაქტია, რომ თავისი განცხადებებით ცეცხლის გაჩაღების მომხრეთა პოზიციას იზიარებს **სალომე ზურაბიშვილიც**, რომელმაც 9 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქალბატონებთან შეხვედრა მოაწყო და სერგო ქობულაძის აღდგენილი ფარდის ფონზე დამსწრეთ ქალთა პრობლემებზე ესაუბრა. **დარბაზში მრავლად ისხდნენ ამ თეატრის ახალი სიცოცხლის სულისჩამდგმელის — ბიძინა ივანიშვილის მაწყევარი და მისი დასანქცირების მომხრე ქალები, ხოლო ლოჟაში თავს იწონებდნენ ნატო ჩხეიძე და ნინო ბურჯანაძე.**

•

ოპერის თეატრი დაიწვა საქართველოს რესპუბლიკის სათავეში **ედუარდ შევარდნაძის** ზეობის დასაწყისში, როცა მან ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა და ახალი წესრიგის დამყარება წამოიწყო. **სინამდვილეში ეს წესრიგი ემსახურებოდა მისთვის არასასურველი პირების თანამდებობიდან ჩამოცილებას და მათ ადგილზე თავისი კადრების დანიშვნას.**

1973 წლის 9 მაისს საქართველოს კომპარტიის 9-თვიანი ლიდერი ოპერის თეატრში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღის აღსანიშნავ შეკრებას უნდა დასწრებოდა. სხვათაშორის, ოპერის დაწვა იმ ნეგატიურ ძალებს მიაწერეს, რომლებსაც არ აწყობდათ საქართველოში შევარდნაძის მიერ კორუფციასთან ბრძოლა. ხანძრის გაჩაღების ბრალდება წაუყენეს თეატრის თანამშრომლებს: საწყობის გამგე **ალექსანდრე ელისაბედაშვილს**, ელექტრიკოს **ანატოლი ტაბურჩინსკის**, მხატვარ-გამნათებელ **გიორგი გეკერს**, რადისტ **ვიტოლდ კორჩიცს**, მომღერალ **გოგი ხეცურიანს**, თეატრის დირექტორის მოადგილე **ბრიგოლ ტატიშვილს**, ქართული ბალეტის ფუძემდებლის **ვახტანგ ჭაბუკიანის დისშვილს**, ფილარმონიის სადადგმო ნაწილის უფროს **თენგიზ რუხაძეს**, რომელსაც დააბრალეს ზემოხსენებ პირთათვის ჭაბუკიანის მიერ გამოტანებული თანხის გადაცემა. უფრო მეტიც, **თეატრის დაწვა ჭაბუკიანის შურისძიებად ჩათვალეს!**

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ბრალდებულთაგან დანაშაულის აღიარებას ითხოვდა **(რაც მათი წამების ფონზე ნაწილობრივ მიიღეს კიდეც), ვახტანგ ჭაბუკიანს** ვერაფერი დაუმტკიცეს. ეს ტრაგედია დღემდე სპეცსამსახურების მიერ მოწყობილად მიიჩნევა, რომელიც რესპუბლიკის პირველ პირს — ედუარდ შევარდნაძეს აღზევებისთვის სჭირდებოდა. გამოძიების მიხედვით, თეატრში ცეცხლი გააჩინა დარბაზში რამდენიმე ადგილას განზრახ განთავსებულმა აალებადმა ნივთიერებამ.

1973 წლის 9 მაისს ოპერის თეატრის დაწვა რომ კარგა ხნის წინ იყო დაგეგმილი, ამას მოწმობს რამდენიმე თვით ადრე — **1972 წლის 31 ოქტომბერს — ვახტანგ ჭაბუკიანის** გათავისუფლება თეატრიდან.







პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 იანვარი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 14 (15531)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1973 წლის 16 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული მუშაკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 იანვარი პარასკევი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 16 (15533)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის კომუნისტებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული მუშაკი, სა-

ლბის უსაზღვროდ ერთგული ადამიანის სიცოცხლის აზრს. რა პოსტზეც უნდა ყოფილიყო მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი, როგორიც უნდა ყოფილიყო მისი საქმიანობის მასშტაბი, მუდამ და განუხრელად ვლინდებოდა მისი ბუნების საუკეთესო მხარეები — უმწიკვლო პატიოსნება, მაღალი პრინციპულობა,

## ხელოვანის პროტესტსა და უკმაყოფილებას შევარდნაძემ მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოები დაუპირისპირა და ჭაბუკიანი ამ გზით გააჩერა.

როგორც ჩანს, ამავე გზით შევარდნაძემ ჭაბუკიანი ჯერ კიდევ მაშინ განაიარაღა, როდესაც ის შევარდნაძისგან თავისი დისშვილის — **ეთერ ჭაბუკიანის** გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების გამოძიებას დაჟინებით ითხოვდა. **მასთან ერთ-ერთი მორიგი შეხვედრის შემდეგ ჭაბუკიანი დისშვილის ტრაგიკულ გარდაცვალებაზე აღარ საუბრობდა, ახსოვდა გაფრთხილებაც** — ეთერ ჭაბუკიანის შვილმა დე-



## თეატრის დაწვამდე რამდენიმე თვით ადრე, 1973 წლის 16 იანვარს, მასთან უთანხმოების ნიადაგზე, საკუთარ სახლში თავი მოიკლა ცეკას მდივანმა მიხეილ გოგიჩაიშვილმა – კედელში დანა მოათავსა და ზედ დაეგო!

# გასულ კვირას თბილისის ოპერის თეატრის დაწვიდან 50 წელი გავიდა!





1973 წლის 9 მაისს დამწვარი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი






ალექსანდრე ელისაბედაშვილი, თენგიზ რუხაძე, ანატოლი ტაბურჩინსკი, გიორგი გეკერი

**და უკვე დაკარგა, მამალა დარჩაო...**

წლების წინათ მუსიკოსმა **ლალი მიქავამ** მითხრა (რომლის მამა **ნიკოლოზ მიქავა** აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო), **ოპერის თეატრის დაწვაში ჭაბუკიანი ღიად ვერ დაადანაშაულეს, რადგან მას მსოფლიო აფასებდაო!** შევარდნაძემ გაითვალისწინა ერთი ფაქტიც და სიფრთხილე გამოიჩინა: **თეატრის დაწვამდე რამდენიმე თვით ადრე, 1973 წლის 16 იანვარს, მასთან უთანხმოების ნიადაგზე, საკუთარ სახლში თავი მოიკლა ცეკას მდივანმა მიხეილ გოგიჩაიშვილმა — კედელში დანა მოათავსა და ზედ დაეგო.** ჭაბუკიანის ბედი ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ გადაწყვიტა — შევარდნაძემ ჭაბუკიანი აღარ დაიჭირა, ამანაც თავი არ მოიკლასო! ერთი ფაქტიც: **ოპერის თეატრის დაწვიდან ერთ წელიწადში, 1974 წლის 8 ივნისს, როდესაც ხანძრის გაჩაღებაში ეჭვმიტანილთა სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა, მრავალსართულიანი კორპუსიდან გადმოეშვა მიხეილ გოგიჩაიშვილის მეუღლე,** ბალერინა **მარინა ზნამენსკაია** (გარდაიცვალა ისევე, როგორც ჭაბუკიანის დისშვილი ეთერ ჭაბუკიანი). **იქნებ ზნამენსკაიამ იცოდა თეატრში გაჩენილი ხანძრის მიზეზი?** აქვე: შევარდნაძე ხომ ფაქტებს სათანადოდ ნიღბავდა და ამბებს თხზავდა, ამას მოწმობს გაზეთ „კომუნისტში" საქართველოს მთავრობის წევრების, მათ შორის, შევარდნაძის ხელმოწერით საგანგებოდ დაბეჭდილი **მიხეილ გოგიჩაიშვილის** ნეკროლოგი, **სადაც გარდაცვალების მიზეზად დასახელებულია არა თვითმკვლელობა, არამედ ხანმოკლე ავადმყოფობა.**

ხანძარი რომ კარიერის აღმასვლაში ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯია, ამის არაერთი მაგალითი იცის ისტორიამ. საკმარისია, დავასახელოთ 1933 წლის 27 თებერვალს ჰიტლერის მომხრეების მიერ რაიხსტაგის შენობის დაწვა და შემდეგ მოწინააღმდეგეთათვის დაბრალება. ჰიტლერის აღმასვლაც მაშინ დაიწყო ისევე, როგორც 40 წლის შემდეგ ედუარდ შევარდნაძის — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაწვის კვალდაკვალ. თეატრი ფერფლიდან აღადგინეს 1977 წელს, სასჯელი მოიხადეს დამნაშავეებად მიჩნეულებმაც, თუმცა, საკუთარ ოჯახებს დაავადებულნი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეულნი დაუბრუნდნენ.

**ვახტანგ ჭაბუკიანი შევარდნაძეს**







**შევარდნაძემ ჭაბუკიანი ჯერ კიდევ მაშინ განაიარაღა, როდესაც ის შევარდნაძისგან თავისი დისშვილის — ეთერ ჭაბუკიანის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების გამოძიებას დაჟინებით ითხოვდა!**

**ოპერის თეატრის დაწვა რომ კარგა ხნის წინ იყო დაგეგმილი, ამას მოწმობს რამდენიმე თვით ადრე – 1972 წლის 31 ოქტომბერს – ვახტანგ ჭაბუკიანის გათავისუფლება თეატრიდან!**

## თეატრში აღარ აღუდგენია, არც ჯუმბერ პატიაშვილმა ილო ყურად ჭაბუკიანის თხოვნა.

ესეც უნდა ითქვას: ოპერის თეატრის საქმეზე შევარდნაძის მიერ დანიშნული გამომძიებლები რატომღაც არ ეძებდნენ ხანძრის დროს დაკარგულ სტრადივარიუსის ვიოლინოსა და გვარნერის ჩელოს. დღევანდელი მონაცემებით, მთელ მსოფლიოში სტრადივარიუსის მიერ შექმნილი 500-მდე ვიოლინოა შემორჩენილი და თითოეულის ფასი 15 მილიონ დოლარს აჭარბებს. **იქნებ, ეს ხანძარიც ამ ინსტრუმენტების დაუფლების მიზნით გააჩაღეს?**

## ბოლოთქმა

**1973 წლის 9 მაისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაწვის საქმე გადაფარა 1975 წლის მაისში საქართველოში უცნობი ჯარისკაცის ჩამოსვენებამ და ვაკის პარკში დაკრძალვამ.** რა თქმა უნდა, **ედუარდ შევარდნაძე** ღონისძიების ეპიცენტრში იყო. ამ ამბიდან 48 წლის შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავის გადაკეთების სურვილი გამოთქვა და, ფაქტობრივად, 2009 წელს ქუთაისში სააკაშვილის მიერ მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალის" აფეთქების ტოლფასი განცხადება გააკეთა. **იმედი ვიქონიოთ, რომ ქალბატონი პრეზიდენტი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამოსვლის მერე, ფონდ „ქართუს" ამ თეატრში ჩატარებულ სამუშაოებს არ დაუწუნებს და მის გადაკეთებას არ მოითხოვს.**

*ქეთევან ხამიტაშვილი*



დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2023 წ. №11-15,16-17, 18-19, 20-21,22




*ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობაში ე.წ. „ელიტურ ინტელიგენციასთან“ ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ეკლესიის არაერთმა იერარქმა. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა** სწორედ იმ დაპირისპირების შესახებ გვიამბობს, რომელიც ჯერ კიდევ დისიდენტ გამსახურდიასა და საპატრიარქოს შორის იმთავითვე აშკარა და შესამჩნევი იყო:*

## იგორ კვესელავა:

# ზვიად გამსახურდიას კათოლიკოს-პატრიარქობაზე არ უფიქრია და ეს ჭორი შევარდნაძისა და ალექსი ინაურის გავრცელებულია!

— ქართველი ერის ინტელექტუალური და სახელოვნებო ელიტა შევარდნაძის მხარეს რომ არ დამდგარიყო, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა ძალიან გაჭირდებოდა. სამწუხაროდ, ეს ხალხი დაადგა ეროვნული ღალატის გზას და მოსკოვშიც ხშირად სტუმრობდა შევარდნაძეს. ჩვენ ერთხელ უკვე ვთქვით, რომ უდიდესმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა **თამაზ გამყრელიძემ** ზვიად გამსახურდიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობაზე უარი იმიტომ უთხრა, რომ მოსკოვიდან შევარდნაძის მიერ იყო გაფრთხილებული. როცა სააკაშვილის მრჩევლად ვმუშაობდი და ბათუმში ვიყავით ჩასული, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს ერთ-ერთ სუფრაზე პირადად ჩემთვის აქვს ნათქვამი — *გადატრიალების უკან რომ სინამდვილეში შევარდნაძე იდგა, ამის შესახებ ყველამ ვიცოდით, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ კვირები გადიოდა და შევარდნაძე თბილისში არ ჩამოდიოდა. 1992 წლის თებერვლის დასაწყისში სწორედ ამის გასარკვევად ჩავედით მოსკოვში და შევხვდით შევარდნაძეს, რომელიც საშინლად გაღიზიანებული მეჩვენა. ედუარდი, რომელიც მსგავს თემებზე საუბრისას ყოველთვის უდიდეს სიფრთხილეს იჩენდა, იმდენად იყო გაბრაზებული, წყენა არ დაუმალავს და პირდაპირ მოგვახალა — რას აპირებთ, მოსკოვში როდემდე უნდა ვიყო?* და კიდევ: საქართველოს ისტორიას შავ ლაქად შემორჩება ის სამარცხვინო წერილი, რომელიც 1992 წლის იანვარში ქართველმა „ელიტარებმა“ სომხეთში გაგზავნეს!

**— რომელ დოკუმენტს გულისხმობთ, ლეონ ტერ-პეტროსიანს ზვიად გამსახურდიას გადმოცემას რომ სთხოვდნენ?**

— არა, ეს სულ სხვა წერილია! ეს გახლავთ ქართველი „ინტელიგენტების“ წერილი მეზობელი სომეხი „ინტელიგენციისადმი“, სადაც ქართველები სომეხ მეგობრებს სთხოვენ მხარდაჭერას იმაში, რომ ზემოქმედება მოახდინონ პრეზიდენტ ტერ-პეტროსიანზე, რათა მან საქართველოს გადმოსცეს ზვიად გამსახურდია.

ამ ავადსახსენებელ წერილს ხელს აწერენ: **ოთარ ლითანიშვილი, ბუბა კიკაბიძე, სოფიკო ჭიაურელი, ლანა ღოღობერიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ბიძინა კვერნაძე, გიორგი ციციშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, გიორგი შენგელაია, ფელიქს ლლონტი, გიგა ლორთქიფანიძე,** არქიტექტურისა და მშენებლობის მინისტრი **გურამ მირიანაშვილი, ხუტა ბერულავა, რეზო ამაშუკელი,** დრამატურგი **გიორგი ბადრიძე** და ლიტერატორი **გურამ გვერდწითელი.**

ცნობილია, რომ პეტროსიანმა თბილისში მოკალათებული ხუნტისთვის ზვიად გამსახურდიას გადმოცემა ორი მიზეზის გამო ვერ გაბედა — გროზნოდან პირადად **ჯოხარ დუდაევმა** დაურეკა და მკაცრად გააფრთხილა — როგორც კი ზვიადს ერთი ღერი თმა ჩამოუვარდება, ჩავჯდები ბომბდამშენში და ერევანს დავბომბავო! მეორე — სოჭში მეგრელებმა აიყვანეს სომხებით სავსე ავტობუსი და სომხეთის ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენეს — **როგორც კი ზვიადს ხუნტას გადასცემთ, ავტობუსს მაშინვე ცეცხლს გავუჩენთ და მგზავრებს ცოცხლად დავწვავთო!** მაქვს ინფორმაცია, რომ ტერ-პეტროსიანზე დამატებით კიდევ ერთი ზეწოლა განხორციელდა, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი შესწავლის პროცესშია და დასკვნების გაკეთებისგან თავს შევიკავებ.

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ზვიად გამსახურდიამ 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას, თბილისი 48 მანქანის თანხლებით დატოვა. ამ 48 მანქანისაგან შემდგარი კორტეჟის შუაში იყო ზვიადის მანქანა. **ბუბა კიკაბიძე, გიორგი შენგელაია, ბიძი კვანტალიანი და გოგა ხაინდრავა** ზვიად გამსახურდიას კორტეჟს ავტომატების კაკანით დაედევნენ... ხაინდრავას, შენგელაიასა და კიკაბიძის შესახებ არას ვამბობ, მაგრამ **ბიძი კვანტალიანი** ჩვეულებრივი მოღალატე იყო, რომელიც თანამდებობაზე ზვიადმა დანიშნა და პრეზიდენტს უღალატა. ზუსტად ანალოგიურად ზვიადს უღალატა გენერალმა **თენგიზ ეპიტაშვილმაც,** რომელიც ცხინვალის კომენდანტი იყო, მაგრამ მიატოვა პოზიციები და თბილისში შეიარაღებული ბანდიტების დასახმარებლად ჩამოვიდა.

1992 წლის 7 მარტს **თენგიზ ეპიტაშვილმა,** რომელსაც „გრუ“-სგან ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისის აეროპორტში შევარდნაძეზე თავდასხმა უნდა მომხდარიყო, **ჯაბა იოსელიანთან** ერთად შევარდნაძეს ხელკავი გამოსდო და თვითმფრინავის ტრაპიდან ისე ჩამოაცილა.

**— ფაქტია, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობაში ე.წ. „ელიტურ ინტელიგენციასთან“ ერთად, სამწუხაროდ და საუბედუროდ, დამღუპველი როლი ითამაშა საქართველოს ეკლესიამაც. ამბობენ, თითქოს ზვიად გამსახურდიას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობა სურდა! იმ მასალებზე დაყრდნობით, რომელსაც თქვენ იკვლევთ, რისი თქმა შეგიძლიათ?**

— ეს უაღრესად საინტერესო საკითხია და ამ თემის გააქტიურებას ძალიან უწყობს ხელს ის ამბავი, რომ ზვიად გამსახურდია ღრმად რელიგიური, ღვთისმეტყველებაში ფრიად განსწავლული და ზედმიწევნით განათლებული პიროვნება გახლდათ. 70-იან წლებში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასათვის ცნობილი გახდა, რომ ეკლესიას თავს აფარებდნენ როგორც მექრთამეები, გამომძალველები და ბანდიტები, ისე მამათმავლებიც. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა დამართეს დავით აღმაშენებელმა და გიორგი ჭყონდიდელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მამათმავლებს... **როცა ზვიად გამსახურდია დარწმუნდა, რომ ეკლესიაში სოდომისტებიც აფარებდნენ თავს, მას, როგორც პატრიოტსა და ერის ბედზე მოფიქრალ კაცს, გაუჩნდა სურვილი და ამბიცია, საქართველოს ეკლესია ისევე გაეწმინდა მამათმავლებისა და ავაზაკებისგან, როგორც ეს დავით აღმაშენებელმა გააკეთა, მაგრამ ამისთვის საჭირო და აუცილებელი იყო ძალა, რომელიც მაშინ ზვიადს არ ჰქონდა.** ხელისუფლებაში მოსულ ზვიად გამსახურდიას მით უფრო სურდა ეკლესიის გაწმენდა, მაგრამ ახალი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩასატარებლად მას დრო აღარ ეყო!

არსებობს 1980 წლის 6 მარტით დათარიღებული წერილი, რომელიც ზვიად გამსახურდიამ ილია მეორეს გაუგზავნა. ზვიადი პატრიარქს სწერდა — *„ამჟამად მე მოგიწოდებთ თქვენ, ჩვენი ეკლესიის მამამთავარს, ებრძოლოთ ამ საგანგაშო მოვლენებს. მე მოვუწოდებ აგრეთვე ყველა ქართველს, ვინც თავისი ერისა და ეკლესიის ღირსებას პატივს სცემს, ამხილოს ეკლე-*

## კვირგვინოსნები

### გურამ აბსანძე
*ეკონომიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი*



ჩემმა ვაჟმა ბევრი იღვაწა იმისთვის, რომ „ოცნებას“ გაემარჯვა და გახარებულმა იარაღი გაისროლა ანაკლიაში, ამის გამო 6 წელი პირობითი მისცეს და ბოლომდე მოახდევინეს. **შევარდნაძე-სააკაშვილი-ივანიშვილის ხელისუფლებებმა ქართველი ხალხი გაძარცვეს.** ჩვენ გვაქვს სიები, თუ ვინ რამდენი წაართვა ქართველ ხალხს.

„ალია“

### გიორგი მეხუზლა
*ოზურგეთის მკვიდრი, „ბახმაროს გადარჩენის“ საინიციატივო ჯგუფის წევრი*



საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ვერავის დავასახელებ, მაგრამ ვიცი, რომ **ამერიკის ელჩი კელი დეგნანი უჭერს მხარს ბახმაროს განადგურებას, აქ ჰესის მშენებლობას.** შარშან, მაისში, **კელი დეგნანი** ოზურგეთში გახლდათ და შეხვდა ამერიკული კომპანიის მენეჯმენტის წარმომადგენლებს და როგორც მითხრეს, ჰესის მომხრე ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა. ამ შეხვედრაზე **კელი დეგნანმა** ამერიკულ კომპანიას მხარდაჭერა გამოუცხადა. მეტი ლობისტი რაღა გინდათ?

„ალია“

### გუგული მაღრაძე
*ყოფილი პარლამენტარი*



**ყველაზე დიდი მარცხი,** დღევანდელი გადასახედიდან, არის ჩემი მარცხი წონასთან ბრძოლაში. **ჩემი ყველაზე დიდი გამარჯვება** უკავშირდება 2012 წლის არჩევნების მოგებას. ასევე, ძალიან მიხარია, რომ **თამბაქოს კონტროლის კანონის მიღების გამო** სრულიად უცნობი ადამიანები მიხდიან მადლობას.

„თბილისელები“

### ირაკლი ალასანია
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**მამია ალასანიას დაღვრილი სისხლი** მინდა, გახდეს საფუძველი იმისა, რომ დავიწყოთ ჩვენი ქვეყნის **უსისხლოდ გამთლიანება.** პოლიტიკაში დაბრუნებას ჯერ არ ვფიქრობ.

„რეზონანსი“

*სიაში შემოხიზნული ქვაბ-ავაზაკნი და მამათმავალნი, ვიდრე საბოლოოდ არ განიწმინდება მათგან ჩვენი ეკლესია. საჭიროა, აგრეთვე მხილება იმ პირთა, ვინც ანგარებით თუ სხვა მიზნებით ხელს აფარებენ ქვაბ-ავაზაკებს და მამათმავლებს და ამით ფაქტიურად, მათი დანაშაულის თანამონაწილენი ხდებიან!“*

ზვიად გამსახურდია მოითხოვდა **ლეონიდე კათოლიკოსის** დროს არსებული საეკლესიო სასამართლოს აღდგენას, რომელიც მოგვიანებით კომუნისტებმა გააუქმეს. **ილია მეორემ** ზვიად გამსახურდიას ზემოხსენებულ წერილს ოფიციალურად 1983 წლის 28 ივნისს უპასუხა, როცა დასახმარებლად, ფაქტობრივად, „კაგებეს“ უხმო და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულ **გივი შალვას ძე მაისურაძეს** შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა — *„მოგახსენებთ, რომ მოქალაქე ზ.კ. გამსახურდია იდენს მოქმედებას, რომელიც არ შეეფერება საბჭოთა მოქალაქეს. იგი ლანძღავს უსამღვდელოესობას და ეკლესიას, რაც დაუშვებელია სსრკ კონსტიტუციით. ამასთან ერთად წარმოგიდგენთ მის მიერ წარმოდგენილი დეპეშის ასლს. გთხოვთ, მიიღოთ შესაფერისი ზომები მსგავსი ბოროტმოქმედების აღსაკვეთად. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.“*

**— თუმცა, ისიც ხომ ფაქტია, რომ ზვიად გამსახურდიასა და ილია მეორეს შორის თავიდან იდეალური ურთიერთობა არსებობდა?**

— დიახ, ეს ფაქტია! ზვიად გამსახურდიასა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ **ილია შიოლაშვილს** შორის თავიდან ბრწყინვალე ურთიერთობა იყო. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი **ქრისტეფორე წამალაიძე** იგონებს, რომ **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა** მიტროპოლიტ **ილია შიოლაშვილის** პატრიარქობას მტკიცედ უჭერდნენ მხარს! უფრო მეტიც, 1977 წელს ზვიად გამსახურდია პირადად ეახლა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ **ალექსი ინაურს** და განუცხადა — *ეკლესიაში უმძიმესი ვითარებაა, ტაძრები სავსეა მამათმავლებითა და ბანდიტებით და ერთადერთი პიროვნება, რომელიც შეძლებს ეკლესიაში წესრიგის დამყარებას და მამათმავლებისგან მის გაწმენდას, ეს არის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ირაკლი შიოლაშვილიო!* ამის შესახებ ზვიად გამსახურდიამ 1977 წელს „საქართველოს მოამბეშიც“ დაწერა... ინაურთან ეს შეხვედრა საჭირო იმიტომ გახდა, რომ **ილია მეორეს** მიტროპოლიტ **გაიოზ კერატიშვილის** სახით ჰყავდა ძლიერი კონკურენტი. **ინაური** მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი და ავტორიტეტული უშიშროების გენერალი იყო და მის პოზიციას ფასი ჰქონდა. მას თვით შევარდნაძეც კი ვერ უვლიდა გვერდს და ვერ უპირისპირდებოდა...

# „ისტორიას შავ ლაქად შემორჩება ის სამარცხვინო წერილი, რომელიც 1992 წლის იანვარში ქართველმა «ელიტარებმა» სომხეთში გაგზავნეს!“

**სწორედ ალექსი ინაურისა და ედუარდ შევარდნაძის პოზიციამ განაპირობა ილია მეორის კათოლიკოს-პატრიარქად კურთხევა. რაოდენ გასაკვირიც გინდა იყოს, ამ საკითხში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პოზიცია მაშინ შევარდნაძისა და ინაურის პოზიციას დაემთხვა,**

მაგრამ ცოტა ხანში ზვიადსა და ილია მეორეს შორის მოხდა დაპირისპირება...

**— რა იყო ამის მიზეზი?**

— ამის მიზეზი იყო ეკლესიაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც დღითიდღე უარესდებოდა. და ყველაზე მთავარი — გავრცელებული ხმების უკან, რომ ზვიადს სურდა, გამხდარიყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, სწორედ **ედუარდ შევარდნაძე** და „კაგებეს“ მაშინდელი შეფი **ალექსი ინაური** იდგნენ...

**— ამ ხმების გავრცელება სინამდვილეში რას ემსახურებოდა?**

— ამით შევარდნაძემ ორი კურდღელი დაიჭირა — ზვიადსა და პატრიარქს შორის არსებული ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაართულა და გამსახურდიას მიანიშნა, რომ ხელისუფლება არ იქნებოდა წინააღმდეგი, თუ ეკლესიაში დაიდებდა ბინას და პოლიტიკურ საქმიანობას შეწყვეტდა! აი, სულ ეს იყო... ასე რომ, ზვიად გამსახურდიას, როგორც დიდ ერისკაცსა და სახელმწიფო მოღვაწეს, საქართველოს ეკლესიის გაწმენდა და ახალი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მომზადება-ჩატარება ნამდვილად სურდა, მაგრამ მას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობაზე არ უფიქრია და ეს ჭორები **შევარდნაძისა და ალექსი ინაურის** გავრცელებულია!

1977 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ცნობილი წერილი — „არა ცილი სწამო!“, რომელშიც უარყოფილი იყო ზვიად გამსახურდიასა და მისი ჯგუფის პრეტენზიები საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი მღვდელმთავრის მიმართ. კერძოდ, წერილი უარყოფდა ზვიადის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ ეკლესიაში გამეფებული იყო ანარქია და ადგილი ჰქონდა საეკლესიო ქონების ძარცვას. ამ წერილს ძალიან სერიოზული გაგრძელება მოჰყვა და ბრიტანელმა პროფესორმა, ქართველოლოგმა **დევიდ ლენგმა,** ასევე გიბრალტარის ეპისკოპოსმა და სხვა პირებმა დაიცვეს საქართველოს ეკლესია და გაზეთ „ტაიმსში“ გამოაქვეყნეს წერილი, სადაც ზვიად გამსახურდია გააკრიტიკეს და თავიანთი ჭკუით საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი დაიცვეს! თუმცა, „ტაიმსის“ ჟურნალისტები **კლიფორდ ლონგლი და პიტერ რედუეი** წერდნენ, რომ საქართველოში იყვნენ ძალები, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს ეკლესიის განახლებას და მათ მხარდასაჭერად საზოგადოების აქტიურობა იყო საჭირო.

**— ანუ მათ მხარი ზვიად გამსახურდიასა და მის ჯგუფს დაუჭირეს?**

— დიახ, **კლიფორდ ლონგლმა და პიტერ რედუეიმა** ზვიად გამსახურდიას ბრალდებები საქართველოს საპატრიარქოსადმი სამართლიანად მიიჩნიეს და მას მხარი დაუჭირეს! მოვლენების შემდგომმა განვითარებამ მართლაც დაადასტურა, რომ ქართულ ეკლესიაში სერიოზული პრობლემები იყო და როგორც „ელიტური ინტელიგენცია“, ისე სამღვდელოება, არა სამშობლოსა და ღმერთის, არამედ შევარდნაძის სამსახურში იდგნენ!

**— 1991 წელს, როცა ზვიად გამსახურდია უკვე პრეზიდენტი იყო, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა შევარდნაძის ძველი მეგობრისა და დიდი გულშემატკივრის, პუბლიცისტ ლადო ალფენიძის წერილი, სადაც ის წერდა, რომ ბრიტანელმა პროფესორმა დევიდ ლენგმა მოგვიანებით მოახდინა თავისი შეხედულებების აბსოლუტური რევიზია და საქართველოს ეკლესიისადმი ზვიად გამსახურდიას მიერ წარდგენილი ბრალდებების შესახებ აღიარა, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოს საპატრიარქოსთან მართალი იყო!**

— **ლადო ალფენიძემ** პრივატულ საუბარში მითხრა, რომ **დევიდ ლენგმა** ამის შესახებ პირადად მოახსენა. აქვე გეტყვით, რომ ქართველოლოგი **ლენგი,** ცნობილი სომეხი მილიარდერის **გიულბეკიანის** დოლარების წყალობით, მალე „არმენოლოგი“ გახდა და მეზობლებისადმი სომხების პრეტენზიების „დასაბუთებასა“ და პოპულარიზაციას მიჰყო ხელი!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



*ალექსი ინაური, ჯუმბერ პატიაშვილი და ედუარდ შევარდნაძე*

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა **რუსეთს არ მისცეს საბაბი საქართველოში სამხედრო მოქმედებების წამოსაწყებად.** ამგვარი გეგმები რუსეთს ჰქონდა როგორც საქართველოზე, ასევე მოლდოვასა და ყაზახეთზეც.

„კვირის პალიტრა“

**დავით ნებიერიძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი*



ცუდ სიზმარში არ დამესიზმრებოდა, რომ **არამცთუ ხაზე, თუნდაც პეტრე ასე უტიფრად გადააგდებდა ამომრჩეველსაც და მიშასაც. ასეთი გადაგდება ივანიშვილისგანაც არ მახსოვს.** საარჩევნო დაპირებებს შესრულება უნდა. თუ არა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება და წასვლა. **ხელში შეგვრჩა ჩამოშლილი ნაცმოძრაობა და გაწირული მიხეილ სააკაშვილი.**

„რეზონანსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი, ფსიქოლოგი*



ნეტავ, მართლა **ორპარტიული** იყოს მომავალი პარლამენტი. მე უფრო ცუდი მოლოდინი მაქვს — მომავალი პარლამენტი **ერთპარტიული** იქნება.

„კვირის პალიტრა“

**ეკა ბესელია**
*ყოფილი პარლამენტარი*



თუ ოპოზიცია პარლამენტში შევიდა, **უნდა იბრძოლოს,** თუკი ვერ იბრძვის, მაშინ **პარლამენტში არ არის მისი ადგილი.**

„კვირის პალიტრა“

**დავით კუხალაშვილი**
*ექსპერტი*



**ქოლცენტრებს,** დიდი ალბათობით, უცხო ქვეყნების **სადაზვერვო სამსახურები მფარველობენ.**

„კვირის პალიტრა“

# ყველაფერი კიბოს ადრეული

*კიბო ცივილიზაციის საბედისწერო სენია, რომელსაც, უამრავი მცდელობის მიუხედავად, კაცობრიობა ვერ ამარცხებს. ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი სიმსივნური დაავადებების გამომწვევი მიზეზების, ადრეული რეციდივების, მათი პრევენციის, ხალხური მეთოდებით მკურნალობისა და იმ ნიშან-თვისებების შესახებ გვესაუბრება, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობია:*



## კახა საბახტარიშვილი:

## ამ საშინელი სენით მოულოდნელად დაიღუპა სამი ცნობილი პიროვნება – სანდრო გირგვლიანის დედა, ქალბატონი ირინა ენუქიძე, უშიშროების გენერალი ავთანდილ იოსელიანი და მილიონერი ნოდარ საქუაშვილი!



ირინა ენუქიძე



ავთანდილ იოსელიანი



ნოდარ საქუაშვილი

— სიმსივნური დაავადებები კაცობრიობის უძველეს და დღემდე გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. კიბო მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანს კლავს. ცნობილი მეცნიერები, სამეცნიერო ცენტრები და კლინიკები კიბოს მართვისა და პროფილაქტიკის შესახებ ათასნაირ ინფორმაციას ავრცელებენ, სხვადასხვა სახის უძვირეს მედიკამენტებს ქმნიან, თუმცა, ჯერჯერობით კიბო მაინც დაუმარცხებელია. ამ დაავადების საშინელება ქართულმა სიტყვამ უხსოვარი დროიდან შემოგვინახა. კიბოს ძველ საქართველოში **„არამი“** ერქვა. შესაბამისად, ცნობილი ქართული წყევლა — **„არმად შეგერგოს!“** — ალბათ, ამ დაავადების ვერაგობაზე ყველაზე უკეთ მეტყველებს...

ნათქვამია, გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს და ამ მხრივ გამონაკლისი არც კიბოა. საქმე ის გახლავთ, რომ, თუ სიმსივნის დიაგნოსტირება და აღმოჩენა საწყის სტადიაში მოხდა, მაშინ ის მკურნალობას ექვემდებარება და ადამიანს გადარჩენის დიდი შანსი აქვს. გავიხსენოთ თუნდაც ამერიკის ლეგენდარული პრეზიდენტი **რონალდ რეიგანი,** რომელიც 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. **რეიგანი ჯერ კიდევ 72 წლის იყო, როცა სწორი ნაწლავის სიმსივნე დაუდგინეს. დროულმა ოპერაციულმა ჩარევამ იგი სრულიად გამოაჯანმრთელა და ამ ოპერაციის შემდეგ კიდევ ოცი წელი იცოცხლა.** რეიგანი, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წლებში ალცჰაიმერის დაავადება ტანჯავდა, რეალურად სიბერით, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. დღესაც ცოცხალია და თავს მხნედ გრძნობს ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი **ბილ კლინტონი,** რომელსაც დაახლოებით ოცდახუთი წლის წინათ ცხვირის ღრუში სიმსივნური ქსოვილი ამოაჭრეს.

**— ამერიკის პრეზიდენტებსა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა აქვთ იმის ფუფუნება, ძვირადღირებული გამოკვლევები ჩაიტარონ და ჯანმრთელობისთვის საშიში ნებისმიერი საფრთხე დროულად აღმოაჩინონ და გაანეიტრალონ! ვისაც მსგავსი კვლევების ჩატარების საშუალება არა აქვს, ის როგორ უნდა მიხვდეს, რომ მის სიცოცხლეს კიბო ემუქრება?**

— არსებობს რამდენიმე სიმპტომი, რომელთა გამოვლენის შემთხვევაშიც ადამიანმა აუცილებლად უნდა მიმართოს ონკოლოგს, რათა, პირველ რიგში, სწორედ კიბო გამოირიცხოს!

**1.** თუ ერთი თვის ან უფრო ნაკლები ხნის განმავლობაში ადამიანმა უმიზეზოდ, დიეტის, ან ვარჯიშის გარეშე წონაში 5 კილოზე მეტი დაიკლო;

**2.** თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანს უფიქსირდება მაღალი ტემპერატურა და ამცივნებს;

**3.** თუ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ადამიანს უვითარდება სისუსტე და დაღლა;

**4.** თუ ადამიანს უცებ ეწყება ტკივილი ძვლებში;

**5.** თუ იცვლება კანის ფერი — მუქდება, ყვითლდება, წითლდება და ა.შ. უმიზეზოდ ეწყება ქავილი, რომელიც დიდხანს გრძელდება;

**6.** თუ სხეულზე ჩნდება წყლულები და ჭრილობები, რომლებიც ვერ ხორცდება;

**7.** თუ ადამიანს ტანჯავს მუდმივი შეკრულობა ანდა კუჭის აშლილობა, ხოლო დეფეკაცია მტკივნეულია;

**8.** თუ ადამიანს აწუხებს მუდმივი თავის ტკივილი;

**9.** თუ ადამიანს აქვს სხვადასხვა სახის მუდმივი გამონადენი საშოდან, საყლაპავიდან, სწორი ნაწლავიდან და ა.შ.;

**10.** თუ ფეკალურ მასაში ან შარდში სისხლია;

**11.** თუ ადამიანს ეწყება გაუთავებელი ხველა, ნახველში სისხლის კოლტია და ხმა ეკარგება;

**12.** თუ ხალები იცვლიან ფორმას, ზომას ან ფერს;

**13.** თუ ადამიანი უშედეგოდ მკურნალობს წყლულებს, პნევმონიას, შარდის ბუშტის ანთებას, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ აღწევს.

ყველა ეს ნიშანი შესაძლოა, კიბოს ადრეული სტადიის გამოვლინება იყოს!

**— მკერდის სიმსივნე არნახულად გავრცელდა... შესაძლებელია თუ არა მისი ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა?**

— ყველამ იცის, რომ, თუ ქალს ძუძუდან გამონადენი აქვს, იღლიაში ლიმფური კვანძები გაუდიდდა და მკერდში მკვრივი წარმონაქმნები აღენიშნება, მაშინ აუცილებლად უნდა მიმართოს მამოლოგს, რათა მკერდის კიბო გამოირიცხოს! **მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ქრონიკული, ყრუ ტკივილი ზურგის არეში, ბეჭებს შორის, რომელიც არ უკავშირდება სუნთქვას, პოზას, გრძელდება თვეების განმავლობაში და ძლიერდება ღამით, შესაძლოა, მკერდის კიბოს გამოვლინება იყოს!**

საქმე ის გახლავთ, რომ, როდესაც მკერდში სიმსივნური პროცესი იწყება, კიბოთი დასნებოვნებული უბანი იწვევს ლიმფის შეგუბებას, რომელიც, თავის მხრივ, აღიზიანებს ნეკნთა შუა ნერვებს, საიდანაც ეს ტკივილი ბეჭებს შორის გადაეცემა. **ქალს ჰგონია, რომ ოსტეოქონდროზი აწუხებს, იტარებს ათასგვარ მასაჟს, მიმართავს სითბურ პროცედურებს, მაგრამ ამაოდ...** იკარგება ძვირფასი დრო და მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, რადგან მასაჟები და სითბური პროცედურები კიბოს უჯრედების გავრცელება-გამრავლებას უწყობს ხელს.

ზოგიერთ ქალს ძუძუ უწითლდება და ეწყება ქავილი. მას ჰგონია, რომ ეს არის ალერგია, კანის დერმატიტი ანდა სულაც ე.წ. მკერდის ჩახურება. ქალები ასეთ დროს, როგორც წესი, იყენებენ ათასგვარ მალამოს, იღებენ ალერგიის საწინააღმდეგო სხვადასხვა პრეპარატს, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, რადგან, დიდი ალბათობით, შესაძლოა, საქმე გვქონდეს მკერდის სიმსივნის ნაადრევ გამოვლინებასთან. მეცნიერულად ამ პროცესის ახსნა ასეთია — **სიმსივნური უჯრედი გამოყოფს ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელიც ორგანიზმისთვის უცხოა, ანუ ალერგენს წარმოადგენს.** ეს ნივთიერება იწვევს უჯრედების დაზიანებას და ძუძუს ანთებას, რომელსაც მკერდის ანთებითი კიბო, ანუ **ფსევდოანთება** ეწოდება. ქალებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მკერდის ასიმეტრიას, ანუ მოვლენას, როცა ერთი ძუძუ მეორესთან შედარებით შესამჩნევად დიდია. შესაძლოა, ესეც სიმსივნის ნიშანი იყოს, რადგან მკერდი დიდდება სიმსივნური მასისა და ლიმფური სისტემის შეგუბების გამო. ქალებმა განსა-











უგო ჩავესი, ჩან დაი კუანგუ, კრისტინა კირშნერი, ლულუ სილვა, ევო მორალესი

## პრეზიდენტები, რომლებსაც კიბო

# ნიშნების შესახებ



კუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წელის მუდმივ ტკივილს, რომელიც შესაძლოა, საკვერცხის ან საშვილოსნოს კიბოს პირველი ნიშანი იყოს!

**— საქართველოში მწეველთა რიცხვი როგორც კაცებში, ისე ქალებში, კატასტროფულად მატულობს. შესაბამისად, იზრდება ფილტვის კიბოთი დაავადებულთა რაოდენობაც. რა სიმპტომებით უნდა მივიტანოთ ეჭვი ფილტვის კიბოს ადრეულ სტადიაზე?**

— ფილტვის კიბო განსაკუთრებით ვერაგია და რადგან ორგანოს ქსოვილს ნერვული ქსელი არ გააჩნია, სანამ სიმსივნე მთელ ორგანოს არ მოედება და პლევრამდე არ მიაღწევს, ადამიანმა შესაძლოა, ვერაფერი იგრძნოს. მიუხედავად ამისა, **არსებობს ერთი ნიშანი, რომელიც ფილტვის ზედა წილის მწვერვალის, ანუ პანკოსტას სიმსივნის დროს უტყუარია.** კერძოდ, თუ ადამიანს უეცრად მარჯვენა ხელის სისუსტე, შემდეგ დაბუჟება და ბოლოს მთელი ხელის ტკივილი დაეწყო, ეს შესაძლოა, ფილტვის სიმსივნის პირველი ნიშანი იყოს. საქმე ისაა, რომ, თუ ფილტვის ზედა ნაწილში სიმსივნე ვითარდება, ის ირგვლივ მდებარე ლიმფურ კვანძებშიც ვრცელდება. გადიდებული ლიმფური კვანძები, თავის მხრივ, აწვება მხრის წნულს, რაც იწვევს ტკივილს. **საერთოდ, გვახსოვდეს, რომ სიმსივნურ პროცესს თან ახლავს მასთან ახლოს მდებარე ლიმფური კვანძების გადიდება.** ლიმფურ კვანძებში არის იმუნური უჯრედები — ლიმფოციტები, რომლებიც სიმსივნურ უჯრედებს უტევენ და ეომებიან. სწორედ ეს „ომია" ლიმფური კვანძების გადიდების მიზეზი. მწეველებმა ლავიწის ძვლის ზედაპირი პერიოდულად თითით უნდა მოსინჯონ. **ლავიწის ძვლის ზემოთ, ჩაღრმავებაში არანაირი ლიმფური კვანძი არ უნდა ისინჯებოდეს. თუ ასეთი ლიმფური ჯირკვალი გამოჩნდა, რომელსაც „ვირხოვის კვანძი" ეწოდება, დაუყოვნებლივ ონკოლოგს უნდა მივმართოთ!**

ფილტვის კიბოს ნაადრევი სტადია შესაძლოა, ფრჩხილისა და თითის ფორმითაც გამოვიცნოთ! კერძოდ, ფილტვის სიმსივნის დროს ფრჩხილები საათის მინის ფორმას ღებულობენ, ხოლო თითები — დოლზე დასარტყამ ჯოხებს გვანან. ფილტვის კიბოს ამოცნობა ერთი შეხედვითაც შესაძლებელია. ეს არის ე.წ. **„ბორნერის სინდრომი"**, რაც ზედა ქუთუთოს დაშვებით (ფტოზით), გუგის შევიწროებით (მიოზით) და თვალების „ჩაცვენით", ანუ ენოფტალმით გამოიხატება.

**— რა გამოარჩევს პანკრეასის თავის სიმსივნეს?**

— პანკრეასის თავის სიმსივნეს გამოარჩევს ის, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე უფრო დრამატულ ეტაპზე, როცა საქართველოს ნაცმოძრაობა მართავდა, ამ საშინელი სენით მოულოდნელად დაიღუპა სამი ცნობილი პიროვნება — **სანდრო გირგვლიანის დედა, ქალბატონი ირინა ენუქიძე, უშიშროების გენერალი ავთანდილ იოსელიანი, რომელმაც უამრავი საიდუმლო და სკანდალური ინფორმაცია საფლავში ჩაიტანა და ნორიოელი მილიონერი ნოდარ საქუაშვილი, რომელიც მაშინდელი პოლიტიკური ელიტის სასურველი მასპინძელი იყო.**

**— ეს რას ნიშნავს, პანკრეასის თავის სიმსივნე ადამიანს შესაძლოა, ხელოვნურად და თან ადვილად შეეყაროს?**

— დიახ! პანკრეასის თავის სიმსივნე შესაძლოა, ძლიერი ინტოქსიკაციის, ანუ მოწამვლის შედეგად მეყსეულად განვითარდეს! ეს არის კიბო, რომელიც არავითარ მკურნალობას არ ექვემდებარება და ვისაც პანკრეასის თავის სიმსივნე შეეყრება, მისი დღეები დათვლილია! **არამარტო პანკრეასის კიბო, არამედ პანკრეასის მწვავე ანთებაც კი, ანუ მწვავე პანკრეატიტიც კი შესაძლოა, სიკვდილით დამთავრდეს.**

უბედურება ის გახლავთ, რომ პანკრეასის თავის კიბოს ახასიათებს ისეთი გაუსაძლისი ტკივილები, რომელსაც ზოგჯერ მორფინის სამმაგი დოზაც ვერ აყუჩებს და ავადმყოფები საშინელი ტანჯვით იღუპებიან. **მიუხედავად ყველაფრისა, პანკრეასის თავის კიბოს გამოცნობა ნაადრევ სტადიაში მაინც შესაძლებელია, რაც დროული ოპერაციული ჩარევის შემთხვევაში ავადმყოფის გადარჩენის შანსს ზრდის!** გვახსოვდეს,

## თუ ადამიანი ზურგის არეში, იქ, სადაც გულმკერდის მალების ქვედა ნაწილი წელს უერთდება, ტკივილს

## იგრძნობს, პირველ რიგში, რადიკულიტი და ოსტეოქონდროზი კი არა, პანკრეასის სიმსივნე უნდა გამორიცხოს!

ამისათვის აუცილებელია მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ჩატარება, რომელიც უზუსტეს პასუხს მოგვცემს. რაც შეეხება ერთი ადამიანის კიბოთი ხელოვნურად და მიზანმიმართულად დასნებოვნებას, ფაქტია, რომ მსოფლიოს ზესახელმწიფოთა პრეზიდენტები და პოლიტიკური ლიდერები კიბოთი, ფაქტობრივად, არ იღუპებიან მაშინ, როცა ამ ვერაგ სენს ერთმანეთის მიყოლებით ეწირებიან ის მმართველები, რომელთა პოლიტიკური კურსი თანამედროვე მსოფლიოს დღის წესრიგში ვერ ჯდება. ასე, მაგალითად, ვენესუელის პრეზიდენტი **უგო ჩავესი,** რომელიც ამერიკის პოლიტიკას აპროტესტებდა და ეწინააღმდეგებოდა, 2013 წელს 53 წლის ასაკში სრულიად საღსალამათი და ჯანმრთელი მოულოდნელად სწორედ კიბოთი გარდაიცვალა. 2016 წელს ვიეტნამის პრეზიდენტი **ჩან დაი კუანგუ** პრეზიდენტი გახდა და 2017 წელს კიბოთი მოკვდა. პრეზიდენტად არჩევიდან ცოტა ხანში კიბო შეეყარათ: არგენტინის პრეზიდენტ **კრისტინა კირშნერს,** ბრაზილიის პრეზიდენტ **ლულუ სილვას,** ბოლივიის პრეზიდენტ **ევო მორალესს,** კოლუმბიის პრეზიდენტ **ხუან კალდერონს** და ა.შ. ესენი ის ლიდერები არიან, რომლებიც ამერიკის პოლიტიკურ ელიტას ვერ ეწყობიან...

ფილტვის სიმსივნით კრემლის საავადმყოფოში გარდაიცვალა პროქართული ორიენტაციის აფხაზი პოლიტიკოსი **სერგეი ბაღაფში.** ეს ჩამონათვალი ბევრ რამეზე მეტყველებს და, ვფიქრობ, თქვენს შეკითხვასაც პასუხობს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



## „რეიგანი ჯერ კიდევ 72 წლის იყო, როცა სწორი ნაწლავის სიმსივნე დაუდგინეს!"

**„დღესაც ცოცხალია და თავს მხნედ გრძნობს ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, რომელსაც დაახლოებით ოცდახუთი წლის წინათ ცხვირის ღრუში სიმსივნური ქსოვილი ამოაჭრეს!"**







ხუან კალდერონი, სერგეი ბაღაფში

# დაამართეს!



# «ტონზილინმა» ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!

***ჩირქოვანი ნუშურა ჯირკვლები, რომელსაც „გლანდებსაც" უწოდებენ, ბავშვის მშობლებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. არასათანადო მკურნალობას გართულებები შეიძლება მოჰყვეს:***

**ყურის ანთება: ოტიტი; რევმატიზმი; სახსრების შეძენილი ანთება: პოლიართრიტი; გულის შეძენილი მანკი; თირკმლის ანთება: ნეფრიტი.**

მკურნალობის მეთოდად განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძირითადად, **ანტიბიოტიკები** გამოიყენება, თუმცა, მათ **გვერდითი მოვლენებიც** გააჩნია: თრგუნავენ ქრონიკული ტონზილიტის დროს ბავშვის ისედაც დასუსტებულ იმუნიტეტს და პროცესი ქრონიკულ ფორმაში გადაჰყავთ. საკმარისია გაცივება, რაიმე ვირუსი ან ბაქტერია ბავშვს შეხვდეს, ანთებითი პროცესი კვლავ იფეთქებს. თითქმის ყველა მშობელმა იცის, რომ ქრონიკული ტონზილიტი დიდხანს თუ გაგრძელდა, ის რევმატიზმით შესაძლოა გართულდეს, საბოლოოდ ასეთ „გლანდებს" ოპერაციულად აშორებენ და ჩვენთან ეს წესი დღესაც მიღებულია.

**ოპერაცია საკითხის არასწორი გადაწყვეტაა!** უნდა ვიცოდეთ: ბავშვი, როდესაც დაიბადება, მისი იმუნური სისტემა, ძირითადად, სწორედ ე.წ. „გლანდებია". ის არის ის პირველი ბარიერი, ფილტრი, რომელიც ხელს უშლის ბავშვის ორგანიზმში ვირუსების, ბაქტერიებისა და მავნე ნივთიერებების მოხვედრას. **სრულყოფილი იმუნური დაცვა ბავშვს 8-10 წლის ასაკში უყალიბდება.** „გლანდებს" თანდათანობით ანაცვლებს იმუნური სისტემების სხვა ორგანოები: **ძვლის ტვინი, ელენთა, ღვიძლი და ა.შ.** მთავარი ამოცანაა, ბავშვის „გლანდები" 8-10 წლის ასაკის **მიღწევამდე ოპერაციულად ამოკვეთას გადავარჩინოთ.**




არის ერთი პრობლემაც: როდესაც ბავშვს იმუნიტეტის მთავარ ორგანოს — გლანდს — მოაცილებენ, ორგანიზმი დაუცველი ხდება. ასეთ ბავშვებს ოპერაციიდან გარკვეული დროის შემდეგ ხშირად უვითარდებათ: **ასთმა, სხვადასხვა სახის ალერგიები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები** და ა.შ. გარდა ამისა, „გლანდები" ასრულებს ერთგვარი ენდოკრინული ორგანოს როლსაც. მათ, ვისაც განუვითარდათ: **მასტოპათია, ფიბროადენომა, ფარისებრი ჯირკვლისა და საკვერცხეების კისტა, საშვილოსნოს მიომა, პროსტატის ადენომა,** ამ ყველაფერს ბიძგი მისცა ბავშვობის ასაკში „გლანდების" ამოჭრამ.

ჰომეოპათიურ მედიცინას, უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლია დაჩირქებული „გლანდები" **ამოკვეთას გადაარჩინოს!**

**„გულის ელექსირის", „იმუნო-ჰერბის", „მამოსილის"** შემქმნელის, ეკოლოგიის აკადემიის აკადემიკოსის, ექიმ-ჰომეოპათ **კახა საბახტარიშვილის** ხელმძღვანელობით, ექიმ **სოფიო მარგალიტაშვილთან** ერთად, შეიქმნა უნიკალური და ინოვაციური ბუნებრივი პრეპარატი: **„ტონზილინი"**, რომელმაც **ასეულობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!**

**„ტონზილინის"** გამოყენებით, **ანგინის, ჩირქოვანი ტონზილიტის** მკურნალობისას შედეგები ჩანს მკურნალობის დაწყებისთანავე. **ძლიერდება იმუნური სისტემა, ალაგდება ჩირქოვანი საცობები, „გლანდები" ჩვეულ ფორმას უბრუნდება. „ტონზილინი"** აუცილებლად უნდა მიიღონ იმ ბავშვებმაც, რომელთაც **„გლანდები" უკვე ამოჭრილი აქვთ,** რადგანაც ოპერაციის შემდეგ არცთუ ისე იშვიათია რევმატიზმის შედეგები. ამ პრეპარატზე 20 წელზე მეტია, მიმდინარეობდა დაკვირვება. მისმა ეფექტურობამ 80-90%-ს მიაღწია, ხოლო ასეულობით ბავშვი „გლანდების" ოპერაციულად ამოკვეთას გადაურჩა!

**P.S.**

***„ტონზილინი"*** *ყველა სააფთიაქო ქსელში გაიყიდება. „გულის ელექსირი", „იმუნო-ჰერბი" და „მამოსილი" კი გაუმჯობესებული და ხანგრძლივმოქმედი „გულის ელექსირი ფორტეს", „იმუნო-ჰერბი ფორტეს", „მამოსილი ფორტეს" სახელწოდებებით გამოჩნდება სააფთიაქო ქსელებში.*

**ტელ: 593-31-70-34 «კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი», ბახტრიონის ქ. №10ა**

რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!




დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22



***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა.***

## გია ხუხაშვილი: ჯობდა, სააკაშვილს პატარკაციშვილი 2 ნოემბერს აეროპორტშივე დაეჭირა!



მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილმა გადაწყვიტა, „ტვ იმედის“ დათმობის სანაცვლოდ უარი ეთქვა სააკაშვილის ხელისუფლებასთან ერთად რკინიგზის პრივატიზაციის დიდ ბიზნეს-პროექტზე, როგორც გია ხუხაშვილი იხსენებს, ეს ყველაფერი სწორედ „იმედის“ ტელევიზიაში მისვლით და იქიდან ხმამაღალი განცხადებებით აღინიშნა:

*„დადგა 10 ოქტომბერი...*

***ბადრი ხვდება ტელეკომპანია „იმედის“ კოლექტივს და ამბობს, შეიძლება ითქვას, ისტორიულ ფრაზას:*** *„მე არასოდეს ვიტყვი უარს ორ რამეზე — ღირსებასა და სიტყვის თავისუფლებაზე!“ და* ***იქვე აყოლებს, რომ*** *„იმედი არ იყიდება“.* ***ცხადია, ის არ გულისხმობდა მხოლოდ ტელეკომპანიას, გულისხმობდა უკეთესი მომავლის იმედს. შესაბამისად, მისი სიტყვა უკვე ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს და მიმართული იყო მთლიანად საზოგადოებისკენ“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 63).*

მემუარისტი სულ რამდენიმე წინადადებით ხატავს სააკაშვილის ნაცრეჟიმსა და პატარკაციშვილს შორის პოლიტიკური აფეთქების მთელ სიღრმეს:

***„წარმოიდგინეთ ვითარება — კონტრაქტის პროექტი შედგენილია, რკინიგზა პრივატიზებულია და მომენტში, როდესაც თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილია, ბადრი აყირავებს მოლაპარაკების მაგიდას.***

***ბუნებრივია, ხელისუფლების პირველი რეაქცია იყო შოკი, მეორე — გაბრაზება, მესამე — ომის გამოცხადება“*** *(იქვე, გვ. 63).*

შეგახსენებთ, ეს 2007 წლის ოქტომბერია, ანუ ნოემბრის დიდ საპროტესტო აქციებამდე რამდენიმე კვირა რჩება.

სააკაშვილის ხელისუფლება ლამის აბსოლუტური მონარქიის ტოლფასია და ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა ნაცფიურერს, როდესაც ტელევიზიით გაიგებდა, როგორ გააწნა სილა **ბადრი პატარკაციშვილმა** — ტვ „იმედს“ ვერ ეღირსები, იმედი არ იყიდებაო!

**ხუხაშვილი** დეტალურად ხსნის, როგორ აღმოჩნდა **პატარკაციშვილი** სააკაშვილის რეჟიმის სამიზნეში:

***„ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ, რადგან ბადრიმ ასეთი უხეში ფორმით თქვა უარი მისთვის, როგორც ბიზნესმენისთვის, უაღრესად სარფიან გარიგებაზე, ე.ი. მას ბევრად უფრო შორს მიმავალი გეგმები და ამბიციები ჰქონდა. შესაბამისად, ბადრი მტრად ცხადდება და იწყება მასზე ტოტალური შეტევა. გუშინდელი პოტენციური პარტნიორი ერთ დღეში იქცევა „რუს ოლიგარქად“, რომელსაც თავისი ქონება ბინძური მეთოდებით, „დიდ სისხლზე გავლით“ აქვს დაგროვებული და რომელიც მოსკოვის დავალებით ბრძოლას უცხადებს პროდასავლურ ხელისუფლებას“*** *(იქვე, გვ. 63).*

როგორც ხედავთ, ნაცბანდის რიტორიკა განვლილი 15 წლის შემდეგაც არ შეცვლილა: პირდაპირ პარალელს ბადრი პატარკაციშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის ვერ გაატარებ, მაგრამ ფაქტია, რომ **პატარკაციშვილს** სიტყვასიტყვით, ზუსტად იმ იარლიყებს ჰკიდებდნენ, რასაც 15 წლის შემდეგ — **ბიძინა ივანიშვილს!**

ხუხაშვილი იხსენებს, როგორ შეხვდა იმ „ისტორიული“ 10 ოქტომბრის საღამოს **პატარკაციშვილს,** რომელიც, მიუხედავად სააკაშვილის პათოლოგიურ რეჟიმთან ფაქტობრივად ომის გამოცხადებისა, ძალიან კმაყოფილი ყოფილა თავისი განცხადებით — „იმედი“ არ იყიდებაო!

პატარკაციშვილს ხუხაშვილისთვის უკითხავს — გაინტერესებს, როგორ მივედი ამ გადაწყვეტილებამდე? და შემდეგი ისტორია მოუყოლია:

***„ერთ საღამოს ოჯახურ ვახშამზე ვუყვებოდა მეუღლეს და შვილებს თავისი წარმატების შესახებ. „ტრაბახობდა“*** *(ეს მისი სიტყვებია)* ***იმით, რომ, სულ რაღაც, 30-მილიონიანი ინვესტიციით, ტვ „იმედის“ სახით შექმნა აქტივი, რომელშიც ახლა ხელისუფლება მზად იყო, მილიარდნახევრიანი რკინიგზა გაეცვალა.***

***ამ დროს მის ქალიშვილს ლიკას უკითხავს:*** *„მამა, ძალიან გჭირდება ახლა ეს მილიარდნახევარი?!“*

***და ეს წვეთი გახდა ბოლო წვეთი სწორი, მოქალაქეობრივი გადაწყვეტილების მისაღებად...“*** *(იქვე, გვ. 64).*

ხუხაშვილმა **პატარკაციშვილს** ურჩია, უსაფრთხოების მიზნით ქვეყანა დაეტოვებინა და დისტანციიდან ემართა პროცესები:

***„ვუთხარი, რომ ახლა, ცხელ გულზე, ხელისუფლებამ ბევრი სისულელე შეიძლება ჩაიდინოს. ამიტომ გაცლა სჯობია, რომ პირადი უსაფრთხოება არ დადგეს რისკის ქვეშ.***

***მკითხა — მოსალოდნელია თუ არა ტვ „იმედის“ დახურვა, რაზეც ვუპასუხე, რომ გამორიცხული არაფერი არ არის და მისი გასვლა ქვეყნიდან კიდევ იმისთვის არის საჭირო, რომ, ხელისუფლების მხრიდან აგრესიული მოქმედების შემთხვევაში, მან შეინარჩუნოს შესაბამისი რეზონანსის ორგანიზების რესურსი დასავლეთში“*** *(იქვე, გვ. 65).*

პატარკაციშვილი დაეთანხმა ხუხაშვილს და ლონდონში წავიდა. ამასობაში კი ნაცხელისუფლებამ მთელი საინფორმაციო ომი წამოიწყო **პატარკაციშვილის,** როგორც ქვეყნის მტრისა და მოღალატის წინააღმდეგ, ანუ სააკაშვილის მთავრობა საინფორმაციო ველს ამზადებდა — თუ პატარკაციშვილი გაბედავდა საქართველოში დაბრუნებას, მაშინვე დაეპატიმრებინათ!

ამასობაში რუსთაველის გამზირზე დაიწყო ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლები, ხოლო მემუარისტის თქმით, 1 ნოემბერს ღამით მან ლონდონში მყოფი **პატარკაციშვილისგან** მოულოდნელი მესიჯი მიიღო:

***„პირველ ნოემბერს, ღამით, ბადრი მიგზავნის მოკლე შეტყობინებას, რომ დილით თბილისში მოემგზავრება.***

***ცოტა არ იყოს, შევშფოთდი, რადგან გამიჩნდა მისი შესაძლო დაპატიმრების მოლოდინი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მესმოდა, რომ ბადრის ჩამოსვლა შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო. მას უნდა მოეხდინა თავისი უდანაშაულობის და სამოქალაქო სიმამაცის დემონსტრირება. ამას ელოდებოდა ყველა...“*** *(იქვე, გვ. 72).*

მაგრამ სააკაშვილმა ვერ გაბედა პატარკაციშვილის დაპატიმრება: შესაძლოა, ნაცებს ეგონათ, რომ პატარკაციშვილის დაპატიმრებით საპროტესტო აქციებზე უფრო მეტი ხალხი გამოვიდოდა და ეს დაშვება არცთუ უსაფუძვლო იყო!

ხუხაშვილი იხსენებს, როგორ მივიდა 2 ნოემბრის დილით პატარკაციშვილის რეზიდენციაში:

***„უჩვეულო გარემოში აღმოვჩნდი — ტერიტორია, პრაქტიკულად, დაცლილი იყო. მუდმივად „მოჩუხჩუხე“ სასახლეში ცოცხალი ადამიანის ჭაჭანება არ იყო. გარე დაცვის სამსახურიც სერიოზულად შეთხელებული მომეჩვენა... ადგილზე მხოლოდ მისი უერთგულესი პირადი მდივანი და პრესმდივანი დამხვდნენ.***

***არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ბადრი რეზიდენციამდე მოაღწევდა. ხელისუფლებას პროპაგანდისტულად მზად ჰქონდა ყველაფერი მის აეროპორტში დასაპატიმრებლად. მეტიც, თუ მიშა ამას არ გააკეთებდა, ეს შესაძლოა, ჩათვლილიყო ხელისუფლების სისუსტედ, რისი გამოვლენისაც ნებისმიერ ავტორიტარს განსაკუთრებით ეშინია.***

***სავარაუდოდ, სააკაშვილმა შემდგომში ბევრჯერ ინანა, რომ ეს ნაბიჯი არ გადადგა...***

***ვფიქრობ, რომ ჯობდა, მაშინ ბადრი დაეჭირათ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ის ცოცხალი იქნებოდა...“*** *(იქვე, გვ. 72).*

რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, სააკაშვილი ნანობდა თუ არა, ბადრი 2 ნოემბერს აეროპორტშივე რომ არ დააპატიმრა!

ისიც არ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ **პატარკაციშვილისთვის** ჯობდა თუ არა, მაშინ დაეპატიმრებინათ, რომ შემდეგ ლონდონში არ მოეკლათ...

რატომღაც მგონია, პატიმარ პატარკაციშვილს უფრო მალე მოკლავდა სააკაშვილი, მისი იმდენად ცხოველური ზიზღიც და შიშიც ჰქონდა!

სადაც პრემიერი **ჟვანია** მოკლა, მთავარ ოპონენტად გამოცხადებულ **პატარკაციშვილს** ნაღდად არ დაინდობდა...

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**გიორგი ცუცქირიძე**
*ფინანსისტი*



ახლა მთავარი ამოცანაა, დაიწყოს **რეფინანსირების განაკვეთის შემცირება. 11 პროცენტი მაღალია და 8 პროცენტამდე უნდა ჩამოვიდეს,** რაც გააიაფებს საბანკო კრედიტს და სტიმულს მისცემს ეკონომიკას. ჩემი აზრით, **ლარის გამყარება შეიძლება გაგრძელდეს და 2,40-მდე დავიდეს.**

„რეზონანსი“

**ედიშერ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



ასეთი მორალი აქვს რადიკალურ ოპოზიციას — **ითხოვს უკრაინის დროშის ჩამომხსნელის დაპატიმრებას** და ციხიდან გათავისუფლებას იმ პირის, რომელმაც **„მოლოტოვის კოქტეილით“** პოლიციას ცეცხლი წაუკიდა.

„იმედინიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**ივანიშვილის** დასანქცირების მიზანს **საქართველოს ხელისუფლების ჩამოშლა** წარმოადგენს.

„FOR.GE“

*ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა კარგად უწყის, რომ მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელებში საქართველოს მტრების ბუნაგის ერთ-ერთი ბინადრის, ე.წ. „ილიაუნის“ ლექტორის, ვინმე გიორგი ტაბატაძის ფეისბუქსტატუსი გავრცელდა, „ასავალ-დასავალმა“ საქვეყნოდ გააფრთხილა ზნეკეთილი საზოგადოება — „ილიაუნისკენ“ თვალი და შვილი არ გაგექცეთ!“*




# ლაშა ტალახაძის მაგინებელი „ასავალ-დასავალსა“ და „პოსტივის“ უჩივის!

# გიორგი ტაბატაძემ ან „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ დაახვიოს, ანდა თავად „დაახვიოს!“

წერილში მკითხველს ჯერ იმის შესახებ მოვახსენეთ, რაც ნაცმოძრაობის ნომრიანმა ვირთხამ — ტაბატაძემ საქართველოს საამაყო შვილის **ლაშა ტალახაძის** შესახებ დაწერა — **„პოლიტიკა და სპორტი ერთი და იგივეა, ლაშა ტალახაძე კი ქოცია, ქოცი კი, რუსია. შესაბამისად, არაფერი გასახარი და მისალოცი მის ჩემპიონობაში არ არის“.**

გაზეთში ნაცბორდელში შექმნილი ვითარება მიმოვიხილეთ და ისიც ვთქვით — **რაკი „ილიაუნში“ ილია ჭავჭავაძის იდეურ მკვლელებს ზრდიან, ამიტომ „პროფესორ“ ტაბატაძეს გამოსაჯანმრთელებლად ბროწეულის ოყნები და ლევან ბერძენიშვილის აყროლებულ „გარშოკში“ გაბანავება უნდა დაენიშნოსო.**

როგორც ჩანს, **გიორგი ტაბატაძეს** ჩვენ მიერ გამოწერილი მკურნალობის კურსი არ მოეწონა ანდა ბერძენიშვილის „გარშოკში“ ნებივრობა იუკადრისა და ცნობილ საძაღლეთში — **„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში“** გვიჩივლა — აქაოდა, „პოსტივის“ ჟურნალისტმა **ლიზა გეგეჭკორმა** და „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტმა **დიტო ჩუბინიძემ** ჩემთან მიმართებაში „ქარტიის“ ოთხი პრინციპი დაარღვიესო!

არაერთგზის გვითქვამს და დაგვიწერია, რომ **„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“** თავის 11 პრინციპთან ერთად **გიორგი ტაბატაძემ** და მისთანებმა დაახვიონ და **ეკა კვესიტაძეს** ან მის გამოშტერებულ ქმარს — შოთას **ნიკუტა გვარამიაში** გაურჭონ!

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ: **არ ვცნობთ წერა-კითხვის მცირედ მცოდნეთა მიერ 2009 წლის 4 დეკემბერს დაფუძნებულ ამ „ქარტიას“, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ვანო მერაბიშვილმა, გიგა ბოკერიამ და სააკაშვილმა ქართველი ერის მოსაღორებლად, ხალხის სამართლიანი პროტესტის ჩასახშობად და ჟურნალისტების მოსათვინიერებლად შექმნეს.** „ქარტია“ გრანტიჭამია ორგანიზაციაა, რომლის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არათუ წერა არ იცის, არამედ ერთმანეთისგან **„ძ“**-სა და **„ხ“**-ს ვერ არჩევს. ცხადია, ასეთი უვიცი და სააკაშვილის ბოსტანში ნაგორავები ხალხი იმ საქმეს ვერ გაარჩევს, რაშიც **გიორგი ტაბატაძე** ასე ურცხვად გვედავება!

როგორც ტაბატაძე წერს, მისი „ირონიული“ სტატუსი — **„პოლიტიკა და სპორტი ერთი და იგივეა, ლაშა ტალახაძე კი ქოცია, ქოცი კი, რუსია. შესაბამისად, არაფერი გასახარი და მისალოცი მის ჩემპიონობაში არ არის“** — რისთვისაც მისი ავტორი ელისტრაკო კილაძის უკანალში გავაძვრინეთ, „ჩაკეტილი ჯგუფისთვის“ ყოფილა შექმნილი. აქედან გამომდინარე, მისი გასაჯაროებით, ძალიან დიდი უსამართლობა ჩაგვიდენია და „ქარტიის“ ერთ-ერთი პრინციპი დაგვირღვევია!

გარდა ამისა, ტაბატაძე წუხს — **არც საჯარო პირი ვარ და არც „ილიაუნის“ ლექტორი და ჩემი ნებართვის გარეშე ჩემი ფოტოები რა უფლებით გამოქვეყნდაო!**

ჯერ ერთი, ყველგან ეწერა და საგანგებოდ იყო მითითებული, რომ ტაბატაძე „ილიაუნში“ ასწავლიდა და ლექტორი იყო.

მეორე — **რა ჭირს ლაშა ტალახაძეს იმის ფასი, ან რა დააშავა ქართველმა ლომმა ისეთი, რომ ტვინმოღრეცილი ტაბატაძე მასზე ირონიულად წერს?**

მესამე — **გიორგი ტაბატაძე და მისთანები მარტო სოციალურ ქსელებში კი არა, დიდი ხანია, მამუკა ხაზარაძის „უბორნიაში“ არიან შეკეტილები და არამარტო ლეგენდარულ ქართველ სპორტსმენებს, არამედ ქართველ წმინდანებსა და მეფეებს თავს ლაფს ასხამენ და მკვდარსა და ცოცხალს უგინებენ!**

მეოთხე და ყველაზე მთავარი — ტაბატაძე იმაზე კი არ წუხს, **ეს რა დამემართა, ლაშა ტალახაძეზე ასეთი სიტუტუცე რამ დამაწერინაო! არა, იმას ჩივის, ამ ყველაფერს ჩემს „ფრენდებს“ ვწერდი და სამთელქვეყნოდ რად გამომაჭენეთ, ჩემი გაჭირვების ამბავი ქვეყანას რად მოსდეთო!**

როგორც წესი, ასე მეძავები იქცევიან... კერძოდ, მათი „ხელობის“ შესახებ როგორც კი ახლობლები და ნათესავები შეიტყობენ, ერთი ამბავი და წივილ-კივილი ატყდება ხოლმე. არადა, მეძავები იმაზე კი არ დარდობენ — **ეს რა დაგვემართა, რა ცუდ და სამარცხვინო გზას დავადექითო! არამედ, ვინც მათი საროსკიპოს მისამართი გაიგო ან გათქვა, იმას ემუქრებიან — ნათესავებში თავი რად მოგვჭერი, ჩვენი „კრავოტის“ ამბები ქვეყანას რატომ მოსდეო?**

იგივე შეიძლება ითქვას **ელისტრაკო კილაძისა და გიორგი ვაშაძის** შესახებაც, რომლებსაც, სავარაუდოდ, ნამდვილად ქოლცენტრები დაუხურეს, მაგრამ ერთიც და მეორეც ნიფხვებიდან მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არიან ამომხტარი, რომ გაიშიფრნენ, თორემ რასაც საქმიანობდნენ, იმაზე საერთოდ არ წუხან... **ერთსაც და მეორესაც უარესი აქვს ნაკეთები და ხონის გზაზე დაგდებული ფუნისა არ იყოს, რა უნდა იყოს ისეთი, რასაც ესენი ვერ გადაახტებიან?**

რაც შეეხება საცოდავ **გიორგი ტაბატაძეს,** მომჩივანს ვურჩევთ, 1215 წელს შედგენილი **„თავისუფლების დიდი ქარტია იკითხოს“** და სამარცხვინო **„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ კიდევ ერთხელ დაახვიოს!**

***დიტო ჩუბინიძე***



*„კოკა-კოლას“ ქართველმა მესაკუთრემ მოახერხა ის, რასაც ამაოდ ცდილობს საერთაშორისო ლგბტ მაფია — თბილისში, როგორც იქნა, გეი-პარადი ჩატარდა. მართალია, ეს კუტუნიობა რუსთაველის გამზირზე კი არა, მოდის კვირეულის დახურულ დარბაზში მოხდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ზუსტად მაშინ, როდესაც საქართველოს პრემიერი ბუდაპეშტში, კონსერვატიული ძალების საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობდა და ოჯახისა და ტრადიციული ფასეულობების დაცვაზე ლაპარაკობდა, თემურ ჭყონიას მიერ დაფინანსებულ ღონისძიებაზე კაბებში გამოწყობილი გეები დაჯლიგინობდნენ!*

# თემურ ჭყონიავ, ნუ გახდები ჭყონ-კოლელი გეისკოპოსი!





თითქოს შეგნებულად დაამთხვიესო — „მერსედეს ბენცის“ მოდის კვირეული თბილისში ზუსტად ირაკლი ღარიბაშვილის ბუდაპეშტური ვიზიტის დღეებში ჩატარდა, ხოლო **„თბილისი მერსედეს ბენც ფეშენ უიკ“**-ის დამფუძნებელი დიზაინერი **სოფო ჭყონია** მამის დაფინანსების გარეშე რომ ვერაფერს გააკეთებდა, მგონი, ზედმეტ მტკიცებას არ საჭიროებს. არადა, ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო, რათა დაიჯერო — **„კოკა-კოლას“ მაგნატს წარმოდგენა არა აქვს, რა ამაზრზენი „მაღალი მოდა“ ძიგძიგებს მის მიერ დაფინანსებულ მოდის პოდიუმზე!**

აი, ბატონო, ფოტოები მოდის კვირეულიდან და თავად განსაჯეთ, როგორი მოდელირებული საქართველო ემეტება ჩვენთვის ჭყონიების ოჯახს. **სხვათაშორის, ერთ-ერთ კაბიან კაცს ყელზე ნიორის შეკვრაც აქვს შემოხვეული და აბა, როგორ არ უნდა ვთქვათ: ფუი, ეშმაკსო?!** მითუმეტეს, რომ ჭყონიას პოდიუმზე სატანისრქებიანი უსქესო არსებაც მიმოდიოდა! ისე, ზოგიერთს „კოკა-კოლას“ შუშის პალოც კი დაამშვენებდა, მაგრამ ვაი, რომ პალოს გამკეთებელიც არავინ ჰყავთ!

ზემოთ ღარიბაშვილის ბუდაპეშტისეული გამოსვლა ვახსენეთ და ჭყონიას კუტუნიობასთან შემთხვევით არ დაგვიპირისპირებია: **ჭყონიაც და მისი დიზაინერი ქალიშვილიც იმთავითვე მგზნებარე ნაცები არიან და ეს ყველაფერი სწორედ პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივ ჭრილში უნდა დავინახოთ:** ჭყონიას უყვარს ნაცები და რა გასაკვირია, რომ პოპულარიზაციას უწევდეს როგორც მეცოცხე ნაცებს, ისე — პოდიუმზე მოჯლიგინე უსქესო ნაცებსაც! **და, საერთოდ,**

## ნაცმოძრაობა რომ ღიად უჭერს მხარს თბილიში გეი-პარადის ჩატარებას, ამას ყოველი წლის 17 მაისის მოახლოებასთან ერთად ახმიანებს!

ისე კი, საკითხავია: თბილისის „მერსედეს ბენცის“ მოდის კვირეული ყოველწლიური „სვეტსკი ტუსოვკაა“ და ისე არ მოხდეს, რომ თუნდაც მომავალი წლის კვირეულზე უკვე თავად თემურ ჭყონია ვიხილოთ პოდიუმზე, ტყავის ტრიკოში მოყანყალე!

და მაინც, თემურ ჭყონიავ, ნუ გახდები **ჭყონ-კოლელი გეისკოპოსი,** ბოლო-ბოლო, უამრავი ზნეკეთილი თანამემამულე ეთაყვანება შენ მიერ ჩამოსხმულ გამაგრილებელ სასმელს!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**მაია ბითაძე**
*გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე*



ბოლო პერიოდში საკმაოდ გახშირდა **ძაღლების სეირნობა საბელის ან ალიკაპის გარეშე,** რასაც ხშირად თან სდევს პრობლემები — ჯარიმების ზრდა ვფიქრობთ, შემაკავებელი ეფექტის მომტანი იქნება.

„ინტერპრესნიუსი“

**ნუცა ბუზალაძე**
*მომღერალი*



**ვერავინ ვერასოდეს მომერევა, როცა ასეთი ერი მიდგას უკან!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ნინო კანკავა**
*მომღერალ ნუცა ბუზალაძის დედა*



სადაც ჩემი შვილი იქნება, ჩემი ადგილიც იქ არის. **საქართველოს გარეშე ვერსად ვძლებ,** მაგრამ, თუ ნუცა ამერიკაში იცხოვრებს, დროის დიდ ნაწილს მეც იქ გავატარებ.

„სარკე“

**ქეთი კანტიძე**
*მსახიობი*



ვგიჟდები **ვალზე,** რა არის მაგის გარეშე ცხოვრება.

„თბილისელები“

# როგორ შევინარჩუნოთ ჯანსაღი კბილები?




***მსოფლიო მედიცინაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ჯანსაღი კბილების შენარჩუნება კვლავ პრობლემად რჩება. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ, როგორც ყველა ადამიანის ორგანიზმია ინდივიდუალური, ასევე ინდივიდუალურია კბილების მოვლისა და პროფილაქტიკის ჩვევები. თანამედროვე სტომატოლოგები დღეს უკვე დამაჯერებლად ამაყობენ ამ სფეროში მიღწეული წარმატებებით. აქედან აღსანიშნავია კბილის იმპლანტაცია, რომელიც ჯანმრთელობისათვის სრულიად უვნებელი, ამავე დროს უმტკივნეულო პროცესია და მას მცირე დრო სჭირდება. თუმცა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ის საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, იქნებ ჯერ კბილების შენარჩუნებაზე გვეფიქრა. როგორი კბილები ითვლება ჯანსაღად? როგორ მივაღწიოთ მათ შენარჩუნებას? როგორ შევაჩეროთ პაროდონტოზი ადრეულ სტადიაში?***




## რას ნიშნავს კბილების სწორი მოვლა და პროფილაქტიკა?

**რჩევა №1.** პირის ღრუს სწორად მოვლის ხარჯზე ყველა ადამიანს შეუძლია შეინარჩუნოს ლამაზი კბილები. მათი დროული დაბჟენა და გინგივიტის დროული მკურნალობა პაროდონტოზის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი პირობაა.

ყველა ადამიანი წელიწადში ორჯერ უნდა მივიდეს სტომატოლოგთან კონსულტაციაზე, რათა დროულად აიცილოს თავიდან გართულება. ფაქტობრივად, დღეს ევროპაში კბილის ჯაგრისის გამოყენება ერთი წლის ასაკიდანვე იწყება, რაც შემდგომში უკვე ჩვევაში, ანუ ცხოვრების წესში გადადის.

მოზარდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **მეექვსე კბილს**, ვინაიდან იგი **ადამიანს მეორედ აღარ ამოსდის.** ამიტომ ბავშვს 10 წლის ასაკამდე მშობელი უნდა ეხმარებოდეს კბილების სწორად წმენდაში, ეს მათი უპირველესი მოვალეობაა. თუმცა, დედამ დაბადებამდეც უნდა იზრუნოს ჩვილის კბილებზე.

## რა უნდა გააკეთოს ორსულმა მომავალი შვილის კბილების სიჯანსაღისთვის?

**რჩევა № 2.** დაახლოებით 3-დან 6 თვემდე, მუცლად ყოფნის პერიოდში ნაყოფში ყალიბდება კბილების ჩანასახი. ამ დროს ქალს ზომიერად (და არა ჭარბად) უნდა მიეწოდოს კალციუმით მდიდარი საკვები, რათა არც მას დააკლდეს ეს ნივთიერება და ჩვილსაც ნორმალური კბილები განუვითარდეს. **ამ პერიოდში ორსულის კონსულტაცია სტომატოლოგთან ისევე აუცილებელია, როგორც გინეკოლოგთან.**

## თუ ჰოლივუდის მსახიობების თვალისმომჭრელი ღიმილი პროთეზების დამსახურებაა, ხომ არ აჯობებდა, დაზიანებული კბილი პროთეზით შეგვეცვალა?

**რჩევა №3.** დაზიანებული კბილების ლამაზი პროთეზით შეცვლა გამოსავალი არ არის. უნდა გვახსოვდეს, რომ პროთეზიან კბილებსაც აქვს გარკვეული პრობლემა. მთავარი მაინც ერთია. **კბილების სრული პროთეზირების დროს მოსახსნელი პროთეზებით ღეჭვითი ფუნქცია მხოლოდ 30-35 პროცენტით აღდგება.** ამდენად, ის არცთუ სახარბიელოა, ამიტომ უპრიანია, რაც შეიძლება დროულად ვიზრუნოთ საკუთარი კბილების შენარჩუნებაზე. მითუმეტეს, რომ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი გახდა კბილის ფესვის არხის მკურნალობა, ასევე კბილის გვირგვინის რესტავრაცია. ასე რომ, **კბილის ამოღება და სასწრაფო პროთეზირება ხშირად აუცილებელი აღარ არის.**

## რა პერიოდულობითაა სასურველი კბილებზე ქვების მოცილება?

**რჩევა №4.** ამ პროცედურის ჩატარება აუცილებელია წელიწადში 1-2-ჯერ. დღეს ჩვენში ეს აბსოლუტურად უვნებელი და უმტკივნეულო პროცესია, ვინაიდან დანერგილია ულტრამაღალი სიხშირის აპარატი, რომელიც შესანიშნავად ახერხებს ამ პროცედურის მაღალ დონეზე ჩატარებას.

## როგორ ხდება ღრძილების მასაჟი და თვითმასაჟი?

**რჩევა №5.** ღრძილების ყოველდღიური, 5-წუთიანი მასაჟი აუმჯობესებს ღრძილებში სისხლის მიმოქცევას. აღნიშნული მასაჟი თითების დახმარებით ჩაიტარეთ.

თვითმასაჟი კი ხდება ბუნებრივი და მაგარი საკვების, მაგალითად: ხილის, ბოსტნეულის ან ხორცის მიღებისას. თვითმასაჟია ასევე საღეჭი რეზინის ზომიერად გამოყენება, რაც გულისხმობს მის ღეჭვას საკვების მიღებიდან 10-15 წუთის განმავლობაში.

## როგორ დავიამოთ კბილის ტკივილი?

**რჩევა №6.** კბილის ტკივილს კარგად შველის სამკურნალო ბალახების: გვირილის, სალბის, კრაზანას ნაყენები, ასევე სოდის სუსტი ხსნარი. ნაყენი ოდნავ რომ შეგრილდება, მაშინ უნდა გამოივლოთ.

აფთიაქებში ასევე შეიძლება შევიძინოთ კბილის წვეთები, რომელიც ბამბის ტამპონზე უნდა დააწვეთოთ და მტკივან ადგილზე დაიდოთ. ქაფური და ვალერიანის ნაყენი, რომელიც წამლის შემადგენლობაში შედის, დამამშვიდებელ ეფექტს იძლევა. ასევე შეიძლება პიტნის აბების გამოყენებაც საჭიროების შემთხვევაში. ერთიორი ცალი აბი ენის ქვეშ უნდა დაიდოთ.

გირჩევთ, **არავითარ შემთხვევაში არ მოითმინოთ კბილის ტკივილი,** განსაკუთრებით მაშინ, თუ ტემპერატურამ აგიწიათ ან ყბა შეგისივდათ. ეს ფლეგმონის ან აბსცესის პირველი ნიშანია.

ტკივილგამაყუჩებლის მიღება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში არის რეკომენდებული.

## კბილების პასტის ყიდვისას რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?

**რჩევა №7.** კბილის პასტის ყიდვისას ყურადღება უნდა მიექცეს მის შემადგენლობაში **ფთორისა და კალიუმის მარილების შემცველობას.** ეს ნებისმიერ ადამიანს ეხება, ხოლო ტრიკლოზანის შემცველი პასტა, რომელიც ღრძილების პათოლოგიების დროს გამოიყენება, სასურველია, სამკვირიანი შესვენებებით გამოვიყენოთ. პასტაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად სწორად ვიხეხავთ კბილებს.

## რა სიახლეებს სთავაზობს სტომატოლოგია პაციენტებს?

**რჩევა №8.** სტომატოლოგიაში დღეისათვის მართლაც მნიშვნელოვანი სიახლეებია, მათ შორის: **კბილების გათეთრება ლაზერული და ულტრაბგერითი მეთოდით,** რომელიც აბსოლუტურად უვნებელია; კბილების მკურნალობა ლაზერით, ბორმანქანის გარეშე, პარადონტიტის მკურნალობა ლაზერით, ფოტოდინამიკითა და ბიორეგულატორით; ცალკეული კბილების დაბჟენა გვერდითი კბილის დაზიანების გარეშე (ლაზერული სკანირებით); კბილის ლაზერული იმპლანტაცია და სხვა.

## რომელი პროდუქტია აუცილებელი ჯანსაღი კბილების შენარჩუნებისათვის?

**რჩევა №9.** ჯანსაღი კბილების შენარჩუნებისათვის აუცილებელია ფთორის შემცველი პროდუქტები: **თევზი, რძე, სასმელი წყალი**. ფთორი ორგანიზმში იწვევს კბილის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და ხელს უშლის კარიესის წარმოშობას.

***ალბათ, ყველას გახსოვთ ჩიპოლინოს დაუძინებელი მტერი — ბოღმისაგან გაწითლებული სენიორ პომიდორი. სინამდვილეში კი პომიდორი ძალიან კეთილია, თანაც მისგან უამრავი გემრიელი და სასარგებლო სასუსნავი მზადდება. რამდენიმე რეცეპტს ჩვენც შემოგთავაზებთ.***



# კეთილი სენიორ პომიდორი

### რეცეპტი №1 წითელი და შავი

საჭირო მასალა: **2 ცალი პომიდორი, 2 ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი, 100 გრ ყველი, 100 გრ ზუთხის ფილე, 2 სუფრის კოვზი არაჟანი, მწვანილი.**
მომზადების წესი: *პომიდვრები 1 წუთით მდუღარე წყალში ჩაუშვით, შემდეგ კი ცივ წყალში გადაიტანეთ. გაფცქვენით და კოვზით ძალიან ფრთხილად ამოაცალეთ გული. ზუთხი წვრილად დაჭერით, ყველი გახეხეთ და არაჟანსა და პომიდვრის დაქუცმაცებულ რბილობს შეურიეთ. კვერცხს ძირი და თავი მოაჭერით, გული ამოაცალეთ, დაფშვენით და ნარევს დაამატეთ. გამზადებული სახურთით პომიდვრები და კვერცხები გაავსეთ. კვერცხს პომიდვრის „შლაპა“ დაახურეთ, პომიდორს კი — კვერცხის „თავსახური“. წვრილად დაჭრილი მწვანილი ფართო თეფშზე დაყარეთ და ზედ პომიდვრები და კვერცხები დააწყვეთ.*

### რეცეპტი №2 პომიდვრის ფარშმაჟორი

საჭირო მასალა: **10 ცალი პომიდორი, 5-6 სტაფილო, 4 თავი ხახვი, 4 სუფრის კოვზი ბრინჯი, 5 სუფრის კოვზი ზეთი, მწვანილი, მარილი, პილპილი.**
მომზადების წესი: *მოხარშეთ ბრინჯი და წვრილად დაჭრილი სტაფილო. პომიდვრებს თავები მოაჭერით, რბილობი ამოაცალეთ და ტაფაზე ოდნავ მოშუშეთ. წვრილად დაჭრილი ხახვი ბრინჯს, სტაფილოს, დაჭრილ მწვანილს და მარილს შეურიეთ. გამზადებული სახურთით პომიდვრები დატენეთ და თავები დააფარეთ. ფარშირებული პომიდვრები სქელძირიან ჭურჭელში ჩააწყვეთ, ზეთი ჩაასხით, მოშუშული რბილობი დაამატეთ და თავდახურული ნელ ცეცხლზე შუშეთ მზადყოფნამდე.*

### რეცეპტი №3 ჩილი

საჭირო მასალა: **0,5 კგ პომიდორი, 400 გრ ხახვი, 6 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 ცალი პატარა ცხარე წიწაკა (ცეცხლი), 1 ნატეხი ჯანჯაფილი, 8 მარცვალი შავი პილპილი, 2 ცალი მიხაკი, 0,5 ჭიქა ზეთი, 1 ჭიქა ღვინის ძმარი, 0,5 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 0,5 ჩაის კოვზი დარიჩინი, 0,5 ჩაის კოვზი დაფქული წითელი პილპილი, 1 ჩაის კოვზი მარილი.**
მომზადების წესი: *პომიდორი, ხახვი, ბულგარული წიწაკა, ცხარე წიწაკა წვრილად დაჭერით, ჯანჯაფილი დაუმატეთ და დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში ზეთში მოშუშეთ. ნარევი გააგრილეთ და საცერში გახეხეთ. დაამატეთ ძმარი, შაქარი, დარიჩინი, წითელი პილპილი და მარილი. უთავსახუროდ ხარშეთ ძალიან ნელ ცეცხლზე 1,5 საათის განმავლობაში. გამუდმებით ურიეთ (საწებელი უნდა გასქელდეს).*

# ტუჩის ფორმა ადამიანის ხასიათს

***ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ტუჩის ფორმის მიხედვით პიროვნების ხასიათის განსაზღვრა შეიძლება. ტუჩის ფორმას მკაფიოდ გამოხატავს პომადა. კარგად დააკვირდით:***

**გულის ფორმის ტუჩები** — ყველაზე მგრძნობიარე და ნაზია, მეტყველებს მომხიბვლელობაზე, კოკეტობასა და ემოციურობაზე.

**მსხვილი, სველი ტუჩები** — სიცოცხლისმოყვარე ადამიანებს აქვთ, მათ, ვისაც ბევრი ლაპარაკი უყვართ, გულგახსნილებს, რომლებიც ადვილად პოულობენ მეგობრებს, რთული სიტუაციიდან თავს ყოველთვის ადვილად აღწევენ.

**პატარა ტუჩები** — სულიერ სიმდიდრეზე მეტყველებენ, სამართლიანობაზე, პრინციპულობაზე.

**თხელი ტუჩები** — გულგრილი გამომეტყველების მიღმა სათუთ გრძნობას მალავენ. თხელი ტუჩების მქონე ადამიანი მიზანდასახულია, თავშეკავებული. არასოდეს კარგავს კონტროლის უნარს.

**გაბუტული ტუჩები** — ერთდროულად მეტყველებენ ადამიანის მგრძნობელობასა და მტკიცე ხასიათზე.



# ლალი, საფირონი, ბრილიანტი



## ქორწილის წლისთავების სახელწოდებანი

1 წელი — ჩითის ქორწილი
2 წელი — ქაღალდის ქორწილი
3 წელი — ტყავის ქორწილი
4 წელი — თოკის ქორწილი
5 წელი — ხის ქორწილი
6 წელი — თუჯის ქორწილი
6,5 წელი — თუთიის ქორწილი
7 წელი — სპილენძის ქორწილი
8 წელი — თუნუქის ქორწილი
9 წელი — ქაშანურის ან გვირილის ქორწილი
10 წელი — კალის ან ვარდის ქორწილი
11 წელი — ფოლადის ქორწილი
12,5 წელი — ნიკელის ქორწილი
13 წელი — მაქმანის ქორწილი
14 წელი — აქატის ქორწილი
15 წელი — ბროლის ან შუშის ქორწილი
20 წელი — ფაიფურის ქორწილი
25 წელი — ვერცხლის ქორწილი
30 წელი — მარგალიტის ქორწილი
35 წელი — ტილოს ქორწილი
40 წელი — ლალის ქორწილი
45 წელი — საფირონის ქორწილი
50 წელი — ოქროს ქორწილი
60 წელი — ბრილიანტის ქორწილი
65 წელი — რკინის ქორწილი
67,5 წელი — ქვის ქორწილი
70 წელი — მადლიანი ქორწილი
75 წელი — გვირგვინის ქორწილი



**ფსიქოლოგი გვირჩევს:**

**სტატისტიკის მიხედვით, ოჯახების ნახევარი ირღვევა. ამიტომ გვსურს, რამდენიმე რჩევა მოგცეთ, რომლებიც ოჯახის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ.**

## ქორწინება წუნიანი რომ არ გამოდგეს

### «მავნე რჩევები»

**მათთვის, ვისაც ოჯახის დანგრევა სურს**

**1.** **არაფერი დაივიწყოთ. სისტემატურად გაახსენეთ თქვენს მეორე ნახევარს მისი ნებისმიერი შეცდომა. მიზეზით და უმიზეზოდ თქვენს პარტნიორს უთხარით, რომ იგი არაფრის მაქნისი, ხელთუპყარი, უგერგილოა და ა.შ.**

**2.** ბრალი დასდეთ! გაერთეთ და გაართეთ ირგვლივ მყოფნი გაუთავებელი ჩხუბითა და კამათით. „მოწინააღმდეგე მხარეს“ დააბრალეთ, რომ მას სრულიად გაუფუჭდა ხასიათი, არააკურატულია, არ იცის ფულის ყაირათიანი ხარჯვა და ა.შ.

**3.** **დაამცირეთ. განსაკუთრებით კამათის დროს. ნუ მოერიდებით შეურაცხყოფას. გააკეთეთ ეს საჯაროდ, ხალხის წინაშე.**

## «სასარგებლო რჩევები»

**1.** კვირაში ორი საღამო თავისუფალი დაიტოვეთ, რათა მეუღლესთან ერთად ან ოჯახურ წრეში გაატაროთ.

**2.** **ისწავლეთ პატივმოყვარეობის დაძლევა. თუ ცოლს ქმარზე მეტი ფული შემოაქვს ოჯახში, კაცმა უნდა იამაყოს, რომ ასეთი „მეორე ნახევრის“ პატრონია. ქალი კი, რომლის ქმარმაც უცებ დაკარგა სამუშაო, არა მარტო ტაქტიანად უნდა მოიქცეს, არამედ ქმარს მტკიცედ უნდა ამოუდგეს მხარში.**

**3.** ეცადეთ, იყოთ მოქნილი. თუ კაცი კარიერას იკეთებს ან ახალ საქმეს იწყებს, ქალი კი სწავლის გაგრძელებას აპირებს, ორივე მხარე ყურადღებითა და გაგებით უნდა მოეკიდოს მეუღლის სურვილსა და გადაწყვეტილებას.

**4.** **ნუ მოერიდებით აზრების დაპირისპირებას. თუ პარტნიორები გულახდილად განიხილავენ ყველა საკითხს, მათი ურთიერთობა უფრო მტკიცე იქნება.**

**5.** დაივიწყეთ სხვისი შეცდომები. მართალია, შეცდომებზე ვსწავლობთ, მაგრამ მათი გულში ჩახვევა მავნებელია. გახსოვდეთ, რომ ბედნიერი ცოლ-ქმარი, რომლებსაც მრავალი წელიწადი აკავშირებთ, ერთმანეთს ქვემოდან ზევით უყურებენ და ლამის აიდეალებენ.



## ბედნიერი ოჯახი გაქვთ?

**გაგიმართლათ? ხართ თუ არა ბედნიერი ოჯახურ ცხოვრებაში? ეგებ, ტყუილად გეპარებათ ეჭვი, რომ არ გაგიმართლათ? ამას გაიგებთ, თუ მოცემული ტესტის შეკითხვებს გულახდილად უპასუხებთ.**

**1. უხამებთ ერთმანეთს კარიერასა და ოჯახს?**

**ა)** *ვერ ვახერხებ.*
**ბ)** *იოლად ვახერხებ, რადგან ოჯახი ყველა საქმეში მხარში მიდგას.*
**გ)** *ძნელად ვახერხებ.*

**2. ხშირად ეჭვიანობთ?**

**ა)** *სამწუხაროდ, კი.*
**ბ)** *არასოდეს, რადგან ვენდობი ჩემს მეუღლეს.*
**გ)** *უმიზეზოდ არ ვეჭვიანობ.*

**3. სამსახურის შემდეგ ყოველთვის სიხარულით ბრუნდებით შინ?**

**ა)** *არასოდეს.*
**ბ)** *პრაქტიკულად, ყოველთვის.*
**გ)** *გააჩნია, როდის...*

**4. თქვენს ოჯახში მიღებულია თუ არა პრობლემების განხილვა, უზიარებთ თუ არა ერთმანეთს თქვენს გრძნობებს?**

**ა)** *სამწუხაროდ, არა.*
**ბ)** *რა თქმა უნდა, რადგან უამისოდ ოჯახი არ არსებობს.*
**გ)** *ყოველთვის ვერ ვახერხებთ.*

**5. ოჯახური პრობლემებით თქვენ უფრო ხართ დატვირთული თუ თქვენი მეუღლე?**

**ა)** *რა თქმა უნდა, მე, რადგან ყველაფერი მე მაკისრია.*
**ბ)** *ჩვენთან სრული თანასწორობაა.*
**გ)** *არა, ბევრი რამ მას დავაკისრე.*

**6. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ოჯახური ცხოვრების ინტიმური მხარით?**

**ა)** *სამწუხაროდ, არა.*
**ბ)** *ყველაფერი მშვენიერია.*
**გ)** *გააჩნია, როდის და როგორ.*

**7. როგორ გრძნობთ თავს ოჯახური ჩხუბის შემდეგ?**

**ა)** *კმაყოფილი ვარ, რომ ყველაფერი, რაც დამიგროვდა, პირში ვუთხარი.*
**ბ)** *განვიცდი და ვწვალობ, რომ ასე მოხდა.*
**გ)** *ყველაფერი სიტუაციაზეა დამოკიდებული.*

**8. გთრგუნავთ ოჯახური კავშირები?**

**ა)** *ასეა.*
**ბ)** *რა თქმა უნდა, არა.*
**გ)** *ზოგჯერ მთრგუნავს.*

### შეფასება:

**რაც უფრო მეტი ვარიანტი „ა“ აირჩიეთ,** მით უფრო უკმაყოფილო ხართ ოჯახური ცხოვრებით. ჩანს, რომ სერიოზული პრობლემები გაქვთ. დროა, გაარკვიოთ მათი წარმოქმნის მიზეზები. იმოქმედეთ, თორემ თქვენს ოჯახურ გემს გაუცხოების აისბერგები გაჭყლეტს.

**თუ თქვენს პასუხებში ვარიანტი „ბ“ ჭარბობს,** ეს ნიშნავს, რომ ბედნიერი ოჯახი გაქვთ.

დაბოლოს, **თუ უფრო მეტი ვარიანტი „გ“ გაქვთ არჩეული,** ჯერ ვერ გაგიაზრებიათ, ხელს გაძლევთ თუ არა ოჯახური ცხოვრება. ეტყობა, თქვენს ოჯახში რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. ნუ გააჭიანურებთ თქვენი ოჯახური პრობლემების გარკვევას, ნუ გააღრმავებთ კონფლიქტს. იქნებ, თქვენ თვითონ ხართ დამნაშავე? შეეცადეთ, ყველაფერი თქვენს მეუღლესთან ერთად გაარკვიოთ.

## გამოკვებეთ ტვინი



*იმისათვის, რომ ჩვენმა ტვინმა შეუფერხებლად იმუშაოს, იგი სათანადოდ უნდა ვკვებოთ. პირველ რიგში, უპირატესობა ნახშირწყლებს უნდა მივანიჭოთ. საქმე იმაშია, რომ ტვინის უჯრედების საუკეთესო მკვებავი გლუკოზაა, რომლის ძირითად მომწოდებელს სწორედ ეს ნივთიერებები წარმოადგენს, ამიტომ საპასუხისმგებლო მომენტში ხელთ უნდა გვქონდეს რომელიმე ჩირი, რომელიც შაქარზე და სხვა ტკბილეულზე მეტ გლუკოზას შეიცავს და ყველაზე სწრაფად აწვდის მას ტვინს. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს რთული ნახშირწყლები, რომლებიც ბევრია ფაფებში, პურში, მაკარონში, სიმინდში, ბოსტნეულში, პარკოსნებში. ისინი კუჭში ნელა გადამუშავდება და მუდმივად აწვდის საკვებს ტვინს. გლუკოზის და ნახშირწყლების გარდა აუცილებელია ცილები და ცხიმები (განსაკუთრებით თევზის), აგრეთვე მიკროელემენტები და ვიტამინები. ამიტომ საკვები უნდა იყოს მრავალფეროვანი, ხოლო კარგი სამუშაო ფორმის შესანარჩუნებლად დღეში 1,5 ლიტრი სითხეც უნდა მივიღოთ, სასურველია ახალგამოწურული წვენების სახით. ისინი შესანიშნავად კლავენ წყურვილს, კვებავენ ტვინის უჯრედებს და შეიცავენ ვიტამინებსა და მიკროელემენტებს.*



### ფორთოხალი

გარდა იმისა, რომ იგი ასკორბინის მჟავის ნამდვილი საწყობია, მდიდარია მიკროელემენტებით, რომელიც ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებას.

### ოსპი

რთულ ნახშირწყლებთან ერთად შეიცავს ამინომჟავებს, რომელიც სავალდებულოა აზროვნებითი პროცესის დასაჩქარებლად.



### ნიორი

მდიდარია ტვინის უჯრედების გამააქტიურებელი ნივთიერებით. აუმჯობესებს მახსოვრობას და აფერხებს თავის ტვინის ასაკობრივ ცვლილებებს.



### თევზი

შეიცავს ქოლინს და ლეციტინს. ისინი მონაწილეობენ იმ ნივთიერების წარმოქმნაში, რომელიც სავალდებულოა ხანგრძლივი დაძაბული მუშაობისას.



### კეფირი

ან იოგურტი აწესრიგებს ტვინის მუშაობას და უჯრედების აღდგენის პროცესს. ისინი ყველაზე მეტ B ჯგუფის ვიტამინებს შეიცავენ.

### ბრიუსელის კომბოსტო

P ვიტამინის წყალობით აძლიერებს ყურადღების კონცენტრირების უნარს და აქტიურებს ტვინს.





# მიხეილ ცაგარელი: ასტროლოგია და სპორტი

***— ადამიანის პირად ჰოროსკოპში მყოფი პლანეტა მარსი რას განსაზღვრავს ანდა რას გვიჩვენებს და მიუთითებს მე-6 ასტროლოგიური სახლი? მზე რისი მაჩვენებელია? მისი ზეგავლენით რა ძლიერდება და უმჯობესდება ანდა იმართება? რატომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი ჰოროსკოპში არსებული მთვარის ჰარმონიულობა და ასპექტები? რომელი პლანეტის ზემოქმედება უკავშირდება ადამიანის მოქნილობას, სხარტ მოძრაობებს, მობილურობას, კომუნიკაციას და ხელს უწყობს სპორტის გუნდურ სახეობებს? რომელი პლანეტა განაგებს და მფარველობს სპორტის განსაკუთრებით ლამაზ სახეობებს: ტანვარჯიშს, ციგურებით ფიგურულ სრიალს, სინქრონულ ცურვას? რომელი ციური სხეულები განაგებენ სპორტულ იარაღებს, ტექნიკას და უკავშირდებიან უცხოეთში დიდ ტურნირებსა და შეჯიბრებებს ანდა მფარველობენ არა იმდენად სპორტსმენებს, რამდენადაც მათ მწვრთნელებს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— როგორც აღნიშნეთ, პირადი ჰოროსკოპის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, სიღრმისეულად დავინახოთ მიდრეკილება და განსაკუთრებული ნიჭი სპორტის ამა თუ იმ სახეობის მიმართ, ასევე აღნიშნეთ, რომ სპორტულ მიღწევებს საკმაოდ ბევრი ასტროლოგიური მაჩვენებელი და კომბინაცია განსაზღვრავს.**

— დიახ! და ეს მაჩვენებლები დეტალურ შესწავლას ითხოვს, ამიტომ თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ ძირითადზე შევაჩერებ ჩვენი მკითხველის ყურადღებას. **პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ აქტიური, ბრძოლისუნარიანი, მიზანსწრაფული და აგრესიული პლანეტა მარსი,** რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქმედითუნარიანობას, ძალას, მოქნილობას, მეტოქეობის ჟინს, სპორტული იარაღის ფლობის უნარს, ტექნიკას და ა.შ. **დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე პირად ჰოროსკოპში მყოფ მე-6 ასტროლოგიურ სახლს, რომელიც გვიჩვენებს ყოველდღიური აქტიურობის იმ ოპტიმალურ რაოდენობას, რაც აუცილებელია მხნეობისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ნიშანდობლივია ისიც, რომ მე-6 სახლი, ამავდროულად, ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც მიგვითითებს. ამგვარად, პლანეტა მარსის გარეშე, სპორტზე საუბარი წარმოუდგენელია, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ყველა იმ ასტროლოგიურ სახლს, სადაც ის არის განლაგებული და ასევე იმ პლანეტებს, რომლებიც მას ასპექტებით უკავშირდებიან,** რადგან, მოგეხსენებათ, რომ თითოეულ **ასტროლოგიურ სახლსა თუ პლანეტას** თავისი მახასიათებლები გააჩნიათ, რომელიც განსაზღვრავენ ადამიანის თვისებებს, ფიზიკურ აღნაგობას, ხასიათის თავისებურებას, მიზნებსა და მისწრაფებებს. მაგალითად: **1. მზის ზეგავლენით მატულობს თავდაჯერებულობა, წარმატებისა და ბანდიდების მოთხოვნილება, უმჯობესდება მხედველობა. სწორედ მზე განაგებს ტურნირებს, ჩემპიონატებს, ოლიმპიურ თამაშებს და იმ დიდ სპორტულ ღონისძიებებს, სადაც ლიდერი გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს.** უპირველესად, **მზის** მფარველობას განიცდის **მხატვრული ტანვარჯიში, ცხენოსნობა, გოლფი** და სხვა. **2. მთვარე კი უკავშირდება წყალსა და სპორტის საწყლოსნო სახეობებს, საცურაო აუზებს, ზღვებსა და ოკეანეებს. განაგებს ადამიანის ემოციებს და ხელს უწყობს ცურვას, სპორტულ შეჯიბრებებს წყალში** (წყალბურთის, მხატვრულ ცურვას, სიმაღლიდან წყალში ხტომას, აფროსნობას და ა.შ.). **მთვარე** ასევე მფარველობს ტურიზმსა და სპორტულ ორიენტაციას. ასევე არ უნდა დავივიწყოთ, რომ **მთვარეზეა დამოკიდებული სპორტსმენის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამძლეობა და მისი ემოციური მზაობა,** ამიტომაც მთვარის ჰარმონიულობა და მისი ასპექტები ძალზედ მნიშვნელოვანია. **3. პლანეტა მერკური კი, მოგეხსენებათ, გონებასა და ინტელექტს უკავშირდება, ამიტომ მის მფარველობას განიცდის სპორტის ის სახეობანი, რომელნიც ითხოვენ გონიერებას, მოქნილობას, კომუნიკაციას, სხარტ მოძრაობას, მოხერხებულობას, მობილურობას და სადაც მეტი დატვირთვა აქვს მხრებსა და ხელებს. იგი ხელს უწყობს სპორტის გუნდურ სახეობებს.** მათ შორის, ფეხბურთს, კალათბურთს, ხელბურთს, ჩოგბურთს და ასევე მძლეოსნობას, მკვლავჭიდს, ხუთჭიდს, ბილიარდს, სნუკერს. **4. პლანეტა ვენერა, რომელიც სილამაზესა და ფუფუნებას განაგებს, ითხოვს ჰარმონიასა და მოხდენილ მოძრაობას. მის ზემოქმედებას ექვემდებარებიან სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა ტანვარჯიში, ციგურებით ფიგურული სრიალი, სინქრონული ცურვა, სპორტული ცეკვები, ფიტნესი** და სხვანი. ასევე, ნაწილობრივ, **პლანეტა ვენერას** მფარველობასა და ზეგავლენას ექვემდებარება საცხენოსნო სპორტი, იახტებით რბოლა, ფორმულა-1-ში შეჯიბრი. **5. პლანეტა მარსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განაგებს ფიზიკურ ძალას, ბრძოლისუნარიანობას, სპორტულ იარაღებს, ტექნიკას, დაპირისპირებას და ხელს უწყობს სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა** საბრძოლო ხელოვნება, ჭიდაობა, ძიუდო, კარატე, კრივი, ფარიკაობა ბიატლონი, მიზანში სროლა, ფორმულა-1, მოტოსპორტი და სხვანი. **6. პლანეტა იუპიტერს რაც შეეხება, იგი უკავშირდება სიბრძნეს, რწმენას, ცოდნას, ოსტატობას, წინამძღოლობას, ამიტომ მის მფარველობას განიცდის არაიმდენად სპორტსმენი, რამდენადაც მწვრთნელები.** იგი ასევე უკავშირდება უცხოეთს, საერთაშორისო შეჯიბრებებს და დიდ ტურნირებს. თუმცა, **გამარჯვებისა და იღბლიანობის მმართველი პლანეტა იუპიტერთან ტრანზიტების არსებობის შემთხვევაში, ამ ადამიანის სპორტში წარმატების მიღწევის შანსები ბევრად უფრო მეტია.** უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პლანეტა იუპიტერი ასევე განაგებს ჭადრაკს, ცხენოსნობას, მშვილდოსნობას.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 15–21 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ფინანსები მეტ ყურადღებას ითხოვს, რადგან არსებული პრობლემების გადასაჭრელად შესაძლოა, დამატებითი ხარჯის გაღება მოგიწიოთ. თქვენი პროფესიონალიზმი კარიერული აღმავლობის კარგ პერსპექტივას განაპირობებს. საქმიანი მიდგომა და რეკლამა კი წარმატების საწინდარი იქნება. სასიყვარულო ურთიერთობისას თავდაჯერებულობა დროის მხიარულად და სასიამოვნოდ გატარებაში დაგეხმარებათ. ახლო მანძილზე მოგზაურობა და გადაადგილებები ბევრ ახალ ნაცნობობას გიქადით.

**კურო** (21.04-20.05)
იაქტიურეთ! ეს კვირა საქმიანი თუ პირადი ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მოლაპარაკებებისთვის და ხელშეკრულების დასადებად გამოიყენეთ. სწავლა გაგიადვილდებათ. შესაძლოა, ახალ სასიყვარულო კავშირს ჩაეყაროს საფუძველი, რომელიც მეტად ემოციური იქნება და თქვენს ოცნება-ფანტაზიებს დააკმაყოფილებს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ენერგიული იქნებით, რაც აქტიურ მოქმედებასა და მრავალფეროვან ურთიერთობებს ხელს შეუწყობს. შესაძლოა, საქმიანი წინადადება ანდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოთ. მეტი დაკვირვება გმართებთ, რათა კარგი შესაძლებლობები ხელიდან არ გაუშვათ. დინჯად და მიზანმიმართულად იმოქმედეთ. აუცილებლობისას დახმარების თხოვნა არ მოგერიდოთ. შეყვარებულის მიმართ კი მეტი ნდობა გამოიჩინეთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ენერგიული იქნებით. თუმცა, არსებული ცხოვრების წესის მიჩვევისა და მისი დაკარგვის შიში ახლის მიღება-განვითარებაში ხელს შეგიშლით. ახალი კავშირები დაგეხმარებათ ჭეშმარიტ სურვილთა გაცნობიერებაში. ეს კვირა ხელს უწყობს დამატებით ცოდნის მიღებასა და ახალი საქმის დაწყებას. თამამი, ფართო ინტერესის ადამიანები მიგიზიდავთ. უცნაური გარემოებისას გაცნობილი საინტერესო ადამიანი კი შესაძლოა, მომავალში სასიყვარულო პარტნიორი გახდეს.

**ლომი** (23.07-23.08)
ენერგიული იქნებით, თუმცა, ხშირად განწყობის ცვალებადობა გექნებათ. სიმხიარულე და გონებამახვილობა, თქვენდამი დაინტერესებას გაზრდის. შემოსავლის გაზრდისთვის მეტი ურთიერთობა და მოქმედება გმართებთ. მეგობრებმა შესაძლოა, ახალი საქმე შემოგთავაზონ. კავშირი მშობლებთან, დედმამიშვილებთან და ნათესავებთან უფრო ჰარმონიული გახდება. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და გარისკვასა და აზარტულ თამაშს მოერიდეთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
არსებული კავშირები გამოიყენეთ და საქმეები აუჩქარებლად შეასრულეთ, რათა ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. ეს დრო კარგია გამოკვლევებისა და სამეცნიერო სამუშაოსთვის. თუ არავის გააკრიტიკებთ, დასცინებთ ან წააქეზებთ, უსიამოვნებას აირიდებთ. ამ პერიოდში დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა სასურველ შედეგს არ მოიტანს და დიდხანსაც არ გასტანს. ქუჩაში გადაადგილებებისას კი მეტი სიფრთხილე გმართებთ.

## 15–21 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მოსალოდნელია მოულოდნელი ცვლილებები როგორც პირად საკითხებში, ისე საქმესა და კარიერაში, რაც მარტივი არ იქნება, თუმცა, თქვენს მდგომარეობას გააუმჯობესებს. არ არის გამორიცხული სოციალური სტატუსის ამაღლება. ხარჯები გააკონტროლეთ. კომფორტისა და სიმშვიდის მოთხოვნილების გამო თავისუფალი დროის გატარებას ოჯახის წევრებთან ერთად სახლში ამჯობინებთ. ყოფითი წვრილმანები სიამოვნებას მოგგვრით.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ახალი საქმეების დასაწყებად და მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად კარგი დროა. ხშირი კონტაქტების დახმარებით მუდამ დროულად ინფორმირებული იქნებით, რის შედეგადაც სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. გაუმჯობესდება ხელმძღვანელობასთან, კოლეგებთან, პარტნიორებთან ურთიერთობაც, რაც ხელს შეგიწყობთ წინსვლაში. გამორიცხული არ არის შემოსავლის გაზრდაც. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
სხვადასხვა წრის წარმომადგენლებთან ჰარმონიული ურთიერთობა და თანამშრომლობა გაგიადვილდებათ, რის გამოც უცნობ სიტუაციაშიც შეძლებთ გართობასა და წარმატების მიღწევას. კარგი პერიოდია დამატებითი ცოდნის მისაღებად და აუცილებელი თვისებების გამომუშავებისთვის. გადაღლა ორგანიზმზე უარყოფითად აისახება, ამიტომ თავისუფალი დრო დასვენებისთვის გამოიყენეთ. შეყვარებულთან კი ურთიერთობების გარკვევას მოერიდეთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საკმაოდ ქმედითუნარიანი და პრაგმატული იქნებით, რაც ხელს შეუწყობს ნაყოფიერ მუშაობას, მომგებიან თანამშრომლობასა და აუცილებელი კავშირების დამყარებას. კარგი დროა ძველი იდეისა და ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ცხოვრებისეული ცვლილებებისთვის, პროფილაქტიკური თუ სამკურნალო სამედიცინო პროცედურების ჩასატარებლად. გაადვილდება ასევე პირადი ურთიერთობების დარეგულირება.

**მერწყული** (20.01-18.02)
მოზღვავებული ორიგინალურობითა და ენერგიულობით გარშემო მყოფებს გააოცებთ. მოვლენათა გაანალიზება და მდგომარეობის გაუმჯობესება ყველა სფეროში დამოუკიდებლობის მოპოვებაზე უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების გაზრდაზე დაგაფიქრებთ. კარგი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად, ჩანაფიქრის განსახორციელებად. შესაძლოა, სპონსორი მოიძიოთ ანდა აუცილებელი დაფინანსება მიიღოთ.

**თევზები** (19.02-20.03)
გაზრდილი ფიზიკური აქტივობა არაერთ ოჯახურ პრობლემას მოგაგვარებინებთ. მეგობრული კონტაქტებიც გახშირდება. ახალი იდეები და მიზნები ხელს შეუწყობს ჩანაფიქრის განხორციელებას. კარგი დროა ინვესტიციისთვის ან ახალი საქმის კარგად გააზრებისთვის. ინტუიციის დახმარებით ყველა არაკეთილმოსურნეს ამოიცნობთ და კონფლიქტს თავს აარიდებთ. ახალი სასიყვარულო ურთიერთობა კი იმდენად უეცრად გეწვევათ, რომ შესაძლოა, ვერც გააცნობიეროთ.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**16, 18, 19, 20 და 21 მაისი**

**5 მაისი – მთვარის დაბნელება, სავსემთვარეობა;**
**19 მაისი – ახალმთვარეობა, პიკი – 19.56 სთ.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 15 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.42 საათზე, ჩადის 20.13 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.10) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 03.37 საათზე, ჩადის 15.35 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 04.24 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 06.56 საათიდან 12.10 საათამდე. **ტენდენციები:** დღეიდან ინტელექტისა და კომუნიკაციის მმართველი პლანეტა მერკური დირექტული ხდება, რაც ხელს შეუწყობს ახალი იდეების განხორციელებას, ინფორმაციის მიღება-გადაცემას, მოლაპარაკებებს, ურთიერთგაგებას, მგზავრობასა და მოგზაურობას, ტექნიკური ხელსაწყოების გამართულ მუშაობას, სწავლას, თანამშრომლობას. შესაძლოა, ძველი საქმიდან მოულოდნელად სარგებელი მიიღოთ. ეფექტური იქნება თირკმლების, შარდის ბუშტის, ენდოკრინული სისტემის, კანის, ყელის მკურნალობა. კარგი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის, ტანსაცმელფეხსაცმლის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების, მჭრელი საგნებისა და იარაღის შესაძენად. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, სულსწრაფობა, ექსტრასენსთან ვიზიტი, ხელშეკრულების დადება, თვალების გადაღლა, კაპიტალდაბანდება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები, ცხვირი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 16 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.41 საათზე, ჩადის 20.14 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 04.00 საათზე, ჩადის 16.46 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 04.31 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გამარჯვებისა და იღბლიანობის მმართველი პლანეტა **იუპიტერი** გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში (თითქმის ერთი წლით), რაც განავითარებს სასოფლო-სამეურნეო, ეკონომიკურ-საბანკო, ხელოვნების, არქიტექტურის დარგებს, ეკოლოგიურ საკითხებს. წარმატების მომტანი იქნება ორგანიზებულობის, დისციპლინის, პრაგმატულობის, ერთგულების, შეუპოვრობის გამოვლენა, მოქმედება პრინციპით „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი". იკრძალება სიზარმაცე. დღეს კარგი დღეა მგზავრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის. არ არის სასურველი კამათი, სულსწრაფობა, ქორწინება, ხელშეკრულების დადება, ახალი საქმის დაწყება, თვალების გადაღლა, სტომატოლოგიური პროცედურები, საბუთებზე ხელის მოწერა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ძოწი, წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 17 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.40 საათზე, ჩადის 20.15 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.35) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.22 საათზე, ჩადის 17.58 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 04.38 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.10 საათიდან 16.35 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მოიმატებს გაღიზიანებადობა. შემცირებულია შრომისუნარიანობა, ენერგია ეკონომიურად ხარჯეთ, ნუ გადაიღლებით. დღის პირველ ნახევარში მოერიდეთ წესების დარღვევას, სულსწრაფობას, აგრესიულობას, ქორწინებას, კაპიტალდაბანდებას, კამათს, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებსა და მხედველობის გადაღლას. საღამოს კი ორპირ ქარს, სიჯიუტეს, ცივ და გაზიან სასმელებს, კისრის მკვეთრ მოძრაობას. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, ვაჭრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 18 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.39 საათზე, ჩადის 20.16 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 04.46 საათზე, ჩადის 19.09 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 04.47 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ემოციები აკონტროლეთ. მოერიდეთ რთული საკითხების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრას. **დასუსტებულია აურა.** მნიშვნელოვან და ახალ საქმეებს ნუ განახორციელებთ, მოსალოდნელია ყველაფრის ცოტაოდენი შეფერხება. დღე მშვიდად გაატარეთ. არ არის სასურველი განკითხვა, გაკიცხვა, გარისკვა, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, ორპირ ქარში ყოფნა, ცივი და გაზიანი სასმლის მიღება. კარგი დღეა ყიდვა-გაყიდვისათვის, მგზავრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მეგობრული შეხვედრებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 19 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.38 საათზე, ჩადის 20.17 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 05.14 საათზე, ჩადის 20.20 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 04.58 საათზე. **ახალმთვარეობაა,** პიკი — 19.56 საათზე. ამ დროს იწყება I ფაზა და I დღე. **მთვარე** 22.44 საათზე გადაინაცვლებს **ტყუპის** ზოდიაქოში). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 21.51 საათიდან 22.48 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია კონფლიქტების, ტრავმების, დეპრესია-აგრესიის გამოვლენის, ცდუნების, შეცდომის და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა, რაც ყველასგან ითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ყურადღებას. აზრები და ემოციები აკონტროლეთ. პრობლემას ძალისმიერი მეთოდით ნუ გადაწყვიტავთ. **სასიკეთოა ლოცვა!** პოზიტიურად განეწყვეთ. დღეს რასაც სხვას უსურვებთ, ის მოხდება თქვენს ცხოვრებაში. არ არის სასურველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, გადაღლა, სულსწრაფობა, ცივი და გაზიანი სასმლისა და ხორციანი კერძების მიღება. კარგი დღეა ახალი საქმის დასახვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, ფილტვები, ბრონქები. **ქვები:** აქატი, გიშერი, ამეთვისტო, მალაქიტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 20 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.37 საათზე, ჩადის 20.18 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 05.46 საათზე, ჩადის 21.29 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 05.15 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ ხალხის თავშეყრის ადგილებს, რადგან მაღალია აურის ენერგოდაბინძურების ალბათობა. დღეს ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **ლომის** ზოდიაქოში (10 ივლისამდე), რაც გაამახვილებს ორგანიზატორულ მონაცემს, ენერგიულობას, კომუნიკაბელურობას, შემოქმედებით შესაძლებლობებს, სასიყვარულო კონტაქტებისკენ მიდრეკილებას და ასევე სიზარმაცეს, ეგოიზმს, დიქტატორულ ტენდენციებს, უყაირათობასაც. ამ პერიოდში არ არის რეკომენდებული გადაღლა, გულს გაუფრთხილდით! დღეს არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება. კარგი დღეა ცოდნის მისაღებად, ინფორმაციის მოსაძიებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 21 მაისი, კვირა

**მზე** გადაინაცვლებს (11.10) **ტყუპის ზოდიაქოში.** ამოდის 05.36 საათზე, ჩადის 20.19 საათზე **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 06.25 საათზე, ჩადის 22.33 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 05.40 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კვლავ მაღალია აურის ენერგოდაბინძურების ალბათობა. მოერიდეთ ხალხის თავშეყრის ადგილებს. ასევე იმატებს ავარიებისა და ტრავმების ალბათობაც, მეტი ყურადღება გმართებთ. დღეს **მზე** გადაინაცვლებს **ტყუპის** ზოდიაქოში, რის შედეგადაც გაძლიერებს გონებამახვილობას, კომუნიკაბელურობას, ცნობისმოყვარეობას, სიახლეებისკენ მიდრეკილებას, დიპლომატიურობას, მოლაპარაკებების უნარს და ასევე მერყეობა-გაორებას, ზედაპირულობას, ფლირტისკენ, ტყუილისკენ, ილუზიისკენ მიდრეკილებასაც. დღეს არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა, ქორწინება, ახალი საქმის დაწყება, უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმის აწევა. კარგი დღეა სწავლისთვის, აუქციონებისთვის, ინფორმაციის მიღება-გადაცემისთვის. თუმცა, ასევე მაღალია ჭორების, მოტყუების ალბათობა, ამიტომ ინფორმაცია შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ნეფრიტი, ამაზონიტი, ჰიაცინტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## საეკლესიო კალენდარი

15 მაისი, ორშაბათი. **ათანასე დიდისა, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა;** მოწამეთა: ესპერისა და ზოიასი და ძეთა მათთა კვირიაკესი და თეოდულესი; კეთილმსახურისა და მოციქულთა სწორისა ბორისისა, წმიდა ნათლისღებით მიხეილისა, ბულგარელთა მეფისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა კეთილმორწმუნეთა რუსეთის მთავართა ბორისისა და გლების, წმიდა ნათლისღებით რომანოზისა და დავითისა; ათანასესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა.



18 მაისი – დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი"

✝ 16 მაისი, სამშაბათი. **მამაი კათალიკოსისა; ღირსთა: მიქაელ და არსენ ქართველთა, ულუმბოელთა;** მოწამეთა: ტიმოთესი და მავრასი; ღირსისა პეტრე სასწაულმოქმედისა, არგოსელი ეპისკოპოსისა; ღირსისა თეოდოსისა, კიევპეჩორელი იღუმენისა.

✝ 17 მაისი, ოთხშაბათი. ქალწულმოწამისა პელაგია ტარსიელისა; მღვდელმოწამისა ერაზმისა, თორმიელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ალვიანესი, ანეელი ეპისკოპოსისა და მოწაფეთა მისთა; მღვდელმოწამისა სილვანესი, ღაზელი ეპისკოპოსისა და მისთანა 40-თა მოწამეთა.

✝ 18 მაისი, ხუთშაბათი. **დიდმოწამისა ირინესი; დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი";** მოწამისა საგდუხტ ქალწულისა.

✝ 19 მაისი, პარასკევი. მართლისა იობ მრავალვნებულისა; მოწამეთა: ბარბარ მხედრისა, ბაქოსი, კალიმაქესი და დიონისესი; მოწამისა ბარბარ ავაზაკყოფილისა.

✝ 20 მაისი, შაბათი. **ხსენება გამოჩინების პატიოსნისა ჯვარისა იერუსალიმს;** ღირსთა ასურელთა მამათა — იოანე ზედაზნელისა და 12-თა მოწაფეთა მისთა: აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისა, ანტონ მარტყოფელისა, დავით გარეჯელისა, ზენონ იყალთოელისა, თადეოზ სტეფანწმინდელისა, ისე წილკნელი ეპისკოპოსისა, იოსებ ალავერდელი ეპისკოპოსისა, ეზდრიოს სამთავნელისა, მიქაელ ულუმბოელისა, პიროს ბრეთელისა, სტეფანე ხირსელისა და შიო მღვიმელისა; ღირსისა ელია დიაკონისა; მოწამისა აკაკი ასისთავისა; ღირსისა ტარასი მეუდაბნოისა, სასწაულმოქმედისა, ლიკაონიელისა; მოწამეთა: კოდრატე ნიკომიდიელისა, სატორინესი, რუფინესი და სხვათა. **წმიდა კეთილმსახურ მეფე ბაგრატ მესამისა, საქართველოს გამაერთიანებლისა.**

✝ 21 მაისი. კვირა. **აღდგომიდან მე-6, ბრმის კვირიაკე. მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა;** ღირსისა არსენი დიდისა.





JANI



უმაღლესი ხარისხის სმენის აპარატები

აირჩიე საუკეთესო

550-05-00-25

janishop.ge

დაგვიკავშირდით და დაგეხმარებით შეარჩიოთ თქვენზე მორგებული სმენის აპარატი

მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად: 4. ბულდოგი; 11. ჰაბანერა; 12. სტეფანია; 13. დესპოტი; 14. მარანები; 15. კვარტალი; 17. შინკუბა; 18. მადორანი; 22. ვიოლინო; 23. მიმიკა; 26. მასტიხინი; 27. ღიმილის; 31. რემარკი; 32. ამარილისი; 37. ლაზიერი; 38. დელიბი; 41. ტრომბონი; 42. შარიფი; 45. კელაპტარი; 46. რიგოლეტო; 50. კაპასი; 51. სენატორი; 55. კალანდა; 56. პარია; 59. ვივალდი; 60. ტიბაანი; 61. დეკალიტრი; 62. ლაღიძე.**

**შვეულად: 1. მანანა; 2. ბამაკო; 3. ბერეტა; 4. ბადიში; 5. ლესინგი; 67 ოპოსუმი; 7. ისიკავა; 8. პედაგოგი; 9. გასტრიტი; 10. ბატი; 16. ლეონი; 18. მუმია; 19. დასტა; 20. რაიხი; 21. ნაივი; 23. მირი; 24. მუმიე; 25. კორპი; 27. ღილი; 28. მაზდა; 29. ლუესი; 30. სკიფი; 33. მარსი; 34. რემბო; 35. ლეონე; 36. სეიკო; 38. დოლჩე; 39. ლეპრა; 40. ბრავო; 42. შიკი; 43. რუპია; 44. ფისკი; 46. რეკეტი; 47. გალობა; 48. ლანდაუ; 49. ტყავი; 51. სევდა; 52. ნოლტი; 53. ტეიდე; 54. რილკე; 56. პელე; 57. როტა; 58. ამინ.**

**მალარიადილეგიონისელაპისინემანიკოლონარვალი**
**ბაცილაიკაროსინიკაპილარიქსილოლიტაფობიავაზა**

| ციებ-ცხელება | საპყრობილე | ხევისბერი გოჩას ვაჟი (ლიტ.) | სამედიცინო მოსაწევი ნივთიერება | მდინარე ლიეტუვაში | თალი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|---|---|---|

| ხერხემლის ძვალი | ქალაქი საუდის არაბეთში ერ ... - | საჯარისო შენაერთი | წყლის მტაცებელი ცხოველი | კინოს მოქველებული სახელი | ... პაგანინი | დელფინების ოჯახის ცხოველი |
|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 4. ერთგვარი ჯიშის ძაღლი; 11. კუბურ-ესპანური ხალხური ცეკვა; 12. ქართველი კალათბურთელი; 13. ტირანი, მტარვალი; 14. შუა საუკუნეებში ესპანეთსა და პორტუგალიაში ებრაელები, რომლებმაც მიიღეს კათოლიკობა; 15. დროის სამთვიანი მონაკვეთი, წელიწადის მეოთხედი; 17. აფხაზი მწერალი; 18. მხატვარი, რომელიც ასფალტზე ხატავს; 22. ოთხსიმიანი საკრავი, რომელსაც ხემით უკრავენ. 23. ადამიანის გრძნობების გამომხატველი სახის კუნთების მოძრაობა; 26. ფერმწერის დანა ტილოზე საღებავის დასადებად; 27. ფილმი — „... ბიჭები“; 31. გერმანელი მწერალი; 32. დეკორატიული მცენარე ლამაზი ყვავილებით; 37. ჭადრაკის ფიგურა; 38. ფრანგი კომპოზიტორი; 41. სპილენძის სასულე საკრავი; 42. მსახიობი ომარ ...; 45. დიდი სანთელი; 46. ჯ. ვერდის ოპერა; 50. ავი, ანჩხლი; 51. სენატის წევრი; 55. ახალი წელი გურიაში; 56. ე.წ. „ხელშეუხებელთა“ კასტა ინდოეთში; 59. იტალიელი კომპოზიტორი; 60. ქართული ღვინო; 61. სითხის საზომი ერთეული, 10 ლ.; 62. ქართველი კომპოზიტორი.

შვეულად: 1. ქართული საბავშვო ფილმი; 2. მალის დედაქალაქი; 3. იტალიური პისტოლეტი; 4. შვილიშვილი; 5. ინგლისელი მწერალი ქალი; 6. პატარა ჩანთოსანი ცხოველი (გავრცელებულია ამერიკის ტყეებში); 7. იაპონელი მწერალი; 8. მასწავლებელი; 9. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 10. შინაური ფრინველი; 16. ფილმი ჟან რენოს მონაწილეობით; 18. დაბალზამებული გვამი; 19. მედუდუკეთა ანსამბლი; 20. გერმანიის იმპერია; 21. ნაივური მხატვრობა; 23. რუსული ორბიტალური სადგური; 24. ფისოვანი ნივთიერება, ე.წ. „მთის ბალზამი“; 25. საცობის მასალა; 27. ფოლაქი; 28. იაპონური ავტომობილი; 29. სიფილისი; 30. ვიწრო სპორტული ნავი; 33. მარიხი; 34. ფრანგი პოეტი; 35. იტალიელი რეჟისორი; 36. იაპონური საათი; 38. იტალიელი დიზაინერი; 39. კეთრი; 40. დაქირავებული მკვლელი ძველ იტალიაში; 42. გარეგანი ბრწყინვალება; 43. ინდოეთის ფულის ერთეული; 44. სახელმწიფო ხაზინა; 46. რისამე გამოძალვა აშშ-ში; 47. ფრინველთა ჭიკჭიკი, სტვენა; 48. რუსი ფიზიკოსი; 49. ბალზაკი — „შაგრენის ...“; 51. დარდი, ნაღველი; 52. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; 53. ვულკანი კანარის კუნძულებზე; 54. ავსტრიელი პოეტი; 56. ბრაზილიელი ექსფეხბურთელი; 57. იტალიელი კომპოზიტორი; 58. ლოცვის დასკვნითი სიტყვა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ჩხირისებრი ბაქტერია | დედალოსის ვაჟი | სახის ნაწილი | ფიჭვისებრთა ოჯახის მცენარე | ნაბოკოვის რომანი | აკვიატებული შიში | ლარნაკი |
|---|---|---|---|---|---|---|

| მკრთალი ფერი | ძაღლის ჯიში | იტალიელი კომპოზიტორი | წვრილი სისხლძარღვი | ორგანული ნაერთი - გამხსნელი | ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის | მტაცებელი ცხოველი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


**დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს**

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 15 - 21 მაისი №23 (1487)

**გამოდის ორშაბათობით**

მეღიაჰოიჰოიჰაცია "ასავაღ-ღასავაღი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **(+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol